# საერთო გაზეთი

№39 (402) • 19 ოქტომბერი, 2016 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

**რა ქნას „ქართულმა ოცნებამ“, ამომრჩევლებს უთხრას, ბევრ ხმას ნუ მოგვცემთ, თორემ შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვიდეთ პარლამენტში და, არიქა, თქვენც არ დაგღუპოთ და თავიც არ დავიღუპოთო?**



**შესაძლოა, სააკაშვილიც ისე გააძევონ „ნაცმოძრაობიდან“ მისმა თანაპარტიელებმა, როგორც ლე პენი გააძევა მისმა შვილმა „ეროვნული ფრონტიდან“**



## ვინ დაასწრებს და ვინ ვის ააფეთქებს – მიშა სანდრას თუ სანდრა მიშას?

სულხან მოლაშვილი სააკაშვილს ცოლის მკვლელობის მცდელობაშიც სდებდა ბრალს?

## მიმართვა სამოქალაქო სექტორს:

ვის ატყუებთ თქვენ, თქვე ვირეშმაკა ფარისევლებო და წუპაკო მამაძაღლებო, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით თუ შევა პარლამენტში, ქვეყანა დაიღუპებაო? ქვეყანა დაიღუპება კი არა, ქვეყნის ერთადერთი ხსნა და საშველი ის არის, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას თუ მოიპოვებს, რაც მას საშუალებას მისცემს, ქვეყნისთვის სასიკეთო მიზნები და ამოცანები დაუბრკოლებლად განახორციელოს

## სააკაშვილის ცოლის მაინცდამაინც ზუგდიდელების ხმებით გადეპუტატება ეს არის ნაციონალების მზაკვრული გეგმა, რომელიც დანარჩენ საქართველოსთან სამეგრელოს დაპირისპირებას ისახავს მიზნად!



**ბაკურ ეფენია:** ყველა ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ცოტნე დადიანის შთამომავალია თუ შადიმანების და ჟოლორიების...

## ნაციონალებისთვის ხმის მიმცემი ქვეყნისა და ერის გამყიდველია



**დიმიტრი ჯაიანი:** სამეგრელოვ, უარი უთხარი მოძალადე პარტიას და ეშმაკის მოციქულს სანდრა რულოვსს!

## ისეთი სამარცხვინო ქალები გამოდიან სამეგრელოდან „ნაცმოძრაობის“ მხარდასაჭერად, სირცხვილისგან თვალს



**მცხეთის მოსახლეობა გაოცებულია - ისეთი რა სარგებელი უნდა მიიღოს პარლამენტიდან ყოფილმა გუბერნატორმა ჩოჩელმა, ამომრჩევლების მოსასყიდად ასე უშურველად რომ ხარჯავს მილიონებს?!**

## ალი ბაბაევი: მარნეულში მომხდარი პროვოკაცია გიგა ბოკერიამ დაგეგმა

## ოლეგ სოსკინი: „ამათ ქეჩოში უნდა მოვკიდოთ ხელი და ისე უნდა გავყაროთ უკრაინიდან“

# საააკაშვილის ცოლის მაინცდამაინც ზუგდიდელების ხმებით გადეპუტატება ეს არის ნაციონალების მზაკვრული გეგმა, რომელიც დანარჩენ საქართველოსთან სამეგრელოს დაპირისპირებას ისახავს მიზნად!



„არა ნაცმოძრაობას“ მეორე ტურში ნაციონალების ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ უნდა გაიმარჯვოს!“ — საზოგადოებისადმი ასეთი გზავნილითა და მოწოდებით გამოვიდა „საერთო გაზეთის“ 2016 წლის 12 ოქტომბრის ნომერი. გთავაზობთ ინტერვიუს ამ გამოცემის მთავარ რედაქტორთან, ცნობილ პუბლიცისტთან და პოეტთან **ვახტანგ ხარჩილავასთან**.

**— ბატონო ვახტანგ, ჩვენი საუბარი იმ მართლაც შემაშფოთებელი, მეტიც — საგანგაშო რეალობის შეფასებით უნდა დავიწყოთ, რომელიც 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დადგა — კაცისმკვლელებისა და გამაუპატიურებლების პარტიას ნახევარ მილიონამდე ადამიანმა მისცა ხმა!**

— ამ ფაქტით უკიდურესად გაოგნებული ვარ! მომკალით და ვერ ვიჯერებ, რომ ნაცევარმა მილიონმა კაცმა, რომელიც საქართველოში ცხოვრობს და კარგად იცის, 9 წლის განმავლობაში სააკაშვილის რეჟიმი რასაც სჩადიოდა, მწამებლებსა და მანიაკებს დაუჭირა მხარი!

მარწმუნებენ, რომ არჩევნები სუფთად ჩატარდა და გაყალბება არ ყოფილა, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ, იცით, რას ვფიქრობ? თუ 8 ოქტომბრის არჩევნები მართლა არ გაყალბებულა, მაშინ დავღუპულვართ და ეგ არის!

დიახ, თუ ნაციონალებმა გაყალბების გარეშე მიიღეს ამდენი ხმა, მაშინ ეს კატასტროფაა და თავში ხელები უნდა წავიშინოთ!

**— „ქართული ოცნება“ არჩევნებს ნაციონალების სასარგებლოდ რომ არ გააყალბებდა?**

— „ნაციონალურ მოძრაობას“ მართლა 500 ათასი მომხრე რომ ჰყავდეს, ამ ქვეყანას 5-ჯერ გადაატრიალებდნენ და გადმოატრიალებდნენ!

არჩევნებამდე 3 დღით ადრე თბილისში დასკვნითი მიტინგი რომ გამართეს, ნაციონალებმა მთელი საქართველოს მასშტაბით 15 ათას კაცს ძლივს მოუყარეს თავი.

**— ფაქტია, რომ არჩევნებზე 500 ათასამდე ხმა მიიღეს!**

— გულის სიღრმეში მინდა მჯეროდეს, რომ ნაციონალებისთვის ხმის მიმცემთა უმრავლესობა ამ დამნაშავეების პარტიას ერთჯერადად მიეყიდა და იდეოლოგიურად მათი მხარდამჭერები არ არიან!

**— მერედა, ეს რა შეღავათია?**

— არავითარი შეღავათი არ არის, მაგრამ მაინც აქვს მნიშვნელობა იმას, ადამიანი საარჩევნო ხმას ერთჯერადად გაყიდის თუ მწამებლების გვერდით იდეურად დადგება!

**— ხელისუფლების ბრალეულობას ვერ ხედავთ იმაში, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ამდენი მხარდამჭერი შეინარჩუნა?**

— რაღა თქმა უნდა, ეს ხელისუფლებიც ბრალიც არის და „ქართული ოცნების“ ლიდერები თავიანთ ბრალეულობას აღიარებენ კიდეც, როცა ამბობენ, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ბოლომდე ვერ მიიყვანეს, ყველა დამნაშავე ვერ დასაჯეს და ა.შ.

გასაოცარი ამბავია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ხაზსგასმით აცხადებენ, „ნაციონალური მოძრაობა“ დამნაშავეთა სექტა და ტერორისტული ორგანიზაცია არისო, მაგრამ ერთხელაც არ დაუყენებიათ საკითხი, რომ ტერორისტულ ორგანიზაციას არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეოდა!

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნაციონალურმა მოძრაობამ მარტო წინასაარჩევნო პერიოდში რაც გააკეთა, ათ პარტიას ეყოფოდა არჩევნებიდან მოსახსნელად! დიახ, ნაციონალები ღიად გამოდიოდნენ ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებებით და პირდაპირ რევოლუციის სამზადისი ჰქონდათ გამოცხადებული, მაგრამ ხელისუფლებას ამისათვის არანაირი სამართლებრივი შეფასება არ მოუცია!

ასავალ დასავალი

შედეგად მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — სრული კატასტროფა და ძალიან საგანგაშო რეალობა!

**— ბატონო ვახტანგ, მკითხველს, ალბათ, არ გაუკვირდება, რომ თქვენც და მეც, სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო, განსაკუთრებით გვაინტერესებს და გვაღელვებს არჩევნების ის შედეგი, რომელიც ჩვენს მშობლიურ კუთხეში — სამეგრელოში დაფიქსირდა. კერძოდ, „ქართული ოცნების“ 7 მაჟორიტარი კლანდიდატიდან პირველსავე ტურში გამარჯვება მხოლოდ ერთმა მოახერხა, ხოლო ზუგდიდის რაიონში პროპორციული, ანუ პარტიული არჩევნები „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობასთან“, საერთოდ, წააგო. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

— სამეგრელოში, დანარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, დღემდე, ფაქტობრივად, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობაა შენარჩუნებული, რადგან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები ნაცებით არის სავსე და მათთვის ხელი არავის უხლია! მეტიც, სამეგრელოში „ნაციონალური მოძრაობის“ ზოგიერთი წარმომადგენელი, ახლა პორტირებულს რომ ეძახიან, „ქართული ოცნების“ პირობებში დაწინაურდა და უფრო დიდი გავლენა მოიპოვა!

მოკლედ, სამეგრელოში დიდი საკადრო წმენდა იყო ჩასატარებელი, რაც ამ ხელისუფლებამ არ გააკეთა!

2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებამდე ორიოდე კვირით ადრე ზუგდიდში ჩასულ ბიძინა ივანიშვილს აურაცხელი მხარდამჭერი დახვდა, დიდი მიტინგი გაიმართა, ზუგდიდის ცენტრალური მოედანი გაჭედილი იყო!

**დღეს კითხვას ვსვამ — სად წავიდნენ ის ადამიანები?**

— თქვენი აზრით, სად წავიდნენ?

— არ ვიცი, მეც ამას ვკითხულობ და ვინმემ გამცეს პასუხი!

**— იმ ხალხის უმრავლესობას „ქართულმა ოცნებამ“, ალბათ, იმედები გაუცრუა!**

— ალბათ, ასეა! თუმცა, ცოდვას ვერ დავიდებ და ვერ ვიტყვი, რომ „ქართულ ოცნებას“ სამეგრელოში არაფერი გაუკეთებია. პირიქით, ბევრი ძალიან მნიშვნე-




„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

## ძვირფასო ზუგდიდელებო, ხმას სანდრა რულოვსს აძლევთ და მერე გინდათ, გაზი „ქართულმა ოცნებამ“ გაგიყვანოთ, გზები „ქართულმა ოცნებამ“ დაგიგოთ, უფასო ჯანდაცვით „ქართულმა ოცნებამ“ უზრუნველგყოთ და პენსიაც „ქართულმა ოცნებამ“ მოგიმატოთ?!

ლოვანი პროექტი განხორციელდა, რომელიც ახლო მომავალში დიდ სიკეთეს მოუტანს არა მარტო სამეგრელოს, არამედ აფხაზეთის მოსახლეობასაც!

**— 8 ოქტომბერს ზუგდიდში არჩევნები რამდენიმე უბანზე ჩაიშალა და განმეორებითი კენჭისყრა უახლოეს დღეებში უნდა შედგეს. სანდრა რულოვსს პირველივე ტურში გამარჯვების იმედი აქვს და აცხადებს — თუ დავმარცხდი, მეორე ტურში მონაწილეობას აღარ მივიღებო.**

— მინდა მივმართო ჩემს უძვირფასეს მეგრელებს — არ დაუშვათ სანდრა რულოვსის გამარჯვება!

საქმეს პრაგმატული თვალსაზრისით მივუდგეთ და მარტივი შეკითხვა დავსვათ — არჩევნებში დამარცხებული და ყოველგვარი ბერკეტის გარეშე დარჩენილი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელმა სანდრა



რულოვსმა ზუგდიდს და სამეგრელოს რა სიკეთე უნდა გაუკეთოს?! ამ ქალბატონს სულ რომ ოქროს გეგმები ჰქონდეს, მაინც ვერაფერს იზამს, რადგან მისი პარტია პარლამენტში უმრავლესობითვერ შევიდა!

ძვირფასო ზუგდიდელებო, ხმას სანდრა რულოვსს აძლევთ და მერე გინდათ, გაზი „ქართულმა ოცნებამ“ გაგიყვანოთ, გზები „ქართულმა ოცნებამ“ დაგიგოთ, უფასო ჯანდაცვით „ქართულმა ოცნებამ“ უზრუნველგყოთ და პენსიაც „ქართულმა ოცნებამ“ მოგიმატოთ?!

ჩემო გონიერო და ნიჭიერო მეგრელებო, ამაზე დაფიქრდით!

**— სანდრა რულოვსი „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ სიაში მე-2 ნომერია და უკვე პარლამენტშიც მოხვდა, მაგრამ ნაცებს მაინცდამაინც ის უნდათ, რომ სააკაშვილის ცოლმა დეპუტატის მანდატი ზუგდიდელების ხმებით მოიპოვოს. თქვენი აზრით, ეს რაზე მიანიშნებს?**

— სააკაშვილის ცოლის მაინცდამაინც ზუგდიდელების ხმებით გადეპუტატება ეს არის ნაციონალების მზაკვრული გეგმა და ვერაგული ჩანაფიქრი, რომელიც დანარჩენ საქართველოსთან სამეგრელოს დაპირისპირებას ისახავს მიზნად!

სულ ცოტა ხნის წინათ სააკაშვილმა განაცხადა, თუ რომელიმე რეგიონში გავიმარჯვეთ, ეს იმას ნიშნავს, რომ დანარჩენ საქართველოშიც გავიმარჯვებთ! მას რეგიონი არ დაუსახელებია, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ სამეგრელოს გულისხმობდა!

**— ღმერთის წყალობით, ნაცებმა სამეგრელო პირწმინდად ვერ მოიგეს, თუმცა, ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა და საფრთხე კვლავ არსებობს!**

— პირდაპირ ვაცხადებ — ვინც ზუგდიდში სანდრა რულოვსს ხმას აძლევს, ის არა მარტო სამეგრელოს, არამედ მთელ საქართველოს და სახელმწიფო ინტერესებს ღალატობს!

ეს ამბავი სამეგრელოს ძალიან ცუდად მოუტრიალდება და სანანებელი გაუხდება, მაგრამ მერე გვიანი იქნება თითზე კბენანი!

ჩემო ძვირფასო მეგრელებო, დროულად გამოფხიზლდით და გონს მოეგეთ!

**ჯაბა ხუბუა**

**გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2016 წლის 17-23 ოქტომბერი, N42.**

# „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას თუ მოიპოვებს, ეს იქნება ქვეყნის განვითარების სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი

ვის ატყუებთ თქვენ, თქვე ვირეშმაკა ფარისევლებო და წუპაკო მამაძაღლებო, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობით თუ შევა პარლამენტში, ქვეყანა დაიღუპებაო?

ქვეყანა დაიღუპება კი არა, ქვეყნის ერთადერთი ხსნა და საშველი ის არის, „ქართული ოცნება“ საკონსტიტუციო უმრავლესობას თუ მოიპოვებს, რაც მას საშუალებას მისცემს, ქვეყნისთვის სასიკეთო მიზნები და ამოცანები დაუბრკოლებლად განახორციელოს და, ამასთან ერთად, „ნაციონალების“ მიერ ათასჯერ გადასწორებული და გადაკეთებული კონსტიტუცია კანონის ჩარჩოებში დააბრუნოს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მოთხოვნებს დაუქვემდებაროს.

ბევრი აყვედრის „ქართულ ოცნებას“, ოთხი წელი იყავით ხელისუფლებაში და რატომ მეტის გაკეთება ვერ მოახერხეთო.

ვინც ამას ამბობთ,. პირველ ყოვლისა, ის გაიხსენეთ, როგორი ოთხი წელი იყო ეს ოთხი წელი „ქართული ოცნებისთვის“ და რამდენი ბარიერის და წინაღობის გადალახვა უხდებოდა მას ნებისმიერი პრინციპული გადაწყვეტილების მისაღებად.

ამ ოთხი წლიდან ათი თვე სააკაშვილის პრეზიდენტობამ შეიწირა, ოთხი წლიდან ოთხივე — გიორგი პაპუაშვილის სამართლებრივმა მანიპულაციებმა და გიორგი ქადაგიძის ფინანსურმა ტრიუკებმა სერიოზულად დააზიანა და დაამახინჯა, ამ ოთხ წელიწადში ბოლომდე ვერ მოხერხდა სახელმწიფო სტრუქტურების გაწმენდა ნაციონალური კადრების ნარჩენებისგან, ამ ოთხი წლის განმავლობაში მთელ საქართველოს დეზინფორმაციით და ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებით წამლავდა და ტვინს ურეცხავდა ნაციონალების სიცრუის მანქანა „რუსთავი-2“-ის სახით, ამ ოთხი წლის მანძილზე ხელისუფლება, ფაქტობრივად, საბოტაჟის, მუდმივი ფსიქოლოგიური ზეწოლის, მუდმივი დესტაბილიზაციის მოლოდინის რეჟიმში ცხოვრობდა და ასეთ ვითარებაში ის, რისი გაკეთებაც მან მოახერხა, მართლაც გმირობის ტოლფასია.

2012 წლის 1 ოქტომბერს „ქართულმა ოცნებამ“ კი გაიმარჯვა, მაგრამ ეს არ იყო „ნაციონალური მოძრაობის“ საბოლოო დამარცხება.

„ნაცმოძრაობაზე“ 2012 წლის ოქტომბერში დაწყებული გამარჯვების პროცესი 2016 წლის 30 ოქტომბერს დაგვირგვინდება გამარჯვებით, კერძოდ კი „ქართული ოცნების“ მიერ სკაონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებით.

2016 წლის 30 ოქტომბრიდან საქართველოში, ფაქტობრივად, ქვეყნის განვითარების სრულიად ახალი ერა, სრულიად ახალი ეტაპი იწყება.

დარწმუნებული ვართ, მომდევნო ოთხი წელი საქართველოს ცხოვრებაში იქნება დიდი გარდატეხის, დიდი აღმავლობის ოთხი წელი, ოღონდ, ეს რომ მოხდეს, ამისთვის აუცილებელია, არა მარტო ხელისუფლება, არამედ, პირველ ყოვლისა, საზოგადოება იყოს მოწოდების სიმაღლეზე, საზოგადოება იყოს კონსოლიდირებული ერთიანი, ძლიერი, მდიდარი ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად.

სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილს სერიოზული ფსიქოლოგიური თუ მენტალური პრობლემები რომ აქვს, ეს ბოლო არჩევნებმაც აჩვენა, როცა თითქმის ნახევარმა მილიონმა ქართველმა ხმა „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა.

„ნაციონალური მოძრაობის“ შიგნით ბოლო დღეებში განვითარებული პროცესების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება ამ ნახევარი მილიონიდან უმეტესობა უკვე უნდა ხვდებოდეს, რომ მათ უმძიმესი შეცდომა დაუშვეს, შეცდომა, რომელიც ქართული სახელმწიფოს ინტერესების ღალატად შეიძლება შეფასდეს.

მათ მიერ „ნაცმოძრაობისთვის“ მიცემული ხმები, ეს არის ზღვაში უაზროდ გადაყრილი კენჭები, რომლებსაც არც ზღვისთვის შეუძლია რაიმეს შემატება და არც კენჭების მსროლელთათვის.

„ნაცმოძრაობა“ მოკვდა, ის კარგა ხანია ხელოვნურ სუნთქვის აპარატზეა მიერთებული და მას ამიერიდან ვერავინ და ვერაფერი ვერ გააცოცხლებს, მათ შორის, ვერც ნახევარი მილიონი ადამიანის სულის შებერვა.

„ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მაღალი ლეგიტიმაციით აღჭურვა დიდ სიკეთეს მოუტანს ქვეყანას, მათ შორის, იმ ხუთასი ათას ადამიანსაც, ვინც „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ მისცა ხმა და ამომრჩეველთა იმ 49 პროცენტსაც, რომელმაც სრულიად გაუგებარი და ყოვლად გაუმართლებელი მიზეზებით იდეზერტირა და თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისგან თავი შეიკავა.

დაბოლოს, იგივეს გავიმეორებთ, რაც წერილის დასაწყისში ვთქვით: ვინც ქართველ ხალხს მოუწოდებს მოსალოდნელი „დიქტატურის“ აღსაკვეთად და ქვეყნის გადასარჩენად მეორე ტურში „ქართულ ოცნებას„ არ მისცეს ხმა, ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს მტერია, მოყვრისა და კეთილისმყოფელის ნიღბით შენიღბული მტერი, ხმალდახმალ მოსულ მომხვდურზე უარესი, მტერი, თაფლში გარეული ნელი მოქმედების შხამით რომ ცდილობს ქვეყნის მოწამვლას და არევ-დარევას.

„საერთო გაზეთი“

# შესაძლოა, სააკაშვილის ისე გააძევონ „ნაცმოძრაობიდან“ მისმა თანაპარტიელებმა, როგორც ლე პენი გააძევა მისმა შვილმა „ეროვნული ფრონტიდან“

საკონსტიტუციო უმრავლესობის რისკებსა და საფრთხეებზე ატეხილ აჟიოტაჟს? საპარლამენტო არჩევნების პირველი ტურის დასრულების შემდგომ განვითარებულ პროცესებსა და მეორე ტურის მოსალოდნელ შედეგებზე, სოციოლოგ **ვალერიან გორგილაძეს** ვესაუბრეთ:

— არჩევნების გაყალბებაზე საუბარი მარგინალურობისკენ მიდრეკილი პოლიტიკური პარტიების თავისებურებაა. ისინი არ ცნობენ სოციოლოგიას, ობიექტურ მონაცემებს და გამუდმებით შეთქმულებები და არჩევნების გაყალბება ელანდებათ. პროდასავლურმა პარტიებმა, რომლებიც უფრო ტექნოლოგიურები არიან, მეტ-ნაკლებად იყენებენ სოციოლოგიას და რეგულარულად ატარებენ კვლევებს, იციან, რომ მათი რეიტინგი ცენტრალური საარჩევნო კომისიის



საბოლოო შედეგებთან შესაბამისობაშია. ლეიბორისტებისა და იმ პარტიების მსგავსად, მეტროს სადგურებში გამოკითხვებს რომ ატარებენ, დასავლური ორიენტაციის პარტიები გარკვეული ცდომილებების მიუხედავად, არ თვლიან, რომ ეს რაღაც შამანური ტექნოლოგიაა. ანუ აქ წმინდა მენტალური პრობლემაა. როცა მეტროპოლიტენში გამოკითხვას ატარებ, წარმოდგენა არა გაქვს არც რეპრეზენტულობაზე, არც სოციალურ ჭრილზე და არაფერზე. ვერ ხედავ და არ გინდა გაიგო, რომ შენი რესურსი შეზღუდულია. რესპუბლიკელებისთვის ცნობილი იყო, რომ ბარიერის გადალახვის პრაქტიკულად, არანაირი შანსი არ ჰქონდათ. თავისუფალმა დემოკრატებმაც იცოდნენ, რომ 5%-იანი ბარიერის მიჯნაზე იყვნენ და მართლაც ბრმა უნდა იყო, რომ ვერ დაინახო ის აშკარა წინსვლა, რაც ამ საარჩევნო კამპანიისას შეიმჩნეოდა. ვგულისხმობ გარემოს, კონკურენტუნარიანობას და მედიასაშუალებებთან თანაბარ წვდომას. ამდენად, პოლიტიკური პარტია საკუთარი თავის გარდა, ვერავის ვერაფერს დააბრალებს. თუმცა, არსებობენ ინტროვერტები, რომლებიც საკუთარ წარუმატებლობას ამინდს, მთავრობას, ყველას და ყველაფერს აბრალებენ საკუთარი თავის გარდა. ეს არის პრობლემა, რომელიც არჩევნების შედეგების გაყალბებაზე მოლაპარაკე პარტიებს ახასიათებს.

**— „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლასთან დაკავშირებულ აჟიოტაჟს როგორ შეაფასებთ? მართლაც ისეთი რისკების შემცველია, როგორც ოპოზიციური პარტიები ცდილობენ, რომ დაგვიხატონ?**

— ბუნებრივია, საკონსტიტუციო უმრავლესობა გარკვეულ რისკებს შეიცავს. ეს არის გადაჭარბებული ნდობა პოლიტიკური პარტიის მიმართ და პრაქტიკულად, ყველა ძირითადი საკითხის მისთვის გადაცემა. ამ შემთხვევაში ხდება შენი უფლებების პირდაპირი დელეგირება მმართველი პარტიის მისამართით, ანუ, ნებაყოფლობით აძლევ შესაძლებლობას, რომ რადიკალური ცვლილებები მოახდინოს ან შესწორებები შეიტანოს კონსტიტუციაში. პრინციპში, საკონსტი-



ტუციო უმრავლესობა არ ასახავს იმ სტატუს-ქვოს, რაც საქართველოშია. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ გამარჯვება ძალიან დამაჯერებელი იყო და 850 000 ხმით ორჯერ გაუსწრო „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს საკონსტიტუციო უმრავლესობის დაუფლების თვალსაზრისით, საკმარისი უპირატესობა არ არის. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ გამარჯვება ლეგიტიმურია, მაგრამ მთავარი კითხვაა, რამდენად ლეგიტიმური იქნება, დაეუფლოს საკონსტიტუციო უმრავლესობას. ცნობილია, რომ მმართველი პოლიტიკური ძალა საკონსტიტუციო უმრავლესობას მხოლოდ მაჟორიტარული, მეორე ტურის შედეგად მიიღებს. შესაბამისად, გარკვეულ დისკომპორტს ქმნის, რომ პარტია, რომელიც პროპორციულში 48% აიღო და არა 60%,რაც ლოგიკური იქნებოდა, ამის მიუხედავად, საკონსტიტუციო უმრავლესობას ეუფლება. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, რომელი ჯობია „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობა თუ ნაცმოძრაობის გამარჯვება, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლას დავუჭერ მხარს და ვერც ერთი წუთით ვერ დავუშვებ, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ქვია, მანდატი მივანიჭო. კიდევ ერთი არგუმენტი, რომელიც „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოსვლის სასარგებლოდ მეტყველებს, ისაა, ნაციონალურმა მოძრაობამ როდესაც საკონსტიტუციო უმრავლესობას ფლობდა, მიიღო მთელი რიგი კანონპროექტები, რომლებიც ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს. შესაძლებელია, სწორედ ამ საკონსტიტუციო უმრავლესობის მთავარი მისია ნაციონალური მოძრაობის დრო მიღებული საკანონმდებლო აქტების რევიზიაც იყოს..



**— როგორ ფიქრობთ, პოლიტიკოსებს, რომლებიც ეროვნულ კატასტროფაზე და ლამის მონარქიის დაწესებაზე საუბრობენ და ამომრჩეველს ნაციონალური მოძრაობისთვის ხმის მიცემას მოუწოდებენ, დაავიწყდათ 2008 წელი, როცა ნაცმოძრაობას პარლამენტში 119 მანდატი ჰქონდა და საკონსტიტუციო უმრავლესობა კი არა, ლამის პირველი ღამის უფლების დაკანონებას აპირებდა?**

— არ მიყვარს მორალზე საუბარი და ვერ დავადანაშაულებ ამ პოლიტიკურ მოღვაწეებს, თუმცა, მიმაჩნია, რომ ეს ერთგვარი წყალგამყოფია. ჩემთვის ბევრად მიუღებელია ნაცმოძრაობის დეპუტატებისთვის მანდატების გადაცემა, ვიდრე „ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლა. ჩემთან ეს კითხვა არ დგას..თუ მმართველი პარტია უხეშ შეცდომებს დაუშვებს და თავის თავს რეპუტაციულ ზიანს მიაყენებს, არც საკონსტიტუციო უმრავლესობა უშველის და არც სხვა ბერკეტების ფლობა. ეს რისკი, პირველ რიგში „ქართული ოცნებისთვის“ არსებობს, რადგან რაც უფრო დიდია უმრავლესობა, მით უფრო მყიფეა და უფრო მაღალია ალბათობა, რომ ადრე თუ გვიან, დაიწყება დაშლა, სხვადასხვა ფრაქციების გამიჯვნა და ა.შ. შესაძლოა, ამ ტიპის უმრავლესობას წელიწადნახევრის განმავლობაში არაფერი დაემუქროს, მაგრამ შემდეგ.. უახლესმა ისტორიამ გვაჩვენა, რომ ასეთი უმრავლესობის შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელი.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ თუ მოახერხებს ერთიანობის შენარჩუნებას და რით დასრულდება სააკაშვილისა და ბოკერიას დაჯგუფებებს შორის დაწყებული უთანხმოება?**

— ვფიქრობ, სააკაშვილის გავლენა მნიშვნელოვნად შესუსტებულია, ვინაიდან, ნაცმოძრაობის ისტორიაში პირველად, სოციალური ქსელის საშუალებით, თავად მოახდინეს კონფლიქტის გარეთ გატანა. ადრე თუ გვიან, ამ საკითხების ყრილობაზე განხილვა მოუწევთ და იქ უკვე რიგითი წევრების მოსაზრებებს გადამწყვეტი მნიშვნელობის ექნება. რა თქმა უნდა, გამიჯვნა მოსალოდნელია და ასეთ რღვევებს არა მარტო ნაცმოძრაობაში, არამედ „ქართული ოცნების“ შიგნითაც ველოდებით. ამდენად, ორპარტიული მოდელი, რომლის კონტიურები იკვეთება, ძალიან პირობითია. დაახლოებით, ორი წლის შემდეგ, შეიძლება ძალიან მოულოდნელი და საინტერესო კომბინაციების და პოლიტიკური კონფიგურაციების მომსწრენი გავხდეთ.

დაპირისპირება სააკაშვილსა და დანარჩენ ლიდერშიპს შორის, სულ უფრო ნათელია. უკვე შეიძლება იმაზე საუბარი, რომ სააკაშვილი დამარცხდა. უბრალოდ, გამოცდილია და იცის, რომ პირდაპირ კონფრონტაცია მისთვის არასასურველი შედეგით დამთავრდებოდა და დელიკატურად დაიხია უკან. რა თქმა უნდა, ტაქტიკური თვალსაზრისით, შეეცდება თავისი პოზიციის გამყარებას, მაგრამ გენერალური შეტაკება მაინც გარდაუვალია. ამ შეტაკებაში საბოლოოდ გაფორმდება ნაცმოძრაობის გაყოფა ან სააკაშვილის გაძევება, რაც რთული წარმოსადგენია, თუმცა ისტორიას ლე პენის მაგალითიც ახსოვს, რომელიც თავისი დაარსებული, უკიდურესად ნაციონალისტური ეროვნული ფრონტიდან შვილმა გააძევა. შესალოა, სწორედ ასე გააძევონ „შვილებმა“ სააკაშვილი და მიშა ტრაგიკომიკურ ლირადაც მოგვევლინოს..



**— საუბრის ბოლოს, გვითხარით, რას ელით არჩევნების მეორე ტურისგან?**

- ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ ყველგან გაიმარჯვებს და საკონსტიტუციო უმრავლესობას მიიღებს. პრაქტიკულად გამოვრიცხავ ნაცმოძრაობის გამარჯვებას რომელიმე ოლქში. შეიძლება ორი-სამი მანდატი რომელიმე დამოუკიდებელ დეპუტატს ერგოს. მეორე ტურის შემდეგ არანაირი ექსცესებს არ ველი. ჩვენ მივიღებთ პარლამენტს, რომელსაც ექნება განვითარების რესურსი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩემი აზრით, ვერც ერთი ეს ძალა ოთხი წლის თავზე მონოლითურობას ვერ შეინარჩუნებს. 2020 წლის არჩევნებისთვის პარლამენტში როგორც მინიმუმ, სამი ან ოთხი ასეთი პოლიტიკური ჯგუფი იქნება, რომელსაც ექნება პრეტენზია 2020 წელს პარლამენტს ახალი სტატუსით მოევლინოს..

**უკვე ცნობილია, რომ 8 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების მეორე ტურები 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 30 ოქტომბერს გაიმართება. რაც შეეხება განმეორებით კენჭისყრას, ის 22 ოქტომბერს ჩატარდება. ცესკოს ცნობით, №36 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №36.22.48 საარჩევნო უბანზე (მარნეული)პარლამენტის მაჟორიტარული არჩევნები გაიმართება, ხოლო №66 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის №66.67.38, №66.67.79 და №66.67.108 საარჩევნო უბნებზე (ზუგდიდი) — როგორც პარლამენტის მაჟორიტარული, ისე გამგებლის არჩევნები.**

ნელი თორდია
571 35 36 88



## ალი ბაბაევი:

# მარნეულში მომხდარი პროვოკაცია გიგა ბოკერიამ დაგეგმა

### მთავარი პრობლემა ისაა, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა სოფლებში, სრულიად მოწყვეტილი არიან იმისგან, რაც ხდება საქართველოში. შეიძლება მეტი იცოდნენ თურქეთის ამბები, აზერბაიჯანის ამბები, ვიდრე საქართველოსი

***გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესის თავმჯდომარე, ბატონი ალი ბაბაევი.***

**— რა მოხდა, სინამდვილეში, ბატონო ალი მარნეულში. ეს არეულობა რას უნდა მივაწეროთ?**

— ეს არის წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია. პროვოკატორები იყვნენ „ნაცმოძრაობის" მხარდამჭერები თავის დროზე. **ისრაფილ ბაირამოვი**, რომელიც ამჯერად „პაატა ბურჭულაძე — სახელმწიფო ხალხისთვის" წარმომადგენელი იყო, ადრე „მოქალაქეთა კავშირის" წევრი გახლდათ, მერე „ნაცმოძრაობას" შეეკრა. ცოტა ხანს, ვითომ, ნეიტრალური იყო, როგორც ვხედავთ, ახლა ბურჭულაძეს მიეტმასნა. **იმამ ჟულიევი** „ნაციონალების" დროს გამოჩნდა პოლიტიკაში, ქვანიას „სკოლა" გაიარა, ანუ „ნაციონალების" აღზრდის „კურსები", ახლაც მათ დავალებებს ასრულებს და წარმატებულად გამოსდის მარნეულში „ქართული ოცნების" ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა. იქაური ხელისუფლება ვერ უპირისპირდება **აჰმედ იმამ ჟულიევს** ისე, როგორც საჭიროა.

დღემდე საკრებულოს და გამგეობის აპარატში ყოფილი





ნაციონალები არიან ფართოდ წარმოდგენილნი. სოფლის გამგებლები, დეპუტატები, თითქმის ყველა ნაციონალები არიან.

**— რატომ მოხდა ასე?**

— მე „ქართული ოცნების" პოლიტსაბჭოს წევრი ვიყავი, როცა ადგილობრივი არჩევნების დროს მთლიანად „ოცნების" ხალხი გაათავისუფლეს და ნაციონალები მოიყვანეს, ჩემდა გასაკვირად.

**— ვისი ხელი შეიძლება აქ ერიოს, ლელუაშვილის ხომ არა?**

— ლელუაშვილს ჰქონდა გარკვეული გავლენები ქვემო ქართლში და რა თქმა უნდა, მარნეულშიც. დიახ, ჰქონდა გავლენები.

**— მაგრამ ლელუაშვილი აღარ არის მნიშვნელოვანი ფიგურა. ახლა რა ხდება?**

— ახლა ის ხდება, ჩემო კარგო, რომ ნაციონალებს სულზე მოუსწრო კოჰაბიტაციამ. „ქართული ოცნება", ჩემი აზრით, დასავლეთის და ამერიკის ზეწოლის შედეგად „ქართული ოცნება" კოჰაბიტაციაში აღმოჩნდა „ნაცმოძრაობასთან". ყველას გვახსოვს, ერთი თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნისთანავე ტყდებოდა უშველებელი ხმაური. ასეთი ამბები მხოლოდ ბოლნისში და მარნეულში არ ხდებოდა.

ასე ვიტყვი: საკმაოდ არასახარბიელო ფაქტი ვიხილეთ — სამართალდამცავებზე ზეწოლა განხორციელდა „ნაცმოძრაობის" ახალგაზრდა აქტივისტების მხრიდან. უნდა აღინიშნოს, რომ „ნაცმოძრაობის" ლიდერები ძალიან ბევრის უფლებას აძლევენ საკუთარ თავს, სწორედ მათი წაქეზებით მოხდა ყველაფერი.

**— მაგრამ ხმაური და დაპირისპირება „ნაცმოძრაობის" წარმომადგენელმა კი არა ბურჭულაძის პარტიის აქტივისტმა გამოიწვია.**

— ჩვენ ყველამ თავიდანვე ვიცოდით, რომ ბურჭულაძის და სააკაშვილის შეხვედრები ხდებოდა არალეგალურად. საარჩევნო კამპანიისასაც ბურჭულაძე „ნაცმოძრაობის" განაყოფთან — ვაშაძის პარტიასთან აპირებდა კოალიციის შექმნას. სხვა რა უნდა თქვა და რა უნდა იფიქრო ამის შემდეგ?! მათ ერთობლივად უნდოდათ ხელისუფლების ხელში ჩაგდება და მერე რა მოხდებოდა, ისევ ჩვენი, საქართველოს მოსახლეობის თავში საცემი იქნებოდა. დღეს საზოგადოება „ქართული ოცნების" მმართველობით პროგრესისკენ არის მიმართული და ქაჯეთში დაბრუნებას არავინ აპირებს.

**— ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა როგორია?**

— მთავარი პრობლემა ისაა, რომ ქვემო ქართლის აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობა სოფლებში, სრულიად მოწყვეტილი არიან იმისგან, რაც ხდება საქართველოში. შეიძლება მეტი იცოდნენ თურქეთის ამბები, აზერბაიჯანის ამბები, ვიდრე საქართველოსი.

ქართული ენის არცოდნა უდიდესი პრობლემაა იქ. ქართული ენის მცოდნე ადამიანების წინ წამოწევა რომ არ ხდება, მე თუ მკითხავთ, ეს არის ჩვენი ქვეყნის დიდი ტრაგედია. მარნეულში, გარდაბანში, ბოლნისშიც, სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც უმაღლეს ხელფასებს იღებენ, მაგრამ ქვეყანას არ არგიან, რადგან ამ ქვეყნის ენა არ იციან.

სახელმწიფო დაწესებულებაში ამ ქვეყნის სახელმწიფო ენაზე მიღებული ან გაგზავნილი დოკუმენტის კითხვა და წერა უნდა იცოდეს ადამიანმა.

თუ პარლამენტის რომელიმე წევრი არ ფლობს სახელმწიფო ენას, უნდა იქნას დათხოვნილი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან.

**ქართველებისთვის არ ვიცი, მაგრამ ჩვენთვის, აზერბაიჯანელებისთვის, შეურაცხმყოფელია, როცა ჩვენი ეროვნების ადამიანი მიდის პარლამენტში, ზის იქ ოთხი წელიწადი და არ ესმის, რა ხდება. მე ვეუბნები მათ: წადით ბაზარში, მიდით აზერბაიჯანელ მწვანილის გამყიდველთან, ის გასწავლით უკეთეს ქართულს, ვიდრე თქვენ ლაპარაკობთ.**

აზერბაიჯანელების შეურაცხყოფაა, როცა პარლამენტის დეპუტატი, ან რომელიმე სახელმწიფო მოხელე ქართულად ვერ მეტყველებს.

**ქართულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ისეთი პოლიტიკა, რომ ქართული ენა აუცილებელი იყოს აქ მუდმივად მაცხოვრებელი ყველა მოქალაქისთვის.**

ამავე დროს, რა თქმა უნდა, უნდა შენარჩუნდეს არაქართული სკოლები, მაგრამ ქართული ენა გაძლიერებულად უნდა ისწავლებოდეს ყველგან.

ამას წლების განმავლობაში პირდაპირ გავყვირი, მაგრამ ხელისუფლებები იცვლება და ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება.

უკვე 25 წელზე მეტი გავიდა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1989 წელს ზუსტად მარნეულში იყო დაპირისპირება ენის თაობაზე და იქედან მოყოლებული სულ გავიძახი — საქართველოში მაცხოვრებელმა ეროვნულმა უმცირესობებმა ამ სახელმწიფოს ენა უნდა იცოდნენ! ამ ენის მიმართ უნდა ჰქონდეთ პატივისცემა და სიყვარული! ვალდებულება უნდა ჰქონდეთ. კიდევ ვიმეორებ, ამასთან ერთად შენარჩუნებული უნდა იქნას აზერბაიჯანული, სომხური თუ სხვა ერების ენები, კულტურა, ტრადიცია, ცხოვრების ისტორია.

**— გასაგებია, ბატონო ალი, ამაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია, დაგვიწერია, კიდევ ვისაუბროთ, ვიმოქმედოთ, მაგ-**

7 გვ. →



# რატომ არ გასამართლდა მოღალატე შევარდნაძე, რომელმაც აფხაზეთი დაგვაკარგვინა?

***გვესაუბრება უშიშროების გენერალ-მაიორი ანზორ მაისურაძე:***

**— ბატონო ანზორ, 27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 23 წელი გავიდა. პროცესებმა თქვენს თვალწინ ჩაიარა. რა მოხდა რეალურად, 23 წლის წინ?**

— მოგახსენებთ, ყოველ ორშაბათს ედუარდ შევარდნაძე თათბირს ატარებდა. მაშინ მთავრობის ნაცვლად სახელმწიფო სათათბირო იყო, რომელშიც 75 კაცი შედიოდა. შევარდნაძემ მთხოვა თათბირს დავსწრებოდი. ამ დროს, უშიშროების მინისტრის მოვალეობას ვასრულებდი. სანამ თათბირზე მივიდოდი, ავთანდილ იოსელიანმა სოხუმიდან დამირეკა და მითხრა: ბატონო ანზორ, უტყუარი ინფორმაცია მაქვს — ელცინმა და არძინბამ მოილაპარაკეს განჯიდან 345-ე პოლკი, რუსეთის სპეცრაზმი



გუდაუთაში გადმოიყვანონ, რათა შემდგომ ჩვენს წინააღმდეგ გამოიყენონო. ამ ინფორმაციამ შემზარა. როგორც მოგეხსენებათ ამ დროს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში აღარ ვიყავით. ადრე, ასეთი წესი იყო — ახალციხიდან ქუთაისში რაზმი რომ გადმოეყვანათ და დაებანაკებინათ, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილება იყო საჭირო. ეს კონსტიტუციით იყო განსაზღვრული და ასეც კეთდებოდა. 345-ე პოლკი, რუსეთის სპეცრაზმი რომელიც გუდაუთაში გადმოჰყავდათ და ბომბორას აეროდრომზე უნდა გადმოესროლათ, ავღანეთში პირველი შევიდა, ამ სპეცრაზმის შემადგენლობაში „გალავარეზები“ იყვნენ, ერთი ათ კაცს უდრიდა. ეს სპეცრაზმი რუსების მიერ იყო მომზადებული. აღნიშნული ინფორმაცია შევარდნაძისთვის უნდა მეთქვა, მაგრამ ჯერ თათბირის დასრულებას ველოდებოდი, სადაც აფხაზეთის საკითხი იხილებოდა. ინფორმაცია, რაც მოგახსენეთ მარტო მე მქონდა. თავიდან ვიფიქრე ცალკე ვეტყვი-მეთქი, მერე გადავწყვიტე სახალხოდ მეთქვა, რათა ყველას გაეგო. ავწიე ხელი და მიღებული ინფორმაცია მოვახსენე. როცა გამოსვლები შეაჯამა თქვა: ანზორ მაისურაძეს, მის უწყებას არ ეკადრება სახელმწიფო სათათბიროს ასეთი ინფორმაცია ჭორების დონეზე მოახსენოსო. ეს ვერ მოვითმინე, უცებ წამოვდექი და შევარდნაძეს ხმამაღლა ვუთხარი: ბატონო ედუარდ, ანზორ მაისურაძეს არც თქვენთან და არც სახელმწიფო სათათბიროსთან საჭორაო არაფერი აქვს, ჩვენთან ასეთი წესია მიღებული — გადამოწმებულ ინფორმაციას დაუყოვნებლივ გატყობინებთ. თუ ჩემი არ გჯერათ, დღესვე დავურეკავ ავთანდილ იოსელიანს, ჩამოვა და პირადად მოგახსენებთ-მეთქი. ეს რომ ვთქვი, შევარდნაძე ჯერ გაწითლდა, მერე გათეთრდა და საუბარი გააგრძელა, ამ საკითხზე სიტყვა აღარ დაუძრავს. გავიდა დრო და რუსებმა ჯარი გუდაუთაში ბომბორას აეროდრომზე გადმოიყვანეს. ამის მერე კიდევ გავიდა დრო და მე, თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი, ვალერი ჩხეიძე და კიდევ რამდენიმე კაცი სოჩაში რუსებთან მოსალაპარაკებლად ჩავედით. ჩვენს წინ სხედან რუსეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პასტუხოვი და კიდევ სამი კაცი, აქედან ორნი ჩემი კოლეგები არიან, საბჭოთა კავშირის დაზვერვაშიც ვმუშაობდი და ყველას ვიცნობდი. საუბრისას თენგიზ სიგუას ვანიშნე, გრაჩოვს ჰკითხე ჩვენი ნებართვის გარეშე ჯარი გუდაუთაში როგორ გადმოიყვანეს-მეთქი. თენგიზმაც დაუსვა ეს შეკითხვა, მაგრამ გრაჩოვს ხმა არ ამოუღია. შეკითხვის გამეორება სამჯერ მოგვიწია და ბოლოს მან გვიპასუხა: განა, შემეძლო ეს არმია თქვენი ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე გადმომეყვანაო. გესმით, რა ხდება? — თურმე, შევარდნაძეს ჯარის გადმოყვანაზე ნებართვა მიუცია და მეც რომ გავიგე, ამაზე მოუვიდა გული. ამ ჯარმა რუსებს მოაგებინა ომი, გამოვიდა სპეცრაზმი თავისი სპეც-ტექნიკით და უცებ, სამ საათში გაანადგურა ჩვენი ჯარი. ვინ არის დამნაშავე? რატომ ხმას არ იღებენ? შევარდნაძე არ უნდა გასამართლებულიყო? მაშინ გაიძახოდნენ აფხაზეთი უნდა ავიღოთო. წარმოგიდგენიათ, რომელი აფხაზეთი უნდა აეღოთ, სადაც 300 ათასი ქართველი ცხოვრობდა? „აღებული“ არაა აფხაზეთი? იქ, 300 ათასი ქართველი ცხოვრობდა და 60 ათასი აფხაზი, რა უნდა აეღოთ? არ უნდა იცოდე ვის ებრძოლები, ვის, შენს ქვეყანას? შენი ქვეყანა უნდა აიღო კაცო, შენი აფხაზები, შენი ძმები? აფხაზეთში ხშირად მიწევდა ყოფნა, საოცარი სამეგობრო მყავდა. აფხაზი კაცი ისე როგორც ქართველი, ძალიან თავმოყვარეა. მას ოჯახი უყვარს, მის თვითშეგნებას და სამშობლოს სიყვარულს პატივი უნდა სცე. ჩვენ რა გავაკეთეთ? საღამოს შვიდი საათიდან ღამის ორ საათამდე ვიხვეწებოდი არ წახვიდეთ-მეთქი. მერედა ვინ წაიყვანეს? — ბროდი. კიტოვანს ვუთხარი: ჩემს ორ თანამშრომელს გაგატან-მეთქი. ერთი შტაბის ოფიცერი თენგიზ აბულაძე იყო, მეორე, ავღანეთში ნაომარი გოგი მელაშვილი. ამათ დაუკითხავად არაფერი გააკეთო, ხომ ვიცი შენ რა გენერალიცა ხარ-მეთქი — მივმართე კიტოვანს. ჩემი წაყვანა არ უნდოდა, ეშინოდა. გავაყოლე ეს ორი კაცი. ორი კვირის მერე ჩამოვიდნენ და მითხრეს: ბატონო ანზორ, დაღუპულები ვართ, დავკარგეთ აფხაზეთიო. რაშია საქმე-მეთქი? საშინელება ხდება ძარცვა, შეურაცხყოფაო. ქართველ კაცს არ ეკადრება ასეთი მოქცევა.



აფხაზ კაცს შეურაცხყოფას რომ მიაყენებ, ცოლს გაუუპატიურებ, მერე ის მოგკლავს აბა, რას იზამს. ყველაზე ცუდი იცი, რა არის? — როცა შენი სიმართლის შენიანებს არ სჯერათ. ამ თავგასიებულებს ვერაფრით დავაჯერე რომ აფხაზეთში არ უნდა შესულიყვნენ. წავიდნენ და რაც მოხდა კარგად იცით — აფხაზეთი დავკარგეთ თუ რამდენი ხნით, კაცმა არ იცის. აფხაზს ქართველის გაგონება აღარ უნდა. რატომ? — იმიტომ, რომ მის სულიერ კულტურას, მის კაცობას დიდი ტრავმა მივაყენეთ.

ახლა, ირტყამენ თავში ხელს, იძახიან, აფხაზები ჩვენი ძმები არიანო. ამდენი სისულელის ჩადენის მერე, აღარ უნდა აფხაზს შენთან ყოფნა.

თუ კაცი ხარ ასეც უნდა მოიქცე და თუ კაცი არ ხარ, ბოდიში და ვიღაცებს სადღაც უძვრები და ენას უსობ, მაშინ ასეთივე ენის მსობელად დარჩები. ამიტომ, აფხაზსაც არ უყვარხარ, არც მე მიყვარს რუსი, რომელმაც ტერიტორიის 20% წამართვა. გიჟი უნდა იყო რუსეთი რომ გიყვარდეს. როგორ შეიძლება ქვეყანამ რომლისაც მსოფლიოს ეშინია, პატარა საქართველოს ომი გამოუცხადოს. 200 წელიწადია საქართველოში ბომბი არ ჩამოვარდნილა და რუსეთმა დაგვბომბა. ჩვენმა უგუნურმა პოლიტიკამ გვიქნა ყველაფერი.

**— თქვენ ამბობთ აფხაზებს ქართველის გაგონება აღარ უნდათო, მაგრამ იქ, ახლა სხვა პრობლემებიცაა — სომხები აფხაზებს სჭარბობენ და კულტურულ ავტონომიასაც ითხოვენ.**

— რა გავაკეთოთ აფხაზები რომ შემოვირიგოთ? — პირველ რიგში, ჩემი ღრმა რწმენით, შერიგება ყოველთვის ბოდიშის მოხდით იწყება. თუმცა, ბოლომდე ესეც არ შველის, უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, რომელიც ორ პატარა ერს შორის სამუდამოდ დაიდება, რათა ეს საშინელება აღარ განმეორდეს. რაც შეეხება სომხების თემას, ეს ავანტიურაა. ეს ტერიტორია მათი არასოდეს ყოფილა. ფილადელფიაშიც ცხოვრობენ და ე.ი. სომხებისაა? ისინი იქ ცხოვრობენ, სადაც კარგად არიან. ბოლობოლო აფხაზები მაინც გაიგებენ რა ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთში. ჩვენ შორის შუღლი არასოდეს ყოფილა, იქ, უმრავლესობა სამეგ-






რელოს ხალხი ცხოვრობდა და ნათესაური ურთიერთობა იყო. მეგრულ ძმობას რომ სომხური ვერ შეედრება, ამაზე ორი აზრი არაა. აფხაზები ხვდებიან ამას.

**— ბატონო ანზორ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტიდან უკვე 23 წელი გავიდა და აფხაზებთან ურთიერთობის მოგვარების თვალსაზრისით, ვერცერთი ხელისუფლების პირობებში, წინ ვერ წავიწიეთ. ეს რისი ბრალია?**

— ისტორიული მეხსიერება ისეთია, ჯერ ვერც გადაიდგმება ვერანაირი ნაბიჯები.

**— ასე იქამდე მივედით, რომ რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა ცნო.**

— რუსეთმა ბევრი რამე აღიარა და ეს მათი ტრაგედიაა, ჩვენი — არა. რუსეთს ეს ქმედება უბრალოდ, დაჭირდა. მან მაშინ აშშ-ს სთხოვა კოსოვო არ ეღიარებინათ. პუტინმა აშშ-ს განუცხადა: თუ თქვენ კოსოვოს აღიარებთ, ჩვენც გვაქვს საშინაო დავალებაო და მართლაც, საქართველოს ხარჯზე აფხაზეთი აღიარეს. ამით აშშ-ს უკბინეს და რაც მთავარია, ჩვენ ჩამოგვაცილეს ტერიტორიის ერთი მეხუთედი, რაზეც მთელი ცხოვრება უნდა ვიდარდოთ.

**— როგორ ფიქრობთ, პრობლემების მოგვარების მიზნით რუსეთთან დალაპარაკება არ უნდა ვცადოთ?**

— ჩვენთან ისეთი განწყობაა, რუსეთს ვერცერთი ხელისუფალი ვერ დაელაპარაკება თუ არ იქნა ზუსტად განსაზღვრული ხალხის ნება,რომ მას დაველაპარაკოთ. ეს ნება ხალხში არ არსებობს, რადგან შეურაცხყოფილები ვართ. ერთ ისტორიას მოგიყვებით. 2004 წელს ერთ ძალიან დიდი თანამდებობის პირთან სასაუბროთ მოსკოვში ჩავედი. რუსების პოლიტიკას კარგად ვიცნობ. იცით, რა მითხრა ამ პიროვნებამ? — ანზორ, დაიმახსოვრე, ჩვენ აფხაზეთსა და ოსეთს ასე უბრალოდ არ მოგცემთო. ვკითხე, უნდა ვივაჭროთ-მეთქი. კი ვივაჭრებთო. ვკითხე: რა გვაქვს ასეთი სავაჭრო-მეთქი. მიპასუხა: თქვენ რა შუაში ხართ, ჩვენ ამერიკელებთან ვივაჭრებთო. გესმით, ჩვენ რუსებისა და ამერიკელების ხელში სავაჭრო ობიექტი ვართ. ისინი ერთმანეთში ივაჭრებენ და თუ შეთანხმდებიან დაგვიბრუნებენ აფხაზეთს თუ არა, ასე დავრჩებით. ეს ჩვენზე არაა დამოკიდებული. რაც არ უნდა გავიჭაჭოთ, არაფერი გამოვა. მთელი ცხოვრება ასე იყო — ჩვენი ქვეყნის ინტერესი ხან ბიზანტიას ჰქონდა, ხან ირანს, ჩვენს გამო ხან ბიზანტია და ირანი ჩხუბობდა, ხან ირანი და თურქეთი, ორივეს ხელში ვიჭყლიტებოდით.



**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მარნეულში მომხდარი პროვოკაცია გიგა ბოკერიამ დაგეგმა

5 გვ.

**რამ ახლა, კონკრეტულ მომენტში მაინც მარნეულში არჩევნების მეორე ტურის შედეგები და სიმშვიდე მაინტერესებს.**

— დიახ, ამ არჩევნებისთვის აუცილებელია სიმშვიდე მოსახლეობაში. საარჩევნო პროცესი უნდა იყოს იდეალური, ყველაფერი უნდა კონტროლდებოდეს. მობილიზებულნი უნდა იყვნენ სამართალდამცავები, არასამთავრობოები, ჟურნალისტები. ყველაფერი უნდა იყოს ყურადღების ქვეშ, რომ რაიმე სახის პროვოკაცია და ექსცესი არ მოხდეს.

აქვე მინდა ჩემი კმაყოფილება გამოვხატო სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიმართ, რომლებმაც, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულად დაშავდნენ, მათი მხრიდან არავითარი უხეშობა, ზეწოლა და ძალადობა არ ყოფილა. ბიჭები კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ და რომ არ მოსულიყო სპეციალური დანიშნულების ჯგუფი, მარნეულში, შეიძლებოდა, უბედურება დატრიალებულიყო.

დიდი მადლობა ქართველ მოსახლეობასაც. მათ შეგნებულად შეიკავეს თავი და არ წამოეგნენ პროვოკაციას.

ინციდენტი პროვოცირებული იყო, როგორც გითხარით, „ნაცმოძრაობის" ძველი და ახლა სახეშეცვლილი აქტივისტებისა და მარნეულის სხვა სოფლების „ნაცმოძრაობის" წევრების მიერ. ისეთი სახეები ჰქონდათ, მზად იყვნენ, ყველაფერზე წასულიყვნენ, ყველაფერს ჩაიდენდნენ, ისეთი ხალხი იყო მობილიზებული.

ახლა გამოდის ბურჭულაძის წარმომადგენელი **ისმაილ ბაირამოვი** და ამბობს, ვითომ მივიდა ხალხთან, სთხოვდა, რომ სიმშვიდე შეენარჩუნებინათ და ა. შ. მაგრამ სინამდვილე ისაა, რომ თვითონ **ისმაილ ბაირამოვი და იმამ ჟულიევი** აქტიურად იყვნენ ჩართული იმ ამბებში, რასაც წმინდა წყლის პროვოკაცია ჰქვია — ისროდნენ ქვებს, ამტვრევდნენ მაღაზიის მინებს, აწყობდნენ ზეწოლებს, ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ყბა ჩაუმტვრიეს. ახლაც საავადმყოფოში წევს ის ადამიანი და ამას აკეთებდნენ 500-600 ახალგაზრდასთან ერთად, რომლებიც ბანდიტურად ჰყავდათ შეკრებილი.

ყველაფერი ეს იყო წინასწარ დაგეგმილი **გიგა ბოკერიას** მიერ. მისი მითითებით ხდებოდა ყველაფერი. „ნაცმოძრაობის" ძველი ლიდერებიც ხშირად იკრიბებოდნენ შტაბებში წინასაარჩევნოდ.

**— რითი დაამტკიცებთ, რომ ნამდვილად გიგა ბოკერიამ დაგეგმა ეს პროვოკაცია?**

— „ნაცმოძრაობის" ყველაზე დიდი იდეოლოგი დღეს გახლავთ **გიგა ბოკერია**. გაიხსენეთ მის მიერ ორგანიზებული გლდანის ეკლესიის დარბევა, 7 ნოემბერი, 26 მაისი, ინციდენტი მარნეულში გამგებლის არჩევნების დროს, ზუგდიდის სოფელში მომხდარი ინციდენტიც არ დაგავიწყდეთ, ბოკერიას სცემეს მაშინ. თვითონ იყო და არის ყველაფრის ორგანიზატორი. მას გავლილი აქვს სერიოზული წვრთნა ევროპასა და ამერიკაში იმისთვის, როგორ უნდა ავნოს საკუთარ ქვეყანას.



ეს გამოცდილება ახლა გამოიყენა ქვემო ქართლში, აზერბაიჯანულ მოსახლეობაში.

მე მოხარული ვარ, რომ შეგნებულმა აზერბაიჯანელმა ხალხმა ხმა ამოიღო, მიუხვდნენ ნაციონალებს ჩანაფიქრს. მათ სურთ, ეროვნულ მტრად გამოცხადდნენ აზერბაიჯანელები. „ნაციონალური მოძრაობის" ნარჩენმა ნაგავმა უნდა გაიგოს, რომ მათ დანაშაულებრივ გაერთიანებას მომავალი არ აქვს.

მალე, როცა დამთავრდება მეორე ტური და „ქართული ოცნება" დამაჯერებელ უმრავლესობას მოიპოვებს, ნაციონალები თვითონ დაიშლებიან, მათ საზოგადოებაში ყველანაირი ნდობა დაკარგეს.

სწორედ ის ხალხი, ვინაც ახლა პროვოკაცია მოაწყო, ისინი იყვნენ 9 წლის განმავლობაში რეგიონში აზერბაიჯანული მოსახლეობის შემვიწროებლები და მათი უფლებების დამრღვევები.

ყოფილი საკრებულოს დეპუტატების მიერ აზერბაიჯანული მოსახლეობა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ სააკაშვილი ამ არჩევნებში მოიგებდა, ჩამოვიდოდა ოდესიდან და აპირებდნენ ზურნა-დოლით შეხვედრას. ამ იმედებს აძლევდნენ, ამას ჰპირდებოდნენ უბრალო ხალხს, მაგრამ ეს ფუჭი იმედები 8 ოქტომბერს დაიმსხვრა. „ქართულმა ოცნებამ" გაიმარჯვა, თუმცა უკეთესი შედეგები შეიძლებოდა ყოფილიყო, უფრო აქტიური მუშაობა რომ წარმოებულიყო, უფრო ძლიერი შტაბები რომ ჰქონოდათ, მეტი ერთგული ხალხი რომ შემოეკრიბათ. „ოცნების" ხელმძღვანელობას, მოღალატეების რწმუნებით, ეგონათ, რომ ზოგიერთი უბნიდან 60-80%-ს აიღებდნენ და 30-40%- მოიპოვეს. ეს ნამდვილად ღალატის ტოლფასია.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში აზერბაიჯანელებით დასახლებულ რეგიონებში სერიოზული ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. ეს, შეიძლება, დღეს საქართველოში ბევრმა არც იცოდეს, რადგან, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო ინფორმაციის სიმწირეა ქვეყანაში, არ პიარდება ხელისუფლების მიერ განხორციელებული საქმეები.

ქვემო ქართლში გაუთვითცნობიერებელ მოსახლეობას პროვოკატორები ეუბნებოდნენ: ბეშ, ბეშ და მოსახლეობაც აძლევდა ხმას 5 ნომერს. მე არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, იქ ჩემი ხალხია, ჩემი ხალხი მე მიყვარს, მაგრამ გული მტკივა, რატომ უნდა იყვნენ აზერბაიჯანელები ამ მდგომარეობაში?!

**ირანდა კალანდაძე**
594 56 11 18

# რა ქნას „ქართულმა ოცნებამ“, ამომრჩევლებს უთხრას, ბევრ ხმას ნუ მოგვცემთ, თორემ შეიძლება საკონსტიტუციო უმრავლესობით მოვიდეთ პარლამენტში და, არიქა, თქვენც არ დაგღუპოთ და თავიც არ დავიღუპოთო

დასრულდა საპარლამენტო არჩევნების ძირითადი ეტაპი და ატყდა განგაში, არიქათ, რამდენიმე საარჩევნო ოლქში ჩასატარებელი მე-2 ტურით „ქართულმა ოცნებამ“ არ მოიპოვოს საპარლამენტო უმრავლესობა, თორემ დაგვექცევა თავზე ქვეყანაო; „ოცნების“ კანდიდატებს არ მისცეთ ხმა, ერთადერთი პროდასავლური ძალა, რომელიც შემოგვრჩა არჩევნების შედეგად, იმას არგუნეთ თქვენი ხმა, ანუ „ნაციონალურ მოძრაობასო“.

რეალური სურათი ასეთია — საპარლამენტო არჩევნების შედეგებით პარლამენტსმიღმა დარჩენილი პარტიების ნაწილი არ აპირებს მე-2 ტურში მხარდაჭერის გამოხატვას არც ერთი პარტიის მიმართ და არც თავიანთ ამომრჩეველს მოუწოდებენ. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ მიუღებლად თვლიან „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლობის არსებობას, რადგან მეორე მხარეს უმეტეს შემთხვევაში „ნაცმოძრაობის“ კანდიდატები არიან წარმოდგენილი, თვლიან, რომ ისევ „ოცნების“ კონსტიტუციური უმრავლესობა სჯობს ვიდრე მეტი „ნაცი“ პარლამენტში.

„ქართული ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობით მოსვლის მოწინააღმდეგეების, ანუ მგოდებლების ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია მთლიანი სურათის დასანახად, ამავდროულად, საქილიკოც და აღმაშფოთებელიც.

გიორგი ვაშაძე, რა თქმა უნდა, ამომრჩეველს მოუწოდებს რომ მე-2 ტურში ხმა არ მისცენ „ოცნებას“, მხარი დაუჭირონ „ნაციონალურ მოძრაობას“ — ვითომდა სხვა გამოსავალი არ არის, სახელმწიფოს ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთ, თორემ საკონსტიტუციო უმრავლესობა საფრთხეა ქვეყნისთვისაც და თვითონ „ოცნებისთვისო“; იგივეს ამბობდა ნიკა რურუაც, „ყველა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს, რომ არ დაუშვას „ქართული ოცნების“ აბსოლუტური ძალაუფლება, რადგან ეს ღუპავს ქვეყანას. ყოველდღე უნდა ველოდოთ ახალ ხასიათზე გაღვიძებულ ივანიშვილს. თუ მათ ექნებათ საკონსტიტუციო უმრავლესობა, აქ ცხოვრება საგიჟეთს დაემსგავსება“.

რა თქმა უნდა, იგივე აზრზე იდგება ზურაბ ჭიაბერაშვილიც, მაგრამ დიდ გულზე არის ეს კაცი, გავაკეთებთ ყველაფერს, რომ წინ აღვუდგეთ ივანიშვილს ყველა ბრძოლაში და საკონსტიტუციო უმრავლესობის აღების საშუალებას არ მივცემთო. ქართვლის დედას ხომ გააგდებინა ხმალი და ახლა საკონსტიტუციო უმრავლესობას ეტევება...

„მაქსიმალურად უნდა გამოვგლიჯოთ ბიძინა ივანიშვილს საპარლამენტო მანდატები ხელიდან, ერთპარტიული დიქტატის საფრთხე!“ — საიდანღაც დაიწრიპინა ელენე ხოშტარიამაც. ივანიშვილი რა შუაშია, ბიძინა გეგიძეს თვით როგორ უპირებს ნეტავ, საპარლამენტო მანდატის გამოგლეჯას?

„ბანმაც“ რომ ჩაიდუდუნა? — ვფიქრობ, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება ძალიან მტკივნეული იქნება საქართველოის მომავლისთვის, ამიტომ, რაც უფრო თანაბრად გადანაწილდება ძალები, მით უფრო უკეთესიაო. ვინმე რომ ჩასძიებოდა „მტკივნეულობაზე“, ნეტავ, როგორ გაშლიდა თემას?

„ახალი მემარჯვენეები“ ვის დაჰკარგვია, მაგრამ მამუკა კაციტაძემ სიტყვა დააგდო, ვითომ „კაი ტიპობა“ წაიეშმაკა, არც „ოცნებას“ მისცეთ ხმა და არც „ნაციონალებს“; კიდევ უფრო კარგი ფორმაა თუ გადახაზავთ ორივე პარტიას და საერთოდ, ცხოვრებიდანაც თუ გადახაზავთ, უკეთესი იქნებაო. თვით კაციტაძე და მისი პარტია ისე არიან მიხაზულმიგვირისტებული „ნაცმოძრაობასთან“, წლებია ვერაფრით მოსწყდნენ მის ორბიტას და რა მოწოდებები აუტყდა ვითომ?



„მინდა ჩემი პოზიცია გავხადო საჯარო. მე ვაპირებ არჩევნების მე-2 ტურში მისვლას და ხმის მიცემას საკონსტიტუციო უმრავლესობის საფრთხის წინააღმდეგ. მესმის, რომ შანსი ძალიან, ძალიან პატარაა, მაგრამ ჩემთვის ეს პრინციპის საკითხია და ვალდებულებაა ჩემი შვილების წინაშე“.

ეს კაცი რაშიც ადანაშაულებს „ენმ-ს“, იმ დროს იმ პარტიის წევრი არ იყო?

რაც შეეხება „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობისადმი შიშს — აბა, გადავხედოთ, ვის ეშინია ამ უმრავლესობის, ვის ეჩვენება საგანგაშოდ? და ვინც ამ შიშს ამჟღავნებს, რეალურად, რა აწუხებს?

გასული ოთხი წლის განმავლობაში ვაჭრობა რომ იყო გამართული პარლამენტში თითქმის ყველა საკითხზე, რასაც საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდებოდა, ეს იყო ნორმალური? როცა თვით ის პარტიებიც კი, რომლებიც მმართველ კოალიციაში იყვნენ („რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“, „კონსერვატორები“, „ეროვნული ფორუმი“, „მრეწველები“), თითიდან გამოწოვილი მიზეზებით აგდებდნენ კანონებს? ძალიან ბევრ თემებში, რაც იყო პრინციპული, ბევრი პროექტი პარლამენტში თუ პარლამენტსგარეთ, ისინი, პოლიტ-ვაჭრები, როგორც წესი, ოპოზიციის როლში რომ ევლინებოდნენ ხელისუფლებას? ვის შეიძლება დავიწყებოდა რა რია-რია იყო პარლამენტში, როდესაც უსაფრთხოების სამსახური გამოეყო პოლიციას. დამოკიდებულება ჩანდა ერთი და იგივე, რაც ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, რომ როგორმე დაესუსტებინათ პოლიცია და დაესუსტებინათ უსაფრთხოების სამსახური — ყოველ შემთხვევაში, სავაჭრო თემად იქცა და ასეთი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებელ ადამიანებში.

ბოლოს და ბოლოს, როდესაც კოალიცია დაიშალა როგორ მოიქცნენ კოალიციისგან დარჩენილი დაფანტულ-გაგულისებული პოლიტიკური სუბიექტები. ნაცვლად იმისა, რომ მიეწერათ ერთობლივად მიღებული დადებითი გადაწყვეტილებები და ეამაყათ, ყველა მხრიდან თავს ესხმოდნენ თავიანთსავე ხელისუფლებასა თუ მის ცალკეულ ლიდერებს და უსაფუძვლოდ მკვეთრ კრიტიკაზე იყვნენ გადასულები.

საქმე იმაში გახლავთ, რომ რეალურად არავის აქვს „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის შიში იმ მხრივ, რომ ქვეყანა დაინგრევა; დამყარდება ავტოკრატია... დანამდვილებით იცის ყველამ, რომ არ განმეორდება ის უბედურება, რაშიც „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს იყო ხალხი და ქვეყანა... ეს შიში ერთი ჩვეულია ფარსია, რომელიც საპარლამენტო ვაჭრობის დაკარგვასთან ერთად, სხვა „რაღაცეებსაც“ მოიცავს, თორემ მოცემული მდგომარეობით, სწორედაც რომ საჭიროა „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობა, სხვაგვარად, დამაბრკოლებელი ელემენტების არსებობის გამო, ვერ მოხერხდება ქვეყნის სწრაფი განვითარება.

ხალხის აზრი ასეთია: — დემოკრატიისთვის ის არის კარგი, რომ მმართველ პარტიას „ნაცმოძრაობასთან“ არ მოუწევს ზედმეტ დათმობებზე წასვლა. სხვა, უფრო პროგრესულ პარტიებს რომ დაეკავათ „ნაცების“ ადგილები, იქნებოდა სათქმელი, ცუდია, რომ „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვსო, მაგრამ ამ მოცემულობაში ასე სჯობს, „ნაცებზე“ არ უნდა იყოს დამოკიდებული სააკაშვილის თარგზე მოჭრილი კონსტიტუციის შეცვლა-შესწორება. Eე.წ ოპოზიციურმა პარტიებმა არ გაიგეს თუ ვერ გაიგეს, რომ ამომრჩევლისთვის „ნაცმოძრაობის“ ყოველმხრივი ძალადობა ბევრად მიუღებელია, ვიდრე მიზეზთა გამო „ოცნების“ უნიათობა თუ შეცდომები.

იქნებ, „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობის შიშის საფუძველი ქვეყნის დანგრევა კი არა, ცალკეულ პირთა მიტაცებული, გაფუფუნებული ყოფის დაკარგვის შიშია?

რატომაც არა? „ქართულ ოცნებას“ უფლება მიეცემა მიიღოს ყველა გადაწყვეტილება რომელიც შესაძლოა გაფორმდეს კონსტიტუციით. საკონსტიტუციო უმრავლესობას შეუძლია: კონსტიტუციის შეცვლა, ყველა კანონის მიღება, მთავრობის დაკომპლექტება, უნდობლობის გამოცხადება, იმპიჩმენტი საკონსტიტუციო



სასამართლოს დასტურის შემთხვევაში (უმაღლესი თანამდებობის პირების პასუხგებაში მიცემის, კონსტიტუციის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის ბრალდებით მათი საქმეების პარლამენტში სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი). ნებისმიერი თანამდებობის პირის, რომელსაც პარლამენტი ირჩევს, თანამდებობაზე გამწესება, ანუ ყველა ეს უფლებამოსილება რომელიც პარლამენტს აქვს, შეიძლება მიღებული იქნას საკონსტიტუციო უმრავლესობით.

მოკლედ რომ ვთქვათ, თუ გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ვინც ამომრჩეველს მე-2 ტურის შემთხვევებში მოუწოდებს ხმა მისცეს „ნაციონალურ მოძრაობას“ (შეფარული სახელით „ოპოზიციურ პარტიებს“) იმ მოტივით, რომ კონსტიტუციური უმრავლესობით „ქართული ოცნება“ მოახდენს ხელისუფლების უზურპაციას, „ნაცმოძრაობის“ ჩვეულებრივი მოკავშირეები არიან ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა დანაშაულს დანაშაულზე სჩადიოდა.

ლოგიკა ის არის, რომ თუ პარტია „ოცნება“ და „ოცნების“ კანდიდატები სწორად არიან არჩეულები, ანუ ნამდვილად სახელმწიფოებრივად აზროვნებენ, საკონსტიტუციო უმრავლესობა მხოლოდ დადებითი შედეგის მომტანი იქნება ქვეყნის სწორი და სწრაფი განვითარების საქმეში.

ყველა ე.წ პოლიტიკური ექსპერტი, რომელიც „ოცნების“ საკონსტიტუციო უმრავლესობაზე საუბარს „ნაციონალური მოძრაობის“ საკონსტიტუციო უმრავლესობასთან შედარებით იწყებს და აქედან გამომდინარე აყალიბებს „რაღაც რისკ-ფაქტორებს“, ნებსით თუ უნებლიედ, იმთავითვე შეცდომაში შეჰყავს მე-2 ტურისთვის შემზადებული ამომრჩეველი.

ამ დროისათვის ხელისუფლება აცხადებს, რომ მხოლოდ კონსესუსის საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებებს და არა უსიტყვოდ, უმრავლესობის ძალისმიერად და რატომ უსწრებენ მოვლენებს? შეგნებულად თუ შეუგნებლად (პოლიტ-ექსპერტი შეუგნებლად როგორ უნდა საუბრობდეს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე), რატომ ადარებენ საქართველოს გამომჭმელ მიხეილ სააკაშვილს საქართველოზე გადაგებულ ქველმოქმედს, ბიძინა ივანიშვილს? რა მხრივ უნდა სჭირდებოდეს ბიძინა ივანიშვილს საქართველოს კონსტიტუციის ჭრა-კერვა საკუთარ თარგზე?

ბოლოს და ბოლოს, რა უნდა მოიმოქმედონ, არჩევნების შედეგები გააყალბონ, აქაოდა, „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ ჰყავდესო? ხალხმა თუ უმრავლესობით აირჩია, დიახაც, რომ უნდა ჰქონდეს უმრავლესობა, რადგან სწორედ ხალხია ხელისუფლების ამრჩევი!

**გიორგი ჩხეიძე**

# პოლიტიკური არითმეტიკის თავისებურებანი

არჩევნების წინ დაბალრეიტინგიანი პოლიტიკური პარტიები ინტენსიურად იწყებენ ხოლმე საუბარს გაერთიანების აუცილებლობის შესახებ. თითქოსდა, რამდენიმე პარტიის ერთად თავშეყრა და ერთი ქუდის ქვეშ მოქცევა, ავტომატურად გამოიწვევს მათი რეიტინგების ერთად შეკრებას, რომელიც ჯამში სერიოზული შედეგების მიღწევის საშუალებას მისცემს ერთ პოლიტიკურ ძალად ქცეულ პარტიათა გაერთიანებას.




ისინი ფირობენ, რომ ახალ კოალიციაში შემავალი, ვთქვათ, 4 პარტიიდან თუ ერთის რეიტინგი უდრის 3 პროცენტს, მეორისა 1,5 პროცენტს, მესამის 2 პროცენტს, მეოთხის 2,5 პროცენტს, მათი ერთად შეკრების შემთხვევაში, ჯამში მივიღებთ 9 პროცენტს (3+1,5+2+2,5+9).



სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პოლიტიკა არ არის არითმეტიკა, რომ რეიტინგების მაჩვენებელი ციფრები ერთად იკრიბებოდეს და მაღალ მაჩვენებელს იძლეოდეს.

პოლიტიკაში რამდენიმე სუბიექტის გაერთიანება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მანიცდამაინც რაღაც გვემატება რეიტინგის თვალსაზრისით — შეიძლება პირიქით მოხდეს და მომატების ნაცვლად მოგაკლდეს.

ასე მაგალითად, პაატა ბურჭულაძის პოლიტიკურ ორგანიზაციას „სახელმწიფო ხალხისთვის“ არაფერი მომატებია იმით, რომ მას რამდენიმე სუბიექტი შემოემატა, ისე, როგორც არაფერი დაკლებია იმით, რომ სულ მალე ერთი სუბიექტი გამოაკლდა.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ბურჭულაძე ამ მიმატება-გამოკლების გარეშეც, ცალკე, დამოუკიდებლად, იგივე ხმებს მიიღებდა, რაც სხვებთან ერთად მიიღო (შეიძლება ცოტა მეტიც მიეღო...).

იგივე სურათი განმეორდებოდა „პატრიოტთა ალიანსის“ შემთხვევაშიც...

ასე რომ, პოლიტიკა არ არის ჩვეულებრივი არითმეტიკა, როგორც ეს ვიღაც-ვიღაცებს წარმოუდგენიათ.

ისე, როგორც სულელს



პლუს სულელი არ უდრის ჭკვიანს, ასევე არ უდრის დაბალრეიტინგიანს პლუს დაბალრეიტინგიანი მაღალრეიტინგიანს.

ამასწინათ ბატონი კახა შარტავა გამოვიდა საინტერესო ინიციატივით — პროდასავლურმა პარტიებმა უარი ვთქვათ საკუთარ პარტიებზე და მათ ნაცვლად, მათ ბაზაზე ერთი მძლავრი და დიდი პარტია შევქმნათო.

ეს ინიციატივა, რომელიც მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს საინტერესო, სინამდვილეში კი უფრო ავანტურიზმისკენ იხრება, შეიძლება ითქვას, რომ იმ შეკრებითობის პრინციპს ეყრნობა, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

ამ ე. წ. პროდასავლური პარტიების შეკრებით, რომელთა რეიოტინგი უკვე წლებია, 3-4 პროცენტს ვერ გაასცდა, არა მგონია, ისეთი ავტორიტეტული და პოპულარული პოლირიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდეს, რომელსაც შეეძლება ღირსეული კონკურენცია გაუწიოს სხვა პარტიებს.

ერთი გასაოცარი ამბავი ხდება საქართველოში, რომელსაც ძნელია ახსნა მოუძებნო.

სხვადასხვა კვლევებით დადგენილ ფაქტად ითვლება, რომ საქართველოს მოსახლეობის 70-80 პროცენტი პროდასავლური ორიენტაციის ერთგულია, თუმცა პარტიები, რომლებიც დაჟინებით ხაზს უსვამენ თავიანთ პროდასავლურობას, არჩევნებზე 3-4 პროცენტზე მეტს ვერ იღებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ან მოსახლეობას არ სჯერა ამ პარტიების პროდასავლურობისა, ან თვითონ მოსახლეობა არ არის იმ მასშტაბების პროდასავლური, როგორც ამას ოფიციალური თუ არაოფიციალური კვლევები წარმოაჩენენ.



იმ დროს, როცა „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც შუასაუკუნეებისა და ფაშიზმის მეთოდებით მართავდა ქვეყანას, ერთადერთ ყველაზე სანიმუშო და ყველაზე სამაგალითო პროდასავლურ ძალად წარმოაჩენს თავს და ამას დასავლეთი არ აპროტესტებს, აპროტესტებს კი არა, მხარს უჭერს, ლობირებს ამ კრიმინალურ წარმონაქმნს, სულაც არ არის გასაკვირი, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ეჭვის თვალით უყურებდეს ყველა პარტიას, რომლებიც პროდასავლური იარლიყის მიწებებას ცდილობენ.

ასეთი უცნაურია პოლიტიკური არითმეტიკის თავისებურებანი, რომელიც ჩვეულებრივი არითმეტიკის წესებს არ ემორჩილება და თავისი განსაკუთრებული და განსხვავებული ლოგიკით იმართება.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# ბაკურ ეფენია:
# ყველა ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ცოტნე დადიანის შთამომავალია თუ შადიმანების და ჯოლორიების...



## ნაციონალებისთვის ხმის მიმცემი ქვეყნისა და ერის გამყიდველია

საპარლამენტო არჩევნების თემაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი ლიდერის აქტიურობამ და „ნაციონალური მოძრაობის“ ღია მხარდაჭერამ საზოგადოებას ზვიად გამსახურდიას საიდუმლოებით მოცულ გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე გადაღებული კადრები გაახსენა, სადაც ირინა სარიშვილი საქართველოს პირველ პრეზიდენტს საფრთხობელას და ერის სირცხვილს უწოდებს. ედპ-ს ლიდერი საქართველოდან პრეზიდენტის ცოცხლად გაშვებასაც ახსენებს და ამბობს, რომ გამსახურდია საქართველოში უნდა დარჩეს, ოღონდ სახეცვლილ მდგომარეობაში: „კაცი, რომელიც წელიწადზე ცოტა ნაკლები საფრთხობელად იყო და შემდეგ გროზნოში გავუშვით და სხვათა შორის, ის პირები არანაკლებ პასუხისმგებლები არიან დღეს, ვინც ის ცოცხალი გაუშვა. მაპატიოს ღმერთმა ამას რომ ვამბობ.“„თითოული ჩვენგანის სირცხვილია, რომ ეს ადამიანი პრეზიდენტი გახდა და დღეს კიდევ მიწაზე დადის. კიდევ აქ ჩამოვიდა და კიდევ რაღაც მუქარებს გზავნის.“ რა კავშირია 1993 წლის კადრებსა და ირინა სარიშვილის საარჩევნო მოწოდებებს შორის და ზოგადად, რა პროცესები მიმდინარეობს საქართველოში ამაზე ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ეროვნული გვარდიის წევრი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე **ბაკურ ეფენია** გვესაუბრა:



— სოციალურ ქსელებში გავრცელებულმა კადრებმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ უკანონობა უკანონობას შობს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ **საქართველოში დატრიალებული ყველა უბედურების სათავე 1992 წლის 6 იანვარია, როდესაც შეიარაღებულმა კრიმინალებმა და ავანტიურისტებმა იარაღით დაამხეს კანონიერი ხელისუფლება,**

**სოციალური ქსელების საშუალებით მივწერე სანდრა რულოვსს, რომ ქვეყანის ასარევად მოსულ უცხო ქვეყნის აგენტს და რენეგატს უფლება არა აქვს საქართველოს სახელით ილაპარაკოს.**

**შედეგად კი პრეზიდენტის ლიკვიდაცია მოახდინეს.** სამწუხაროდ, ამ საქმეზე დღემდე წესიერი გამოძიება არ ჩატარებულა და არავინ დასჯილა, რაც ვიღაცეებს უფლებას აძლევს, საზოგადოებას ჭკუა ასწავლონ და არეულობის მოწყობისკენ მოუწოდონ. კოჰაბიტაციის ბრალია, რომ დღეს გაბაშვილსაც სალაპარაკო აქვს, რურუებსაც, ბობოხიძეებსაც და ბოკერიებსაც, ანუ იმ ხალხს, ავტომატებით რომ დარბოდნენ და ეროვნულ ხელისუფლებას ებრძოდნენ. საუბედუროდ, კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, საქართველოს ყოველთვის ცუდსა და უარესს შორის უხდება არჩევა: შევარდნაძე ცუდი იყო, სააკაშვილი უარესი, კოჰაბიტაცია, ერთნაირსექსიანთა ქორწინების მომხრეები და საქართველოს კონფედერაციის მოსურნე რესპუბლიკური პარტია კიდევ უარესი და ა.შ. ეს ყველაფერი კანონიერი ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობამ მოგვიტანა.. სარიშვილმა რაღაც მოინანია და ბობოხიძე ახლაც თავს იწონებს სამხედრო გადატრიალების ორგანიზატორი ვიყავი და თუ საჭირო გახდა, კიდევ მოვაწყობო. ასეთი მოწოდებები ეროვნულებს რომ გვეკეთებინა, გაგვაციმბირებდნენ. ხელისუფლებას კი ასეთი ფაქტები ხელში აქვს და რეაგირებას არ ახდენს. შედეგად მივიღეთ ის, რომ ასაკრძალი პარტია მთავარ ოპოზიციურ ძალად რჩება. რაც შეეხება სარიშვილის მოწოდებებს, საქმე თუ ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერაზე მიდგა, ვიტყვი, რომ ნაციონალებისთვის ხმის მიმცემი ქვეყნისა და ერის გამყიდველია.

**— თავის დროზე, ზვიად გამსახურდიას ერის გახლეჩვასა და დაპირისპირებაში სდებდნენ ბრალს. ორი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ერი დღესაც გახლეჩილი და დაპირისპირებულია...**

— თავს არავინ არ ეძებს, ყველა ბოლოს კითხულობს და იმიტომ. ვიმეორებ, ჩვენი უბედურების სათავე 1992 წლის სამხედრო გადატრიალებაა, რომლის შეფასება არ ხდება. ხელისუფალი, რომელსაც საკუთარი ნება არ გააჩნია და იძულებულია, ხან რუსეთს და ხან ამერიკას უქიცინოს კუდი, ქართულ საქმეს ვერ გააკეთებ, რადგან ეს არც რუსეთის და არც ამერიკის ინტერესებში არ ჯდება. თავის დროზე, ხუნტის ერთმა წევრმა თქვა, საქართველოს მაშინ ეშველება, როცა მეგრელებს სათითაოდ ამოვხოცავთო. მაპატიეთ, მაგრამ რასაც დღეს ვხედავ, 90-იანი წლების გამოძახილი მგონია.

**— რას გულისხმობთ?**

— მედიით თუ სოციალური ქსელებით გვესმის მოწოდება: მეგრელებო, გონს მოდით, მეგრელებო ნაციონალებს როგორ აძლევთ ხმას და ა.შ.? გამაგებინეთ, ამ გაოხრებულმა ნაციონალებმა 27% რომ აიღეს, მარტო მეგრელების იყო?

**— გამოკითხვები ადასტურებს, რომ ნაციონალებს სამეგრელოში ყველაზე მეტი მხარდამჭერი ჰყავს. ზოგიერთები მიხეილ სააკაშვილს ზვიად გამსახურდიასაც კი ადარებენ. არც ის უნდა იყოს შემთხვევით, რომ ნაციონალების სიის მეორე ნომერი დეპუტატად სწორედ სამეგრელოში წარადგინეს.**

— მეგრული გვარი მეგრელობას და ქართველობას არ ნიშნავს. ნებისმიერს დავუმტკიცებ, რომ მაგათი მხარდამჭერების 99% არაქართული სულის, გვარგაყიდული ადამიანია. ასეთები კი სამეგრელოშიც არიან და საქართველოს დანარჩენ კუთხეებშიც. ქართული სულის მატარებელი ხალხის მწამებლებს არც სამეგრელოში მისცემს ხმას





და არც საქართველოს დანარჩენ კუთხეებში. **არ ვიცი, მსოფლიოში თუ არსებობს ხელისუფლება, რომელიც თავის ხალხს ისე იმეტებს, როგორც ნაციონალები იმეტებდნენ. ხმის მიცემა და პარლამენტში შესვლა კი არა, ეს პოლიტიკური ძალა ზუსტად ისე უნდა აკრძალულიყო საქართველოში, როგორც მსოფლიოში ფაშისტური პარტიები აიკრძალა და ჩვენთან კომუნისტური.** რაც შეეხება თქვენს კითხვაში ნახსენებ შედარებას, მე არ მესმის, როგორ უნდა შეადარო ქვეყნისთვის ზვარაკად შეწირულ პრეზიდენტს ადამიანი, რომელმაც საქართველოს მოქალქეობაზე უარი თქვა და კურდღელივით გაიქცა? ზვიად გამსახურდია საქართველოს ფედერალიზაციას რომ დათანხმებოდა, ცოცხალი დარჩებოდა, მაგრამ უარი თქვა და ფიზიკურად გაანადგურეს. სააკაშვილი აფხაზეთის ომის დროს, როცა მისი ტოლი ბიჭები სამშობლოს იცავდნენ, უკრაინაში სასწავლებლად გაიქცა. 2008 წელს სამაჩაბლოს ომიდანაც გამოიქცა და ჯარი მიატოვა. გვარს არ დავასახელებ და შავშვებში მაგისი ერთი გუბერნატორი რუსების შიშით, კაკლის ხეზე იმალებოდა და ძლივს ჩამოვყვანეთ. როგორც გავიგე, სანდრა რულოვსმა თავის რომელიღაც ინტერვიუში პირველი პრეზიდენტის მხარდამჭერები ბანფორმირებებად მოიხსენია. ამ ქალბატონს ვეტყოდი, რომ ბანდფორმირებები მისმა ქმარმა შექმნა ქარდავების, ჭაკუების, კოდუების და ახალაიების მეთაურობით. მისმა ქმარმა დაუკანონა რაც ედუარდ შევარდნაძემ რუსებს მიწები აჩუქა. კოდორის ხეობაში ბოლშევიკები არ შემოსულან და სააკაშვილმა რუსის ჯარი შემოიყვანა... რომელი ერთი ჩამოვთვალო? მე სოციალური ქსელების საშუალებით მივწერე სანდრა რულოვსს, რომ ქვეყანის ასარევად მოსულ უცხო ქვეყნის აგენტს და რენეგატს უფლება არა აქვს საქართველოს სახელით ილაპარაკოს. რაც შეეხება მის მხარდამჭერებს, ადამიანი, რომელიც არჩევნებზე ხუთიანს შემოხაზავს და სანდრა რულოვსს ხმას მისცემს, ზვიად გამსახურდიას სახელის ხსენების ღირსი არაა. სამეგრელო საქართველოს ხერხემალია. ჩვენ აიეტის, ქუჯის და ცოტნე დადიანის შთამომავლები ვართ და არა ყივჩაღების და პაჭანიკების. თუმცა, ყველა ადამიანმა თავად უნდა გადაწყვიტოს, ცოტნე დადიანის შთამომავალია თუ შადიმანების და ჯოღორიების...

**ნელი თორდია**
571 35 36 88



# ვინ ხელმძღვანელობს სამედიცინო ავანტიურას ქართველი ქალების წინააღმდეგ?



ყველას გვახსოვს, ერთხანს ტელევზიებით გადაიცემოდა რეკლამები — ახალგახსნილ „სკრინინგ ცენტრში" ქალებს ეპატიჟებოდნენ უფასო გამოკვლევებზე. ბევრი ახალ ცენტრს საეჭვო დაწესებულებად მიიჩნევდა, რადგან ექიმთან უბრალო ვიზიტი, კონსულტაცია, 30 ლარი ღირდა. ამ დროს კი „სკრინინგ ცენტრი" უფასოდ სთავაზობდა გამოკვლევებს. ცენტრის შექმნას სანდრა რულოვსს მიაწერდნენ.

„სკრინინგ ცენტრის" გახსნიდან დიდი დრო არ იყო გასული და ეჭვი ხალხს კიდევ უფრო გაუძლიერდა. როგორც ამბობდნენ, იქ გამოკვლეულთა უმრავლესობას საოპერაციოდ ამწესებდნენ ცენტრის თანამშრომელთა მიერ მითითებულ კლინიკაში. მართალია, ბევრს არ სჯეროდა, რომ „სკრინინგ ცენტრში" რაღაც მაქინაციები ხდებოდა, მაგრამ კვამლი რომ ცეცხლის გარეშე არ იქნება, ყველას კარგად მოეხსენება.



„სკრინინგ ცენტრის" მუშაობაში გაოცებას ის გარემოებაც იწვევდა, რომ 10 გამოკვლეული ქალიდან 7-ს კიბოს დიაგნოზს უდგენდნენ! ეუბნებოდნენ, მკერდი (ან საშვილოსნო) აუცილებლად უნდა მოიკვეთოთ, თორემ ვერ გადარჩებითო. ძნელი წარმოსადგენი სულაც არ გახლავთ, რაოდენ დიდ ფსიქოლოგიურ თუ სულიერ დარტყმას იღებდნენ პაციენტები. სამწუხაროდ, ბევრი ქალი, მათ შორის, საკმაოდ ახალგაზრდები და გასათხოვრებიც გახდნენ, ფაქტობრივად, ამ ავანტურის მსხვერპლნი.

ქალბატონი, რომელიც ბეწვზე გადაურჩა მკერდის ამპუტაციას, საუბარზე უხალისოდ, მაგრამ მეგობრის ხათრით დაგვთანხმდა, თუმცა ანონიმურობის დაცვა მოგვთხოვა.

**— მოდით, ჩვენი საუბარი დავწყოთ იმით, თუ როგორ მოხვდით „სკრინინგ ცენტრში"?**

— ჩემი ისტორია 6-7 წლის წინ დაიწყო. მარჯვენა ძუძუს არეში სიმაგრე შევნიშნე. მართალია, ჯირკვალი დიდი ზომის არ იყო, მაგრამ შევშფოთდი. მაშინ ექიმთან მისვლა და ანალიზების ჩაბარება, გახსოვთ, საკმაოდ ძვირი სიამოვნება გახლდათ. ამასობაში რეკლამაც ვნახე, რომ ქალებს უფასოდ გვთავაზობდნენ გამოკვლევებს. მეც ამით ვისარგებლე და მივაკითხე. მართლაც ჩამიტარეს გამოკვლევა და მეორე სტადიის სიმსივნე დამიდგინეს. წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ასეთი მძიმე დაავადების დიაგნოზი დამისვეს. ერთადერთი შვილი მყავს, გოგონა, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო. ვინ მოუვლიდა, იმას ვფიქრობდი, ჩემი თავი უკვე გამოვიგლოვე. საშინელი დეპრესია დამეწყო, არ ვიცოდი, რა მეღონა.

**— თუმცა, როგორც ვიცი, ოპერაციას გადარჩით. როგორ მოახერხეთ?**

— უკვე გითხარით, რომ საშინლად ვნერვიულობდი, დეპრესია დამეწყო, აზროვნების თავიც აღარ მქონდა. ახლობლებმა ჩემს დას ურჩიეს, წინასწარ თავს რატომ იგიჟებთ, ექიმები ხომ არ დაილია, სხვაგანაც გადაამოწმეთ დიაგნოზიო. ახლობლების რჩევას დავყჯერეთ და მივაკითხეთ ერთ-ერთ კლინიკას. სიმართლე გითხრათ, წასვლის მეშინოდა და არც სურვილი მქონდა. თუმცა გადავლახე ფსიქოლოგიური ბარიერი და წავედი.

**— რა გითხრეს კლინიკაში, დაადასტურეს „სკრინინგ ცენტრის" დიაგნოზი?**

— საავადმყოფოში ასეთი დაზაფრულები რომ დაგვინახეს, ჩემი გაჭირვება გაიგეს, სიმართლე გითხრათ, საგულდაგულოდ გამსინჯეს, ხელახლა ამიღეს ანალიზები. შედეგების ნახვის შემდეგ ექიმები გამხიარულდნენ, ხუმრობაც დამიწყეს. თავდაპირველად გამიკვირდა, რა მეხუმრებოდა და მეცინებოდა, ქალი ცოცხალ-მკვდარი ვიყავი, ისინი კი იცინოდნენ. რომელი კიბო, რის სიმსივნე, ჩვეულებრივი ანთებითი პროცესიაო, მითხრეს.

**— ოპერაცია დაგჭირდათ?**

— მადლობა ღმერთს, ოპერაცია არ დამჭირდა და ამპუტაციასაც გადავრჩი. რომელი ოპერაცია, ჩვეულებრივი ხანმოკლე მკურნალობა დამინიშნეს, რომელიც სახლში ჩავიტარე. როგორც ხედავთ, ახლა კარგად ვარ. საბედნიეროდ, ტყუილი გამოდგა ჩემი ნერვიულობა და განცდები.

მსგავსი ისტორიები, ალბათ, კიდევ ბევრი მოიძებნება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ერთი, საბედნიეროდ, ადამიანისთვის სასიკეთოდ დასრულებული ამბავი გიამბეთ.

შესაძლოა, მავანი შემოგვედავოს, სანდრა რა შუაშიაო, მაგრამ ჯანდაცვის სისტემას, ძირითადად, სანდრა რომ აკონტროლებდა, საყოველთაოდ არის ცნობილი. ამისთვის არც მაგალითების და არც ფაქტების მოტანაა საჭირო, რადგან ყოველივე მისი ქმედებიდან გამომდინარე, როდესაც ჯანდაცვის მინისტრებს კარნახობდა, რა უნდა ეკეთებინათ, ყველასთვის არის ცნობილი. აი, ასეთი ეშმაკის მოციქული ცდილობს, იყოს საქართველოს ხელისუფლებაში, რაც საშუალებას მისცემს, უფრო დააკნინოს არა მარტო ქართველი ქალი, არამედ მთლიანად საქართველო. მან ერთხელ უკვე თქვა, ქართველები იმის ღირსნი არიან, რომ მკაცრმა ხელმა მართოსო. ახლა არჩევანი თქვენზეა, ამომრჩევლებო, აირჩევთ თუ არა ასეთ ადამიანს — შემოპარულს, შემოგდებულს, რომელსაც სურს სრულიად საქართველოს განადგურება?!

**გია ბურდული**
551 71 27 07

# მცხეთის მოსახლეობა გაოცებულია – ისეთი რა სარგებელი უნდა მიიღოს პარლამენტობიდენ ექსგუბერნატორმა ჩოჩელმა, ამომრჩევლების მოსასყიდად ასე უშურველად რომ ხარჯავს მილიონებს?!



რამდენიმე მაჟორიტარულ ოლქში, მათ შორის მცხეთაშიც გამარჯვებულს მეორე ტური გამოავლენს. „ქართული ოცნების“ კანდიდატი, მცხეთის მოქმედი მაჟორიტარი დიმიტრი ხუნდაძე მცირე სხვაობით უსწრებს კონკურენტს, მცხეთა-მთიანეთის ექსგუბერნატორ ცეზარ ჩოჩელს. როგორც მცხეთელები ერთ-ერთ ინტერნეტგამოცემასთან აცხადებენ, დიმიტრი ხუნდაძის პირველ ტურში გამარჯვება, ამომრჩევლის უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებაა. მცხეთელების მონათხრობზე დაყრდნობით მომზადებულ სტატიაში, სათაურით „ცეზარ ჩოჩელი მცხეთელებმა „გადააგდეს“ საუბარია, რომ ჩოჩელმა შეძლო მცხეთასა და მთელს რაიონში დიდი ფულის დარიგება და დასაქმებული ხალხის დაშინება. არმაზში ფულის დარიგებას თურმე ცეზარ



ჩოჩელის ძმის მძღოლი ხელმძღვანელობდა, ზაქაროში ჩოჩელის კოორდინატორი ზვიად ძაგანიშვილი, ძალისში, წილკანსა და წეროვანში ნაცმოძრაობის ყოფილი თანამდებობის პირები, მუხრანში ყოფილი გამგებელი და პოლიციის უფროსი. თვითმხილველთა გადმოცემით, არჩევნების დღეს მუხრანში ბიზნესმენი (თბილისის პოლიციეს მთავარი სამმართველოს ყოფილი უფროსი – მ.ს.) დავით ზეიკიძე საარჩევნო უბანთან იჯდა და ხალხს უშვერი სიტყვებით აგინებდა, 300.000 ლარი დაგახარჯეთ და თქვენი აჯობებს, თუ დიტომ გაიმარჯვაო. ძალისელები თურმე ღიად საუბრობენ, ერთ-ერთი სახელმწიფო სტრუქტურის ხელმძღვანელის მოადგილე ღიად მუშაობდა ჩოჩელზე, იგი ხალხს არწმუნებდა, „ქართული ოცნების“ ერთადერთი კანდიდატი ცეზარ ჩოჩელიაო. რამდენიმე დღეა „ქართული ოცნების“ მცხეთის და ცენტრალურ საარჩევნო შტაბში ის ადამიანები მიდიან, რომლებისთვისაც მხარდაჭერის სანაცვლოდ ფული შეუთავაზებიათ ჩოჩელის წარმომადგენლებს და ამ „შემთავაზებლების“ ვინაობასაც ასახელებენ. ჩოჩელი იმდენად იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში, რომ არჩევნების დღეს 400-კაციანი სუფრა ჰქონია შეკვეთილი, მაგრამ იმედი გაუცრუვდა, ხალხმა შეთავაზებული ფული კი აიღო, მაგრამ ხმა დიმიტრი ხუნდაძეს მისცა. „დამოუკიდებელი“ კანდიდატი არამარტო რიგითმა ადამიანებმა, იმათაც კი „გადააგდეს“ ვინც მის შტაბს ხელმძღვანელობდაო. სხვათა შორის, „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ფეოდალი ჩოჩელი „ნაცმოძრაობის“ საგრაფოდან“, რესპოდენტები აცხადებდნენ, ჩოჩელი ამბობს, რომ კარგად იცნობს მცხეთელებს, არჩევნებზე უფრო კარგად გაგვიცნობს. ჩოჩელის მცხეთის „რჩეულობას“ კი არა, განსასჯელის სკამზე დასმას ელოდება ხალხი, მათ შორის, ის ადამიანებიც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მის წინასაარჩევნო კამპანიაშიო. გაცხარებულ ჩოჩელს ერთ-ერთ სასტუმროში მაგრად რომ გამოულანძღავს თავისი შტაბის ხელმძღვანელობა (ნაცმოძრაობისდროინდელი ადგილობრივი ჩინოსნები), მცხეთელებმა ეს ჩვენც გვითხრეს. ცეზარ-ბატონს მათთვის „საარჩევნოდ გახარჯული“ ფულის დაბრუნება მოუთხოვია, თან დამუქრებია, ვერსად გამექცევით, თქვენი ყველაფერი ვიცი, თუ მეორე ტურში გვერდით არ დამიდგებით და არ მომაგებინებთ, თითოეულ თქვენგანს „ჩაგიშვებთ“ და დაგაჭერინებთ. მოგების შემთხვევაში ფულის დაბრუნებას აღარ მოგთხოვთ, თუ გვერდით მედგებით, მაგრამ მაინც წამაგებინებთ, უკანასკნელ თეთრამდე დაგაბრუნებინებთო. ერთი სიტყვით, ძალიან მძიმე არჩევანის წინაშე დაუყენებია ეს ხალხი. „ჩაშვება-დაჭერინება“ რომ ჩოჩელის „სტილი“ ყოფილა, ამის შესახებ „საერთო გაზეთი“, უკვე წერდა. ისე, ძალიან საინტერესოა რა გზებით უნდა მოაგებინონ ყოფილმა ჩინოვნიკებმა განმეორებითი არჩევნები, როცა სახარბიელო ავტორიტეტით არ სარგებლობენ ადგილობრივებში, ეტყობა ისევ ამომრჩევლის მოსყიდვაზე გაკეთდება აქცენტი. წყაროს ინფორმაციით, ჩოჩელს საარჩევნოდ ხუთი მილიონი დაუხარჯავს, ზოგიერთი შვიდ მილიონს ასახელებს. არავის ჯიბეში ქექვას არ ვაპირებთ, მაგრამ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, ამისთანა რა სარგებელი უნდა მიიღოს პარლამენტარობიდან ექსგუბერნატორმა, ასე უშურველად რომ ხარჯავს მილიონებს. კომპეტენტური წყაროს განცხადებით, ჩოჩელი ამით ხელშეუხებლობას „ყიდულობს“, იგი 200.000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდაა გათავისუფლებული, რამდენადაც ვიცით ეს საქმე ჯერ არ დამთავრებულა, არჩევნების შემდეგ საგამოძიებო სამსახური ალბათ ისევ მიუბრუნდება, გამორიცხული არ არის სხვა სს-ის საქმეც აღიძრას მის მიმართ, პარლამენტარის იმუნიტეტი პასუხისგებისგან დაიცავს, ოთხი წლის მერე შეიძლება ხანდაზმულობის ვადაც ამოიწუროს და ვეღარაფერს მოედავნენო. ვფიქრობთ, წყაროს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ არის.

მოხდა თუ არა საარჩევნოდ ცეზარ ჩოჩელის მხრიდან მცხეთის რაიონის მოსახლეობის ნაწილის მოსყიდვა, ჩვენ ამის მტკიცებას ვერ მოვყვებით, უბრალოდ იმ ინფორმაციების გასაჯაროება გვინდა, რაც მცხეთის რაიონის მოსახლეობამ მოგვაწოდა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, წეროვანიდან „საერთო გაზეთის“ მკითხველები დაგვიკავშირდნენ, მათი განცხადებით, წეროვანის ე.წ. კორპუსების დასახლებაში ჩოჩელის მომხრეების მხრიდან ადგილობრივთა მოსყიდვა იგეგმებოდა. 5 ოქტომბერს დასახლებაში ჩამოსული იყო დაახლოებით 40 წლის, საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი, თმაშეთხელებული მამაკაცი, რომელსაც ე.წ. დიპლომატის პაპკა ეკავა, რომელიც მმართველ გუნდსა და მის კანდიდატზე უსაფუძვლოდ განაწყენებულ ყოფილ საჯარო მოხელეებს შეხვდა. ვფიქრობთ, ამ ხალხის მეშვეობით აპირებენ ამომრჩეველზე ზეგავლენის მოხდენას. წეროვანში ხმები დადის, რომ ვინც არჩევნებზე ჩოჩელს მისცემს ხმას, 200 ლარს და ამ ბატონის კუთვნილ კომპანიებში დასაქმებას პირდებიან, ხოლო ვინც დასაქმებულია, ემუქრებიან, თუ ჩოჩელს არ დაუჭერთ მხარს, სამსახურიდან გაგყრითო. წყაროს ვარაუდით, მაშინ არ დარიგებულა თანხა, მხარდამჭერთა სიების შედგენა უნდოდათ მათივე ხელმოწერებით, თუმცა ცოტა მოგვიანებით ეს ხალხი ისევ დაგვიკავშირდა, მხარდამჭერებისთვის თანხა უკვე დაურიგებიათო. ამ წინასარჩევნო „ალებ-მიცემობაში“ აქტიურად ყოფილან ჩართულნი, როგორც ყოფილი, ისე ზოგიერთი მოქმედი ჩინოვნიკიც. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ჩოჩელისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ, არჩევნების წინა ღამესაც გაიცა ფული, თანაც გაზრდილი „სტავკით“. წყაროს ცნობით, ამომრჩევლის მოსყიდვა მოხდა როგორც ე.წ. კორპუსების დასახლებაში, ისე სოფელ წეროვანსა და სხვა დასახლებებში. წეროვანის დევნილთა დასახლებაში, სადაც ძირითადად ახალგორიდან დევნილები ცხოვრობენ, ახალგორის მოქმედმა გამგებელმა ნუგზარ თინიკაშვილმა თათბირი ჩაატარა და თანამშრომლებს მოუწოდა, რომ ყველას ჩოჩელის სასარგებლოდ ემუშავათო. ნაციონალების „დამსახურებით“ დევნილები მცხეთის რაიონის სახელით ღებულობს არჩევნებში მონაწილეობას. „საერთო გაზეთი“ უკვე წერდა, რომ ბატონი თინიკაშვილი, რომელიც შევარდნაძის მმართველობის დროსაც იკავებდა ახალგორის გამგებლის თანამდებობას, ცეზარ ჩოჩელის მეჯვარეა და ამ უკანასკნელს ნაციონალებისთვის რომ ესიამოვნებინა, იგი აბსურდული ბრალდებით დააჭერინა. ნუგზარ თინიკაშვილმა ჩვენთან საუბარში უარყო ხსენებული თათბირის ჩატარება, აბსოლუტური ტყუილია, მსგავსი რამ არ ყოფილა, ერთი ადამიანი ხომ მაინც უნდა იყოს, ვინც ამ თათბირს ესწრებოდაო. მოგვიანებით გვაცნობეს, რომ ბატონმა თინიკაშვილმა თავისი ორი მოადგილე გაათავისუფლა, რაც ძალზე საეჭვოდ დაემთხვა ჩვენს სატელეფონო ზარს. ჩვენ ამ ინფორმაციის გადამოწმება ახალგორის გამგებელთან ვცადეთ, ბატონმა თინიკაშვილმა დაგვიდასტურა, რომ მართლაც გეგმავს მოადგილეების გათავისუფლებას, რაც თურმე მისი ექსკლუზიური უფლება ყოფილა. თურმე ეს თანამშრომლები საკუთარი სურვილით ტოვებენ სამსახურს, მერე სხვა მიზეზი დაგვისახელა გამგებელმა, ერთი დიდი ხანია აქ მუშაობს, მეორეს („ქართული ოცნების“ წევრი) თურმე სამსახურის არაჯეროვანი შესრულების გამო ათავისუფლებს, თუმცა ვერ გვითხრა რა იგულისხმება „არაჯეროვნებაში“. ახლა მას აღარც თათბირის ჩატარება უარყვია, ყოველ ორშაბათს ვატარებთ თათბირსო და ზემოხსენებულ თათბირს 60 კაცი ესწრებოდა, მე მათ ვურჩიე „ქართული ოცნებისთვის“ მიეცათ ხმა, რომელმაც ნაცმოძრაობის მარწუხებისგან გაგვათავისუფლა, რაც შეეხება მაჟორიტარობის კანდიდატებს, მხოლოდ ის ვთქვი, ჩოჩელსა და ხუნდაძეს კარგად იცნობთ, იცით ვინ რისი გამკეთებელია, ვინ როგორ დაგეხმარათ, იმის მიხედვით გააკეთეთ არჩევანიო. სხვათა შორის, ჩოჩელთან ნათელმირონობა უარყო ნუგზარ თინიკაშვილმა, მაგრამ ის კი დაადასტურა, რომ ცეზარ-ბატონი მასზე ერთი პერიოდი განაწყენებული იყო, ახალგორის მაჟორიტარად ჩემი ძმის ნაცვლად არც მთლად ღირსეული კანდიდატი რატომ გავიდაო. თინიკაშვილმა ნაციონალების მმართველობისას მის დაჭერაზეც ისაუბრა, თუმცა



ამ საქმეში ჩოჩელის კვალი გამორიცხა. მაინც და მაინც ჩვენი სატელეფონო ზარის მერე რატომ გადაწყვიტა ბატონმა გამგებელმა მოადგილეების გათავისუფლება, პასუხი არცთუ დამაჯერებლად გამოუვიდა, რა ვიცი, ასე გამოვიდაო. ახალგორელებმა გამგებლის სტაჟიანი მოადგილის შესაძლო გათავისუფლება ასე ახსნეს, თინიკაშვილმა თავი დაიზღვია, რადგან აშკარა გახდებოდა, რომ რეალურად „არასანდოობის" გამო გაათავისუფლა მოადგილეობიდან „ქართული ოცნების" წევრი. თან მეორე ტურია ჩასატარებელი და არაფერში ჭირდებათ „უცხო თვალი", რომელიც მათ ნამოქმედარს გაახმაურებსო.

„ავ ენებს" თუ დავუჯერებთ, ცეზარ ჩოჩელის სასარგებლოდ აქტიურ აგიტაცია-პროპაგანდას ძალოვანი სტრუქტურების მოქმედი ჩინოსნებიც ეწეოდნენ. ჩვენ მათი ვინაობაც გვითხრეს, ისევე როგორც სხვა ზემოხსენებულ ყოფილ-მოქმედთა, რომლებიც სავარაუდოდ ამომრჩეველთა მოსყიდვაშიც მონაწილეობდნენ, გარკვეული მიზეზების გამო ამ ეტაპზე მათი ვინაობის გამხელისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებთ. მართალია, ეს ხალხი ახლა იფიცება, ასეთი რამ არ მომხდარა, გვიგონებენო, მაგრამ კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება. იგივე წეროვნელები თურმე კერძო საუბარში არც მალავენ, რომ მავანთა მითითებით მისცეს ხმა ცეზარ ჩოჩელს. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს გვინდა მივმართოთ, დიდი ხანია დამთავრდა ნაციონალების მმართველობის პერიოდი, როცა ფორმიანებს მიშა-მიშას გაყვირებდნენ და ამ ძალის სასარგებლოდ მუშაობას გავალებდნენ, მათ შორის ბინძური მეთოდებითაც. დროა, შეიგნოთ პატივცემულნო, რომ ძალოვანი უწყებებიც აპოლიტიკური სტრუქტურებია და არცერთი მხარის სასარგებლო კამპანიაში არ უნდა ჩაერთოთ, მით უმეტეს, დაშინება-დაშანტაჟების მეთოდით. თუ არ ვცდები, თქვენ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტების გამოვლენა-აღკვეთით უფრო უნდა იყოთ დაკავებული, რაზეც აქტიურად საუბრობენ თუნდაც მცხეთაში, რომ პატიოსანმა ბრძოლამ გადაწყვიტოს რეალურად ვის აქვს ხალხის მხარდაჭერა. მცხეთაში ერთი კურიოზული ამბავიც მოვისმინეთ, რესპოდენტთა თქმით, ცეზარ ჩოჩელი მეორე ტურისთვის გამალებული ემზადება, ხმების სანაცვლოდ „გასამრჯელოს" გაცემა ისევ ძალაშია, „სტავკა" გაზარდეს, მხარდაჭერის სანაცვლოდ 500 ლარია „გათვალისწინებული", ოღონდ ადრინდელივით წინასწარ აღარ დარიგდება (რა იცი, ეშმაკს არ სძინავს, იქნებ ხალხმა ფული აიღოს და ისევ დიმიტრი ხუნდაძეს მისცეს ხმა), ამომრჩევლისგან ღიად ითხოვენ მხარდაჭერას, „გასამრჯელოს" გადახდას კი „პოსლეზე", ჩოჩელის გამარჯვების შემთხვევაში გვპირდებიანო. წყაროს განცხადებით, ბატონი ჩოჩელი არავითარი დამოუკიდებელი კანდიდატი რომ არ არის, ამ არჩევნებმა ნათლად დაადასტურა, ნაციონალურმა მოძრაობამ 5.000 ხმა მიიღო, მათმა მაჟორიტარობის კანდიდატმა კი სულ 1500 ხმა. იმ ამომრჩეველთა უმეტესობამ, ვინც პარტიული სიით ნაცმოძრაობას უჭერდა მხარს, მაჟორიტარობაზე ხმა ჩოჩელისთვის ჰქონდა მიცემული, ასე რომ ექსგუბერნატორმა დამატებით ერთი დეპუტატი აჩუქა „მშობლიურ" პარტიასო.

როდესაც წინამდებარე სტატიას ვამზადებდით, შპს „კასარის" დირექტორი ქალბატონი დოდო (ნანული) თურგოშვილი დაგვიკავშირდა. „კასარი" თრუსოს ხეობაში (სტეფანწმინდის რაიონი) თხევადი ნახშირორჟანგის მოპოვებას აწარმოებდა, თუმცა ეს ქარხანა ახლა ფაქტობრივად გაჩერებულია. თხევადი ნახშირორჯანგი საკვები დანამატია, რომელსაც ლიმონათისა და სხვა სასმელების ასე ვთქვათ, დასაგაზად იყენებენ. ბუნებრივად მოპოვებული ეს ნივთიერება ეკოლოგიურად სუფთაა, განსხვავებით იმ ნახშირორჟანგისგან, რომელსაც აირის წვის შედეგად მიიღებენ, ეს უკანასკნელი მავნე მინარევებს შეიცავს, თუმცა აქტიურად იყენებენ ადგილობრივი



მწარმოებლები. დოდო თურგოშვილის განცხადებით, მას წლების განმავლობაში პრობლემებს უქმნიდნენ სახელმწიფო უწყებები, ყველაფერს აკეთებდნენ ლიცენზიის ჩამოსართმევადო. გაჭირვებულებს „მხსნელად" მაშინდელი გუბერნატორი ცეზარ ჩოჩელი მოვლენიათ, თუმცა უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ბატონ ჩოჩელს მათთვის ჯერ კომპანიის 70%-იანი წილი დაუთმობინებია „ინვესტორის" სასარგებლოდ, აქაოდა საწარმოს ტექნიკური გადაიარაღებას მოახდენენო, წილის გადაფორმების შემდეგ ეს ხალხი თვალით აღარ გვინახავს. მოგვიანებით (სავარაუდოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ) გამოჩნდნენ, მაგრამ ისეთი დანადგარები დაამონტაჟეეს, რომელთა გაშვებაც პრაქტიკულად შეუძლებელიაო. ინვესტორი ჩოჩელის ჩრდილოკავკასიელი მეგობარი და პარტნიორი ასლან ხადარცევი გახლავთ, წილის მფლობელი და ერთი პერიოდი დირექტორიც ჩოჩელის ცოლისძმა გიორგი ჩიტიშვილი, ოფიციალურად ეს წილი ამ ბატონის შვილზეა რეგისტრირებული. ქალბატონი დოდოს განცხადებით, საკონტროლო პაკეტის მფლობელები შეგნებულად არ იხდიდნენ სავალდებულო გადასახადებს და საწარმოს უზარმაზარი ვალები წამოჰკიდეს, რომ ხელოვნურად გააკოტრონ და ხელში ჩაიგდონ. ღა დაპირისპირება ხდება ჩოჩელის ნათესავებსა და დანარჩენ მფლობელებს შორის, ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, ახლო მომავალში აუცილებლად დავუბრუნდებით, რადგან რესპოდენტის განცხადებით, თრუსოს ხეობაში ისე ვითარდება მოვლენები, რომ გამორიცხული არ არის, საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ ერთი კონფლიქტური ზონა გაჩნდეს, რაშიც გარკვეული „წვლილი" ექსგუბერნატორ ჩოჩელსაც ექნება. ჩვენი ერთ-ერთი ადრინდელი რესპოდენტის ნათქვამი, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგაც მცხეთა-მთიანეთის მხარეს ისევ ჩოჩელი მართავს, ვფიქრობთ, სიმართლეა. დოდო თურგოშვილის განცხადებით, გიორგი ჩიტიშვილის მხრიდან „დაწიოკებებს" უკვე სისტემატური სახე აქვს. იგი უკვე ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც გადასულა, მორიგი „გარჩევის" დროს ჩიტიშვილს ქალბატონი დოდო ლითონის დანადგარსა თუ ღობეზე ისეთი ძალით მიუჯახებია, რომ მას სერიოზული მკურნალობა დაჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეს თვეებია მცხეთის სასამართლოში დევს, მოსამართლე ვასილ მშვენიერაძეს ფაქტობრივად არც განუხილავს, თურმე ჯერ დაზარალებულის ადვოკატის დაკითხვითაა დაინტერესებული. ბატონი მშვენიერაძე ცეზარ ჩოჩელის „ზეობისას" მცხეთის სასამართლოს თავმჯდომარე ბრძანებულა, თუმცა დღეს რიგითი მოსამართლეა. დოდო თურგოშვილის განცხადებით, გარემოს დაცვის სამინისტრომ გაჩერებული საწარმო 3.000 ლარით დააჯარიმა. „ეს დარღვევაც გიორგი ჩიტიშვილის გამო მოხდა, მაგრამ ამაზე აღარ ვდაობ. დაჯარიმებას მცხეთის სასამართლო ახდენს. გარემოს დაცვის სამინისტრომ ჩოჩელის კუთვნილ „ბარამბოსა" და „ზედაზენსაც" შეუდგინა საჯარიმო ოქმები, თუმცა მცხეთის სასამართლო არავითარ რეაგირებას არ ახდენს. რატომღაც ჩოჩელის კომპანიები „ხელშეუხებელია", როცა ასეთი ორმაგი სამართლის მოწმე ხდები, მოდი და ნუ დაიჯერებ, რომ ისევ ჩოჩელი არ მართავს მის ყოფილ „სამფლობელოს", ფაქტია, ამ კაცის გავლენები რეგიონში არ შესუსტებულა. პარლამენტარობაც იმიტომ უნდა, რომ ის „საქმეები", რომელთა განხორციელება-დასრულებაც გუბერნატორობის დროს ვერ მოასწრო, ახლა მაინც შეძლოს. ყველაზე მთავარი ისაა, რომ მის „საქმიანობას", შეიძლება ეროვნული შუღლის გაღვივება და უმართავი პროცესები მოყვეს", აცხადებს დოდო თურგოშვილი.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 77



# დუშეთის მუნიციპალიტეტის განცხადება

**მიმდინარე წლის ოქტომბრის დასაწყისში, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შატილში, მწყობრიდან გამოვიდა მცირე ჰესი, რამაც ადგილობრივი მოსახლეობისათვის ელექტრომომარაგების შეწყვეტა გამოიწვია. შექმნილი მდგომარეობის აღმოსაფხვრელად, საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატმა ზაქარია ქუცნაშვილმა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს აქტიური დახმარებითა (მინისტრი-ილია ელოშვილი) და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოქმედებების კოორდინირებით, 2016 წლის 10 ოქტომბერს, მოახდინა მცირე ჰესის დემონტაჟი.**

**მუნიციპალიტეტის გამგეობამ სს „ენერგო—პრო ჯორჯია"-სგან იქირავა დენის მძლავრი დიზელ-გენერატორი (65 კვ/სთ), რომელიც მ/წლის 12 ოქტომბერს ჩატანილ იქნა შატილში, რისთვისაც დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს და სს „ენერგო—პრო ჯორჯია"-ს გაწეული დახმარებისთვის. გენერატორის ასამუშავებლად გამგეობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 7ტ. საწვავი, რის შედეგადაც სოფლის მოსახლეობას ელექტროენერგია მიეწოდება დილის 9:00 სთ-დან — 13:00სთ-მდე; საღამოს 19:00სთ-დან — 23:00სთ-მდე, სულ 8 საათი.**

**აგრეთვე, დუშეთის მუნიციპალიტეტის მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის შატილის ფილიალს მიეწოდა 10 მ3 საშეშე მერქანი და უახლოეს დღეებში შატილის მოსახლეობას (13 ოჯახი) დამატებით მიეწოდება 25 მ3 საშეშე მერქანი.**

**მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა დაზიანებული ჰესის აღსადგენად, რათა უახლოეს მომავალში მოსახლეობას მიეწოდოს ელექტროენერგია. მცირე ჰესის რეაბილიტაციის შემდეგ, შატილს კვლავ აღუდგება 24 საათიანი უფასო ენერგომომარაგება.**

**დუშეთის მუნიციპალიტეტი**



# ვინ დაასწრებს და ვინ ვის ააფეთქებს – მიშა სანდრას თუ სანდრა მიშას?

## სულხან მოლაშვილი სააკაშვილს ცოლის მკვლელობის მცდელობაშიც სდებდა ბრალს?



უფრო დამცირებული, უფრო თავმოყვარეობაშელახული პირველი ლედი დემოკრატიული დასავლეთის ისტორიას არა სცნობია. და ხალხი ამას განიცდიდა. მიუხედავად პრეზიდენტისადმი თითქმის საყოველთაო ზიზღისა და სიძულვილისა, მისი მეუღლე ბევრს ებრალებოდა. ქალბატონ სანდრა რულოვსის ახლო წრე ავრცელებდა ინფორმაციას, რომ მას ჰოლანდიაში წასვლა სურდა, მაგრამ ეშინოდა. „რომ წავიდეს, მიშა მოკლავსო", - მიმტკიცებდა ერთი მისი კეთილისმოსურნე, მეტისმეტად დამამცირებელი მდგომარეობის რაიმენაირად შესარბილებლად. მართლაც, რომელი ქალი არ გაიგებს ამ ხვედრის აუტანელ სიმწარეს? და, ცხადია, მას ისე უნდა დაეჭირა თავი, თითქოს ქმრის ეს უკიდურესად წრეგადასული ცხოვრება, უბრალოდ, არ არსებობდა. და ასეც იჭერდა. მართალია, ეს ისე კარგად ვერ გამოსდიოდა, როგორც ყოჩაღ ჰილარი კლინტონს, როდესაც მისი მეუღლის, პრეზიდენტ ბილ კლინტონის ერთადერთ მორალურ გადაცდომას ისე ფანატიკურად ჩაეძია ამერიკული სასამართლო, რომ ელემენტარულ ნაწილაკებამდე ჩააღწია და მთელი მსოფლიო უხერხულობის შოკში ჩააგდო. ჰილარი კლინტონი კი მთელი ის ხანი მეუღლესთან ხელჩაკიდებული და ამაყად თავაწეული ჩნდებოდა, აქაოდა, ჩვენს მტკიცე ოჯახს მსგავსი პროვოკაციები ბზარს ვერ დაამჩნევსო. და საკუთარი ძალების რამდენად უფრო დიდი დაძაბვა სჭირდებოდა სანდრა რულოვსს! ეს ხომ უწყვეტი სირცხვილი იყო მთელი ცხრა წლის მანძილზე.და ის დაძაბული ეგუებოდა: ქმრის მიერ მისი როგორც ქალის ლამის მძვინვარე უარყოფას. თუმცა, სახეზე სულ უფრო უძლიერდებოდა ჩაკლული სიხარულისა და დაფარული გამწარების კვალი. ეს ცოლების ნება ან ბედისწერაა: ზოგი ქმრისაგან ყველაფერს იტანს „ოჯახის შესანარჩუნებლად", ზოგს პრივილეგიების დათმობას ურჩევნია, სამუდამოდ უარი თქვას ღირსებაზე. ზოგს სხვა გზა არა აქვს და იძულებულია, გულში ჩაიკლას ყველაფერი და ქმარს ბოლომდე დაემორჩილოს. და ყველა გადაწყვეტილებით ბედისწერა იქსოვება. მაგრამ, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი ზუსტად ასევე უდრტვინველად ეგუებოდა ცოლების დაქვრივებას, ბავშვების დაობლებას, დედების გაუბედურებას, ცამდე ასულ მოთქმასა და ვაებას, ადამიანთა მეთოდურ წამებას და პატივის აყრას ციხეებში, სადაც ის ხშირად ჩნდებოდა ხოლმე. ის ეგუებოდა ანთებული სიგარეტით სხეულის დაწვას, ძვალ-სახსართა მსხვრევას, პირში ჩაფურთხებას, ზედ დაშარდვას, ადამიანთა მასობრივ დარბევასა და შემუსვრას... დედისერთა სანდრო გვირგვლიანის თოვლზე დაგდებულ, დასერილ სხეულს, მისი დედის ირინა ენუქიძის გულისგამგმირავ გლოვას, პოლიციის მიერ დაცხრილული უდანაშაულო ახალგაზრდების მიწაზე მოცახცახე სხეულებს, მათი დედებისა და მამების სამუდამოდ გაგმირულ გულებსა და უილაჯობას...

მაგრამ არა მხოლოდ ეგუებოდა... ის, აი, ასეთი ქმრის ერთგული იყო მის შავბნელ საქმეებში: იგი იტყუებოდა შინ და გარეთ, თავის სამშობლოში და საერთოდ, უცხოეთში ყოფნისას, რომ მიშათი უკმაყოფილო მხოლოდ ის კრიმინალური წრეები იყვნენ, ვინც მიშამ სამართლიანად დასაჯა დიადი რეფორმების გატარებისას, ვინც, კაცმა რომ თქვას, ბალასტი გახლდათ აყვავების გზაზე შემდგარი სახელმწიფოსათვის... რომ საჭირო იყო ქართველი ხალხისათვის კისრის მოგრეხა, რადგან სხვაგვარად მისგან არაფერი გამოდნებოდა, და მაშასადამე, „მიშა" სწორედ ის იყო, ვინც ამ ხალხს სჭირდებოდა" და ა.შ. და განა მხოლოდ შიშის გამო გააკეთებს ადამიანი ამას? არა. ქალი, ვისთვისაც სხვისი შვილების დახოცვა-დამცირება საშინელებაა, შეიძლება შიშით გაჩუმდეს, მაგრამ ასე არ იაქტიურებს ადამიანობის წინაშე ჩადენილ დანაშაულებათა გამართლებაში. მაშასადამე, უკვე მაშინ, სანდრა რულოვსის პირველ ლედად ყოფნის სანუკვარ პერიოდში, სულ სხვა იმპულსსაც უნდა ემოქმედა, გარდა სტატუსის შენარჩუნების წყურვილისა: ქვეცნობიერად სანდრა შურს იძიებდა ხალხზე, რომლის თვალშიც ის ესოდენ შეურაცხყოფილი და დამცირებული იყო, ვისაც ის ან ეცოდებოდა, ან არაფრად აღარ აგდებდა. და იგი შურს იძიებდა თავისი მოღალატე ქმრის ხელით. და... ამავე დროს ქმრის გულის მოგებასაც ცდილობდა.- სანდრა რულოვსის შესახებ ეს „მიმოხილვა"სოციალურ ქსელში გამოქვეყნდა და მწერალ ნაირა გელაშვილს ეკუთვნის. ვფიქრობ შესანიშნავი ანალიზია. ვისაც სურდა, რომ დაენახა ყველა ხედავდა ვინ იყო მიხეილ სააკაშვილი და მისი ცივსისხლიანი მეუღლე სანდრა. იმ ავადსახსენებელი ცხრა წლიანი რეჟიმის რეჟისორები.

2004 წელს მიშა სააკაშვილის ბრძანებით სულხანი უდანაშაულოდ დაიჭირეს, აწამეს, ჯოჯოხეთი გაატარეს და ახალგაზრდა, უნიჭიერესი, პერსპექტიული კაცი სასიკვდილოდ გაიმეტეს. იმ დროში, რომელსაც წინა ხელისუფლება აქტიურად ლანძღავდა მარტო ეს ერთი მაგალითი იქნებოდა საკმარისი ბელადის დისკრედიტაციისათვის, კაცთან მეგობრობდი, ოჯახში პატიჟებდი, მეუღლესთან ამეგობრებდი და მერე... სულხანი იყო ერთ-ერთი პირველი მიშას ნამეგობრალი, რომელსაც სამაგალითოდ გაუსწორდნენ და დასაჯეს, რათქმაუნდა მორალური, ფიზიკური და სულიერი განადგურება შეეხო მისი ოჯახის წევრებსაც. შემდეგ მადა ჭამაში გაეხსნათ და ნაცნობ უცნობებს, დიდი ხნის მეგობრებს თუ ახალ დამეგობრებულებს ავი ზრახვების დასაკმაყოფილებლად „ნაცურად"დაერივნენ და ძირფესვიანად გაანადგურეს უჯიშო ავადმყოფების ბანდის წევრებმა. მიმდინარე წლის ცხრა აპრილს რუსულ ტელეკომპანია ენტვზე მიშას მიერ განადგურებული ადამიანებზე რეზონანსული სიუჟეტი და სულხან მოლაშვილის ინტერვიუ გავიდა, რომელმაც როგორც ჩანს ააფორიაქა მიხეილი რადგან რამოდენიმე დღეში ვიკილიქსმა ზურაბ ადეიშვილის და მიშა სააკაშვილის „ჭუკჭუკი" გამოაქვეყნა სადაც მიშა აღნიშნულ გადაცემაზე წუხდა, სულხანთან დაკავშირებით კი ადეიშვილს მიმართა რატომ იყო ის ჯერ კიდევ ცოცხალი, ზურაბმა დაამშვიდა, რომ ორ სამ თვეში აღარ იქნებოდა და მართლაც ასრულდა მისი სიტყვები სულხანი ორ თვეში გარდაიცვალა. რამ ააფორიაქა ასე სააკაშვილი, რატომ მოინდომა ნამეგობრალის სასწრაფოდ დადუმება, დავინტერესდი და სულხანის ვრცელ ინტერვიუს რამოდენიმეჯერ მოვუსმინე. სხვა ბრალდებებთან ერთად იგი სააკაშვილს ცოლის მკვლელობის მცდელობაშიც დებს ბრალს, რომელიც მხოლოდ „უფროსი ძმების" წყალობით ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი, მიშას ყველა ნაბიჯი მისი „უფროსი ძმების"კონტროლის ქვეშაა ცნობილია და ეტყობა მათ გადაარჩინეს სანდრა, რადგამ ამჟამად მათ მიშას სიკვდილი უფრო აწყობთ სავარაუდოდ და სანდრას მერეც უპოვნიან მეორენახევარს... სულხანს, აღნიშნული ინფორმაცია სარწმუნო წყაროდან ექნებოდა მიღებული სხვა შემთხვევაში არ გააჟღერებდა. 2014-წელს — როცა დონეცკის ოლქში მალაიზიის ავიახაზების კუთვნილი ბოინგი ჩამოვარდა, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა შოუში Шустер LIVE განაცხადა, რომ მისი მეუღლე, სანდრა რულოვსი იმ კონფერენციაზე იყო მიწვეული, რომლის მონაწილეებიც დონეცკის ოლქში ავიაკატასტროფას ემსხვერპლნენ. ასე, რომ მესამედ შეიძლება აფეთქებულიყო სანდრა და ვიხილავდით „მწუხარებით გულდამძიმებულ" მიშას, მისთვის ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომ არაფერს წარმოადგენს მისი დატოვებული გვამების სიმრავლეც მოწმობს, მაგრამ რადგან სულხანს აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდეს, გაიგებდა სანდრაც, ეხლა რომელი დაასწრებს ცოლი თუ ქმარი ფსონის ჩამოსვლა არ იქნება იოლი, მაგრამ მე ვფიქრობ სანდრა „ივარგებს", რადგან მიშა ბოლო ხანებში ველარ „ქაჩავს"-და ნდობაც დაკარგა. გამეფებისთვის დიდ მზადებაში მყოფი სანდრა, რომელმაც „დაწყებული საქმის" დაუსრულებლობის შემთხვევაში შეიძლება ყველაფერი დაკარგოს, მით უმეტეს, პრეზიდენტობის სურვილიც ჰქონია თურმე... საინტერესოა, როგორ შეძლებს თავის „მრევლი"დაარწმუნოს, რომ ის ერთადერთი და განუმეორებელია მათ შორის, ვისაც საქართველოს აყვავება და კეთილდღეობა შეუძლია, რომელ ნიღაბს მოირგებს შიგნიდან მხეცი და გარედან კრავი, რამდენ მსხვერპლს მოითხოვს მავანთაგან დავალების შესასრულებლად, ამას მომავალი გვიჩვენებს.



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

**P.S. ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაციით, გივი თარგამაძის მანქანის აფეთქებაში, შეიძლება, მიხეილ სააკაშვილის ხელი ერიოს...**

**რაღა გასაკვირია, გივი თარგამაძის ვინღაა, ამათ ზურა ჟვანიას სიცოცხლე შეიწირეს და თანაც ისე, წლები გადის და დანაშაული დღემდე გახსნილი არაა.**

# სამეგრელო, ჩემო უსაყვარლესო, გონს მოდი, გამოფხიზლდი, მეტი სიბრძნე გამოიჩინე და საბოლოოდ უთხარი უარი მოძალადე პარტიას და ეშმაკის მოციქულს სანდრა რულოვსს!





***გვესაუბრება სოხუმის დრამატული თეატრის ყოფილი ხელმძღვანელი, მსახიობი, ბატონი ДИМА ჯაიანი.***

**— ბატონო დიმა, სამეგრელოში რამდენიმე ოლქში მეორე ტურია დანიშნული. თქვენც გიკვირთ, რომ მეგრელებმა ხმა „ნაცმოძრაობის“ კანდიდატებს მისცეს?**

— სამეგრელოს, კერძოდ, ქალაქ ზუგდიდს შემოვევლე, ისეთ ტრადიციებზეა ეს ქალაქი დაფუძნებული. დღეს გული მტკივა, ძალიან გული მტკივა, რომ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც სახელს ურცხვენენ გვანჯი ჩიქვანის, საშა ეგუტიასა და ფერდინანდ ჟღერიას ქალაქს. ამ სამ კაცს გამორჩეულად ვასახელებ ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდსა და, საერთოდ, სამეგრელოში ბევრი საუკეთესო ადამიანი ცხოვრობს დღესაც.

დადიანების სამშობლოში საამაყო ხალხს რა გამოლევს გასახსენებლად და საამაყოდ, მაგრამ მე იმათზე ვლაპარაკობ ახლა, პირადად ვისაც ვიცნობდი. გვანჯი ჩიქვანი, საშა ეგუტია და ფერდინანდ ჟღერია, ეს ვაჟკაცი ადამიანები სიკეთის მთესველები იყვნენ მთელი ცხოვრება და მეგრელების, სამეგრელოს და, საერთოდ, ქართველობის საამაყო თვისებებს ატარებდნენ და მათ ნაფუძარზე, ნატერფალზე, მწარე ბალახი რომ ამოვიდეს, არ უნდა დავუშვათ ეს. ნაციონალებმა დასაყრდენი ვერ უნდა ნახონ სამეგრელოში!

ჯერ კიდევ სოხუმში ვცხოვრობდი, როცა, გასული საუკუნის ბოლოს, რუსმა მწერალმა ვიქტორ ასტაფიევმა დაწერა: ქართველები ავადმყოფი ერიაო. მახსოვს იმჟამინდელი რეაქციები ჯანო ჯანელიძისგან, გენო კალანდიასგან, ჩვენი თეატრისგან, სუბტროპიკული ინსტიტუტისგან, უნივერსიტეტის პროფესორებისგან, სოხუმის ექიმთა საზოგადოებისგან, მშენებლებისგან და რა ვიცი, ვისგან არა, უზარმაზარი პროტესტი იყო. ყველა აღშფოთებული იყო, რომ ამ სიტყვებით მოიხსენია ასტაფიევმა საქართველო და ქართველები. მეც ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ბოლო ხანებში ეჭვი მეპარება — მართალი ხომ არ იყო მწერალი?! შეიძლება მთლიანად სამკურნალო ერი არ ვართ, მაგრამ ერის გარკვეული ნაწილი, მაგალითად, აი, ის 500 000 ნამდვილად სამკურნალოა.

ვერ გამიგია, ქართველ კაცს დღეს ეჭვი შეეპაროს „ნაცმოძრაობის“ ავ-კარგში, როცა თვით ამ გაერთიანების წარმომადგენლებიც ბევრ რამეს აღიარებენ უკვე.

იცით, რა მაინტერესებს? „ნაცმოძრაობის“ დღევანდელ მხარდამჭერს, შეიძლება, ნაციონალების მსახვრალი ხელი არ შეხებია, მაგრამ მის მეზობელს, მეგობარს, ნაცნობს ხომ შეეხო. მისი ძმა და ბიძაშვილი არ მჯდარა ციხეში, მაგრამ მეზობლის ძმა და ბიძაშვილი ხომ იტანჯებოდა, ზოგი ხომ მოკვდა კიდეც ნაციონალების საწამებლებში.

დღეს მე გული მტკივა, არხეინად კი არა ვარ, ან დალხინებული კაცის პოზიციიდან კი არ ვლაპარაკობ, არამედ მტკივა, რომ „ნაცმოძრაობის“ მხარდაჭერები, ეს დაბნეული ხალხი სამკურნალოა. მათ უფლება არ უნდა ჰქონდეთ, მივიდნენ საარჩევნო ყუთებთან, ისინი ჯერ ფსიქიატრს უნდა ეწვიონ.

სამწუხაროა, რომ სამეგრელოში მხარდამჭერები გამოუჩნდა „ნაცმოძრაობას“ და სანდრა რულოვსს, და გაურკვეველი წარმოშობის ქალბატონს...

**— თქვენ ამბობთ, რომ, შეიძლება, „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველი ფსიქიკურად ჯანმრთელი არ იყოს? ანუ, რა გინდათ, რომ თქვათ?**

— მე გიჟები არ მეჯავრება, მეტიც, ქართულ სუფრაზე გამორჩევით ვსვამ გიჟების სადღეგრძელოს... ყველა შუკას, სოფელს, ქალაქს ჰყავს და ამშვენებს თითო გიჟი, გამორჩეული, საოცარი ხალხი, რომლებიც მართლა გვიყვარს ხოლმე. არ უნდა მიყვარდეს ნოდარ დუმბაძის დიდროია? მისივე გიჟი მარგო? რას ამბობთ? ამ ალალი ხალხის სიყვარულში დავლიე მთელი ჩემი ცხოვრება, აგერ, უკვე 67 წლის კაცი ვარ, ყველა ალალ ადამიანს ვეფერები, მაგრამ ესენი ბოროტი გიჟები არიან.

არ შეიძლება, ხალხო, ასეთი ქალაქიდან, ასეთი კუთხიდან, სამეგრელოდან, მართლა საქართველოს ხერხემალი რომაა, იმ კუთხიდან, ასეთი მონაცემები, ასეთი შედეგები, ასეთი რამე? ისეთი სამარცხვინო ქალები გამოდიან სამეგრელოდან „ნაცმოძრაობის“ მხარდასაჭერად, სირცხვილისგან თვალს ვარიდებ. ქალზე ასეთი რამ არ უნდა თქვა, მაგრამ ადამიანის სახე დაკარგული აქვთ და რა ვილაპარაკო?

მოვუწოდებ ჩემს სამეგრელოს — ნუ უჭერთ მხარს იმ ყველაზე დიდ გიჟს, ნუ ალანძღვინებთ არამზადებს დადიანების, ჩიქვანების, ბოლო-ბოლო, ძველი, დიდი ჯაიანების ძირს და ფუძეს.

**— სააკაშვილი მეორე ზვიად გამსახურდიააო, დამოუკიდებელი, ქართული, ძლიერი სახელმწიფოს ფუძემდებელიო.**

— რას ლაპარაკობთ, ჩემო კარგო, როგორც შეიძლება ასეთი შედარება? ზვიად გამსახურდია თავიდან ბოლომდე ეროვნული კაცი იყო, სისხლით და ხორცით პატრიოტი, ერის შვილი. აბსოლუტურად სხვადასხვა პოლუსია — სააკაშვილი მტერია, ის მოყვარე იყო, ის ამ ქვეყნის გულშემატკივარი იყო, ეს გახლავთ გამყიდველი და მოღალატე.

თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მოვეფერები ჩემს სამეგრელოს და ყოველგვარი აგრესიისა და სხვა ზედმეტობების გარეშე მინდა კიდევ ერთხელ ავუხსნა. ჩემი ბრალია, არჩევნების დროს ვიყავი ზუგდიდში, ეტყობა, კიდევ კარგად ვერ ვთქვი: სამეგრელო, ჩემო უსაყვარლესო, გონს მოდი, გამოფხიზლდი, მეტი სიბრძნე გამოიჩინე და საბოლოოდ უთხარი უარი მოძალადე პარტიას, გიჟების გაერთიანებას და ეშმაკის მოციქულს სანდრა რულოვსს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

## ბატონებს: ედიშერ თოლორაიას, მერაბ ქვარაიას, ირაკლი ბერაიას, გოგა გულორდავას, ირაკლი ხახუბიას, ირაკლი (დაჩი) ბერაიას

ჩვენში იციან თქმა: გომბეშოს თავისი მახრჩობელა უყვარსო!

ეს ხატოვანი ნათქვამი საყურადღებოა და დამაფიქრებელი.

ჩემი დაკვირვებით, რაღაც მსგავს ჭირთან გვაქვს საქმე.

თუ ვინმეს აინტერესებს პრეზიდენტყოფილზე ჩემი აზრი, ვიტყვი:

ის დღითი დღე მეჩეჩზე წამოწოლილ მაძღარ ნიანგს ემსგავსება... თუმცა ბუნებაში არსებობს ასეთი ჩიტიც — ტროპიკული, ჭრელი, პაწია კოლიბრი... ეს ჩიტი ნიანგის თვითგვემაზეა დამოკიდებული, გრძნობს, როდის ჩაუძვრეს გრძელ და ღია დინგ-ხახაში, რომ კბილებში გარჩენილი ნამცეცებით იკვებოს... ერთი შეხედვით, საშიშია, პირი არ დამუწოს, კუდი არ მოიქნიოს ნიანგმა, მაგრამ არა, ჩიტმა იცის, პატრონი განცხრომასა და ტკბობაშია, თავად კი — საშოვარსა და ლხენაში...

ახლა, გივი თარგამაძე ჩიტს რომ შევადაროთ, გამოვა? ის უფრო ლოქოა, ღლავი, სიმაძღრე სახეზე აწერია სიშტერესავით!..

(ანაკლიის ზღვის სიმდორეში თოკით დაბმული და დასაკლავად გამზადებული ვეება ლოქოები მინახავს ბავშობაში...)

ეს მისი ბედია!

ბედი მომეცი და თუგინდ, სანაგვეზე გადამაგდეო, ესეც აქვს ნათქვამი ქართველ კაცს, ანუ თუ ბედი გაქვს და «პატრონს» სჭირდება, აფეთქების იმიტაციაც ღირსო!..

* * *

...როცა ილია ჭავჭავაძე წიწამურთან მოკლეს, იმ დროს პეტერბურგში მყოფმა კიტა აბაშიძემ საქართველოს მთავრობას დეპეშა გამოუგზავნა: დავსტირი საქართველოს სირცხვილსო!

მივმართავ ბატონებს: ედიშერ თოლორაიას, მერაბ ქვარაიას, ირაკლი ბერაიას, გოგა გულორდავას, ირაკლი ხახუბიას, ირაკლი (დაჩი) ბერაიას: თქვენი და გონიერი სამეგრელოს იმედი გვაქვს.

არ შედრკეთ, იქნებ ავიცილოთ ჩვენც და სამეგრელომაც ეს სირცხვილი!

სირცხვილი, რომელიც შეცდომის ტოლფასია და, შეიძლება, ქვეყანას დაუჯდეს ძვირად!

პატივისცემით და თანადგომით

ზაურ კალანდია
17. 10. 2016 წ.

# „ამათ ქეჩოში უნდა მოვკიდოთ ხელი და ისე უნდა გავყაროთ უკრაინიდან“

## მიშა და მისი ბანდიტები უკრაინაშიც ბანდიტებად დარჩნენ

მიხეილ სააკაშვილი იღბალმა აშკარად მიატოვა, უკეთეს მდგომარეობაში არც მისი „ძმადნაფიცები“ აღმოჩნდნენ სამი წელია ამაოდ ელოდებიან მხარდამჭერები ბელადის ჩამოსვლას... „გულშემატკივრები“ ხან მაღალის უკრაინაში გაპრემიერმინისტრობას აანონსებდნენ, ხან ახალი პარტიის შექმნას, - ის იქნება ერთ-ერთი იდეოლოგი და „დრაივერი“ ამ ახალი პარტიის“ — ერთი წლის წინ უკრაინულ მედიას „ექლურტულებოდა“საყვარელიძე. თუმცა



რიგი მიზეზების გამო მიხომ ვერ ივარგა და ნულიდან პარტიის შექმნის იდეაც განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. ზეენერგიულმა მაღალმა, „დედა ოდესა-ში“ ისეთი ნაცბორბალა დაატრიალა სანამ ოლქის მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი აზრზე მოვიდა ან ქონების გარეშე იყო დარჩენილი და ან სამსახურის, სანამ სამსახურზე და ქონებაზე დარდობდნენ მაღალმა ოდესის ოლქის საუკეთესო სანაპირო და არამარტო ტერიტორიები უცხოელებს მიყიდა ან გააჩუქა რიგ შემთხვევებში შენობა ნაგებობებით, დარჩენილ ქონებას ხელოვნურად აკოტრებს იაფად რომ გაყიდოს და გასქელებული ერთი ადგილი დამატებით გაისქელოს. პროფესიონალი „კორუმპირებულები“ დაიჭირა ან ქვეყნიდან გააქცია, მათ ადგილებზე კი საქართველოდან „წასხმული“ კრიმინალები დანიშნა, ბანდა გამძღარი იყო ქართული სისხლით და ახალი უკრაინული სისხლი ახალი სიცოცხლის შთაბერვისთვის ჭირდებოდათ. ოლქის პროკურორის გათავისუფლება დიდი დარტყმა იყო დიდი რეფორმატორისთვის, მედიასთან ურცხვად იმართლებდა თავს, არადა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ კანონის ყველა წესის დაცვით, ქრთამზე დაჭერილი ქართველი პროკურორი კორუფციასთან მებრძოლი რაინდებისთვის პირველი მირთმეული ძღვენი გახლდათ მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან, რასაც მიხოს მარჯვენა ხელის საყვარელიძის გათავისუფლება მოჰყვა... საქართველოში მაღალი, განუსაზღვრელი უფლებებით გახლდათ აღჭურვილი, ოდესის გუბერნიაშიც უფროსი ძმების მითითებით „ლივლივებდა“, უამრავი ხალხის გამწარება მოასწრო უკანონოდ, მაგრამ „შემომქმედმა“თავისიანი რატომღაც არ დაუნიშნა სამხედრო პროკურატურის და უსაფრთხოების „შეფად,“ შესაბამისად აღნიშნულ სამსახურებში როგორც ჩანს პროფესიონალების ჯგუფი მუშაობს და სისხლს უშრობს „მაღალის“ კრიმინალური ბანდის წევრებს. უკრაინულ მედიაში ჯერ კიდევ მიმდინარე წლის მარტის თვეში გაჟღერდა, როგორ მფარველობდა ოლქის პოლიციის შეფი ლორთქიფანიძე ორგანიზებულ კრიმინალურ ბანდას, რომლებიც ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის გარდა ადამიანების გატაცებით და წამებითაც ყოფილა ცნობილი და სწორედ ადამიანის გატაცების და წამების ფაქტზე იქნენ დაკავებულები „ჩერნამორსკის“ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ. ბანდის ორი წევრი სწორედ ლორთქიფანიძის რეფორმირებული „პატიოსანი“ პოლიციელების რიგებიდან გახლდათ. ბევრი იშრომა მაშინ პოლიციის შეფმა, მტკიცებულებების გაყალბებით თუ მოწმეების დაშინებით, სასამართლოებზე მოწმეებზე ზემოქმედების შედეგად და სხვა ყველა ძალების ამოქმედებამ როგორც ჩანს შედეგი გამოიღო და სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიებების ყველაზე მსუბუქი ფორმები გამოიყენა, მაგრამ არა შეჯდა მწყერი ხესა... ლორთქიფანიძე საქართველოში კრიმინალების მართვას, მათი მეშვეობით ხალხის დატერორებას და დიდ კუშს იყო ჩვეული, ოც სექტემბერს ისევ დაიჭირეს სრული შემადგენლობით იგივე ბანდა ისევ ორი პოლიციის (ერთი პოლიციელი ლორთქიფანიძის თავდებობით გახლდათ ექვსი თვის წინ გათავისუფლებული)

ერთი პროკურატურის თანამშრომლის და შვიდი მოქალაქის შემადგენლობით, პოლიციელ კრიმინალებს საცხოვრებელი სახლიდან ნაყაჩაღარი ფული, ძვირფასი ნივთები, ნიღბები, ნარკოტიკები, საბრძოლო მასალა, ეგრეთწოდებული „ატმეჩკები“და სხვა მტკიცებულებები ამოუღეს, რასაკვირველია დანარჩენი ბანდის წევრების სახლებიც გაიჩხრიკა და ამოღებულია მტკიცებულებები, როგორც ჩანს ეხლა უკვე ველარ მოახერხებს ოლქის პოლიციის შეფი ს.ს. პასუხისმგებლობას აცილოს თავის მფარველობის ქვეშ მყოფი ბანდა. უკრაინული წყაროს ცნობით კანონიერ ქურდებსაც წყალობს თურმე ბიჭი -ლორთქიფანიძე. რასაკვირველია განსაზღვრული ფასი აქვს „იქ“ყველაფერს. კრიმინალი ოდესაში როგორც არასდროს ისე ყვავის. ვინც აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდა გაკვირვებულმა ვკითხე- ოდესა ყოველთვის ითვლებოდა ქურდული ტრადიციების და კრიმინალების ნავსაყუდელად და რა ქნა ასეთი ჩვენმა ყოფილმა თავის თანამოაზრეებთან ერთად, როგორ მოახერხა მათი აყვავება?- წყაროს ჩაეცინა და მითხრა-გეთანხმები ოდესა მართლაც მოიაზრებოდა კრიმინალების ქალაქად, თუმცა თანამოქალაქეებს არავინ ერჩოდა, უფროს, უმცროს, ქალს, ბავშვს არჩევდნენ, ქალაქი ყველას უყვარდა. სხვა ტრადიციები არსებობდა ურთიერთპატივისცემაზე და სიყვარულზე დაფუძნებული. ქართველმა ვარიაგებმა გაურკვეველი ჯიშის და წარმომავლობის კრიმინალებს მიუგდეს ოდესა საჯიჯგნად, მათთვის სულერთია ობიექტი, ტრადიციები, რასაც უბრძანებენ იმას აკეთებენ. არყის, ჭიქებით გაყიდვა მათი ბიზნესია, არც ამდენი ნარკოტიკი იყიდებოდა ადრე. ბიზნესის ტერორშიც თავის კრიმინალებს იყენებენ ჯერ, მერე პოლიცია ერევა. დანაშაულის პროვოცირებაზეც არ ამბობენ უარს და მიხოს მიმართ ოპოზიციურად განწყობილ მედიასაც საპროტესტო აქციებს უწყობენ. ანუ ეს კრიმინალური დაჯგუფებები რომელიც არცთუ ისე ცოტაა ძირითადად ჩამოსული ხალხისგანაა დაკომპლექტებული ისინი „ყველაფრისტი ბეზპრედელშიკები“არიან და უშუალოდ ოლქის პოლიციის უფროსის ბრძანებებს ასრულებენ...მოკლედ წყარომ კიდევ ბევრი რამ მიამბო ქართველი ვარიაგების ოდესურ ოდისეაზე...

რამდენად ხშირად სტუმრობდნენ მიხოს საქართველოდან მხარდამჭერები, თანამებრძოლები თუ ვარსკვლავები და ვის ხარჯზე ცნობილია, მაგრამ ის უცნობია როგორ შეხვდა ბელადი დამარცხებას და წყალში გადაყრილ ფინანსებს. გახლეჩილ გუნდს და ჯიუტი მეორე ნახევრის გადაწყვეტილებას პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით. თუმცა ის, დარდიანი ბიჭი სულაც არ არის მთავარია ილიჩევსკის პორტიდან „დასაყნოსი“არ მოაკლდეს რადგან „დასაყრდენი“ყოველდღე აკლდება, რასაკვირველია ისიც იცის, რომ ოდესის ოლქის დიდი უმრავლესობა მის მიმართ უარყოფითადაა განწყობილი და ლანძღავენ, ერთ-ერთ გადაცემაში აღნიშნა კიდეც- ვიცი ხალხი ამბობს, წავიდეს წაეთრიოს თავის საქართველოში-ო; ჩემი აქ ყოფნის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ისაა, რომ საქართველო გადავარჩინო. მე ვამაყობ იმით, რასაც ჩვენ საქართველოში მივაღწიეთ, მაგრამ უკრაინისთვის ახლა ეს უფრო მეტად მნიშვნელოვანი და საჭიროა. უკრაინაში ჩვენ თუ იმ რეფორმების ნახევარს მაინც გავატარებთ, რაც საქართველოში გავატრეთ, უკრაინა უკეთესობისკენ წავა და ნახევარი წლის შემდეგ ვერც კი ვიცნობთ.- რა რეფორმების გამტარებელია და რისი გამკეთებელია ვფიქრობ ოდესაში უფრო მალე მიხვდნენ ვიდრე საქართველოში თავის დროზე, თუმცა ამის ობიექტური მიზეზიც არსებობდა. ორიოდე წლის წინ „მაღალმა“ თავის ფეისბუქ გვერდზე, უკრაინელი პოლიტოლოგის ოლეგ სოსკინის მოსაზრება გამოაქვეყნა აღმოსავლეთ უკრაინაში არსებული ვითარების და რუსეთის სამხედრო აგრესიის შესახებ.

მიხოს სოსკინი ორი წლის წინ, სავარაუდოდ ანტირუსული განწყობის გამო მოეწონა მაგრამ საინტერესოა ეხლა თუ ატვირთავს „მაიდანშჩიკის“მოსაზრებას, რომელიც დიდი რეფორმატორის და არამარტო გაძევებას და დაპატიმრებასაც მოითხოვს? „მიხეილ სააკაშვილმა ვერ შეძლო ვერც-ერთი რეფორმის ბოლომდე განხორციელება, ვერც დაპირებების შესრულება. 2012-წელს მიუხედავად იმისა, რომ ნაცმობრაობა მმართველ პარტიას წარმოადგენდა ელექტორატმა მათ ზურგი შეაქცია, მიმდინარე წლის რვა ოქტომბერს კიდევ დამარცხდნენ, მაშ რატომ უნდა ენდოს უკრაინის მოსახლეობა ამ პარტიის წარმომადგენლებს და თვით სააკაშვილს? ჩამორჩენილი, პერიფერიული, პატარა სახელმწიფოს წარმომადგენლებმა რა უნდა ასწავლონ ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც ევროპის ცენტრში უზარმაზარ ტერიტორიაზე გაშლილი და უდიდესი პოტენციის ქვეყანა აქვს? ვფიქრობ აღნიშნული კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენთვის. ქართველების პოლიტიკურ ჯგუფებს ქეჩოში უნდა მოვკიდოთ ხელი და ისე უნდა გავყაროთ სასწრაფოდ უკრაინიდან. სააკაშვილი, კვიტაშვილი, საყვარელიძე, დეკანოიძე და სხვები. „დიდი“პოლიციელი დეკანოიძე რომელიც ხალხის დაჭერით და დატერორებითაა დაკავებული ასეულ ათასობით გრანტი შემოეჭამა, მათ გაძევებამდე უპრიანი იქნება მათ მიმართ სისხლის





სამართლის საქმე აღიძრას და დეტალურად იქნეს გამოძიებული უკრაინაში მათი დანაშაულებრივი საქმიანობა. სასწრაფოდ უნდა განადგურდნენ ეს გრანტიჭამიები, რომლებიც ვერც ეკონომიკაში ერკვევიან, ვერც რეფორმებში და საერთოდ არ შეუძლიათ შექმნან რაიმე ღირებული.“ ეჰ, რაღაც ვარსკვლავებიც არ წყალობენ მიშას რაღაც „შავ პალასაზე“ ზის, თანაც ზომაზე მეტად ადგას გულზე უკრაინას, არადა როგორი იმედი ჰქონდა გამარჯვების, ხან ზღვით მოდიოდა, ხან გვირაბით, მაგრამ სურვილი ვერ აისრულა დაესრულებინა ხელისუფლება, ვერც თბილისში ჩამოსულმა კონგრესმენმა და აშშ არმიის გადამდგარმა პოლკოვნიკმა სტივ რასელმა უშველა მიხოს, ვერც თანამებრძოლის აფეთქებამ, ზონის ბიჭებმაც უღალატეს და მისი გეგმები ამხილეს, მთავარი კი არჩევნების შემდგომ ელოდა გუნდის გახლეჩვა და შიდა დინებების ამღვრევა, მაგრამ არჩევნების დღეს, მასში გასხივოსნება მოხდა, გეგმები შეცვალა და ამაყად განაცხადა-როგორც არ უნდა დასრულდეს დღევანდელი არჩევნები, მე არ ვაპირებ უკრაინის დატოვებას, არ ვაპირებ ბრძოლის ველის და ჩემი დიდი გეგმების მიტოვებას, რომ დავეხმარო უკრაინასო.“ მას ეს ვარიანტი აბსოლუტურად არ აწყობს. საკუთარი ცოლის პარლამენტში ხილვაც კი ვერაფერი ბედენა იქნება მისთვის, რადგან პარლამენტარის იმუნიტეტი პარლამენტარის მეუღლეზე ვერ გავრცელდება. ასე რომ, როგორც დაუდეგარი ავანტურისტის ტვინს ახასიათებს, სავარაუდოდ, ოდესის გუბერნატორის ფანტაზიებში ახლა მრავალი პროვოკაცია იხარშება, როგორ მოაწყოს რამე ისეთი საქართველოში, რაც მას თეთრ ცხენზე დაბრუნების შანსს მისცემდა. მის პროვოკაციულობას საზღვარი არ აქვს და არა მარტო უბრალო მოქალაქეებს, არამედ საკუთარი გუნდის წევრებსაც და ახლობლებსაც კი დაუფიქრებლად დააყენებს საფრთხის წინაშე, ოღონდ, მინიმალური, ან სულაც ილუზორული შანსი გაუჩნდეს. სხვა საქმეა, რამდენად დააპირებენ მასთან პოლიტიკურ საფლავში ჩაყოლას მისი თანაგუნდელები, და რამდენად დაუფიქრებლად შეიძლება გაყვნენ ავანტიურაში უბრალო მოქალაქეები.

სააკაშვილი ისტორიაში ყველაზე აღვირახსნილი, სისხლის მოყვარული და გვამების შემგროვებლის სახელით შევა. პრეზიდენტის, რომელიც ქართველობას იბრალებდა და ყველაფერს ქართულს ანადგურებდა, საქართველო თითქოს ცრემლებამდე ენატრებოდა და მესაკუთრისთვის წაგლეჯილ მიწას ქვეყნის მტრებს ყიდდა. ძულდა ქვეყანა სადაც პირველად ფეხი აიდგა და ბოლო ამოსუნთქვამდე სურდა ხილული არაფერი დაეტოვებინა გაუნადგურებელი. სული და სიყვარულიც კი წაართვა თანამემამულეებს და სამაგიეროდ საუკუნო სიძულვილი მიიღო.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

## არნო ხიდირბეგიშვილი:

# ნაციონალების საბედისწერო შეცდომა

ნაციონალებმა საბედისწერო შეცდომა მაშინ დაუშვეს, როცა გამოაცხადეს „ქართული ოცნების“ და „პატრიოტთა ალიანსის“ სახით არჩევნებზე პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს და ამიერიდან „ნაცმოძრაობა“ ერთადერთი პროდასავლური ძალაა საქართველოშიო.

ამით მათ უნებლიეთ აღიარეს, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობას რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა სურს და არა ნატოში გაწევრიანება! ეს სურვილი აქვს, მინიმუმ, 944 630 საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს: 856 529 „ქართული ოცნების“ + 88 109 „პატრიოტთა ალიანსის“ ამომრჩეველს, ანუ არჩევნებზე მოსული ამომრჩევლის 53,68%, საიდანაც 48,67%-მა „ქართულ ოცნებას“ მისცა ხმა, 5,01%-მა კი - „პატრიოტთა ალიანსს“.

სამაგიეროდ, დღეს უკვე ყველამ, და არა მარტო ჯანდაცვის მინისტრმა სერგეენკომ, ზუსტად ვიცით, რამდენი მძიმე ავადმყოფია საქართველოში, ვისაც საყოველთაო დაზღვევა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება. დღეს საქართველოში 477 143 ავადმყოფია, ანუ არჩევნებზე მისული ამომრჩევლის 27,11%, ვინც „ნაცმოძრაობას“, ანუ სააკაშვილს, მკვლელობებს, წამებებს, რეკეტს, გარყვნილებასა და ტერიტორიების დაკარგვას მისცა ხმა.

„ამიერიდან ახლადარჩეული პარლამენტის ტრიბუნიდან რუსული ნარატივი იზანზარებს!“ - აცხადებენ ეს „ფსიხბალნიცის“, ხშირად კი „რესბალნიცის“ პოტენციური პაციენტები. მათ მხარს უბამს პოლიტიკური მორგის ზომბების გუნდი - ლეიბორისტული პარტია და რესპუბლიკური პარტია, ბანს კი მსოფლიო ბანის პარტია აძლევს, რომელმაც თავისი უკანასკნელი პარტია ოდესაში შეასრულა.

ზომბების გუნდს ალასანიას პოლიტმდივანი მოჰყვა: „საქართველო საბჭოთა კავშირში დაბრუნდაო!“ გამოაცხადა (ალასანიას პარტიის დაშლის შედეგად ის უმუშევარი არ დარჩენილა - უკვე დაპატიჟებულია მუსკომედიაში „ბაბაიაგას“ როლზე, თანაც - გრიმის გარეშე...).

და, რა თქმა უნდა, თავისი ხმა ავლაბრის სასახლის მობინადრეებმაც შეაშველეს: „სატირალია და სამწუხარო, რომ ახალი პარლამენტი არ იქნება მრავალპარტიული, რადგანაც პროდასავლური პარტიები შესუსტდნენ და დაიშალნენ!“ - ოფიციალურად აცხადებს „კარალევა მარგო“ მისი ჩა-ფიქრებული ფრეილინებით...

„კი, მაგრამ, რანაირად არის „ქართული ოცნება“ პრორუსული, თუ თითქმის ყველა პრორუსული პარტია არჩევნებამდე რეგისტრაციიდან მოიხსნა, დარჩენილებმა კი არჩევნებში სასტიკად წააგეს? მათ შორის,- უბლოკო ბურჯანაშვილიც, რომელმაც ივანიშვილი ფალსიფიკაციაში, უზურპაციასა და თურქმენიზაციაში დაადანაშაულა?! როგორ შეიძლება, ამერიკა, ევროკავშირი და ნატო სამართლიანად აღიარებდეს და იცავდეს არჩევნებს, რომელშიც, ვითომ, პრორუსულმა ძალებმა გაიმარჯვეს?!“ - სამართლიანად უკვირს ქართველ ხალხს და ამიტომ ამომრჩეველთა უმრავლესობა მეორე ტურზე წავა და ხმას ისევ „ქართულ ოცნებას“ მისცემს.

აი, მეგობრებო, კიდევ ერთი კლასიკური მაგალითი, როცა უტვინო პოლიტტიკინების სიცრუეზე აგებული პიარი მათივე საწინააღმდეგო „შავ“ პიარად მობრუნდა!



ამ ბალაგანის მაყურებელი აშშ-ის ელჩი საქართველოში არა მარტო ნიჭიერი დიპლომატი, არამედ კალმის ნამდვილი დიდოსტატი აღმოჩნდა!

გასულ ოთხშაბათს აშშ-ის საელჩოს გვერდზე თწიტერრ-ში იან კელიმ მოკრძალებული მესიჯი გაავრცელა, რომლითაც ნაციონალებს პიარში ნამდვილი მასტერკლასი ჩაუტარა:

„მივესალმები წუხანდელ გადაწყვეტილებას არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობის მიღების შესახებ. ქვეყნებს სჭირდებათ პოლიტიკური და მედიაპლურალიზმი წარმატებისა და განვითარებისთვის. აშშ მზად არის დასახმარებლად“, - ნათქვამია აშშ-ის ელჩის ლაკონურ პოსტში.

ამ სამ წინადადებაში იან კელიმ წარმოადგინა არა მარტო აშშ–ის დამოკიდებულება შემდგარი საპარლამენტო არჩევნების მიმართ, არამედ აშშ-ის ხედვა საქართველოსთან მიმართებაში უახლოეს პერსპექტივაში. აი, რას ნიშნავდა სინამდვილეში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ეს დირექტივა:

1. პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ აუცილებლად უნდა დარჩეს უახლოესი 4 წლის განმავლობაში ერთადერთ მთავარ ოპოზიციურ ძალად საქართველოს დე-ფაქტო ორპარტიულ პარლამენტში და არ დაიშალოს, როგორც ალასანიას და ბურჭულაძის პარტიები. თუ „ნაციონალური მოძრაობა“ მეორე ტურში მონაწილეობას არ მიიღებს, პარლამენტში მხოლოდ „ქართული ოცნება“ შევა, რაც ქვეყანაში „პოლიტიკური პლურალიზმის“ მაჩვენებელი არ იქნება, რომელიც „ქვეყანას სჭირდება წარმატებისა და განვითარებისთვის“.

2. ტელეკომპანია „რუსთავი 2“–მა დაუბრკოლებლად უნდა განაგრძოს თავისი საქმიანობა არჩევნების შემდგომაც, თანაც, ამჟამინდელი მენეჯმენტის და შეუცვლელი სარედაქციო პოლიტიკის პირობებში, ეს იქნება „მედიაპლურალიზმის“ მაჩვენებელი, რომელიც „ქვეყანას სჭირდება წარმატებისა და განვითარებისთვის“.

3. პარტია “ნაციონალური მოძრაობა“ მთლიანად უნდა გათავისუფლდეს მისი ყოფილი ლიდერისა და დამფუძნებელის – შეშლილი სააკაშვილის კონტროლისგან, რომელსაც აშშ–მა დიდი ხანია „ჯვარი დაუსვა“. და თუ ოდესის გუბერნატორი გაბრაზდება და ოდესიდან ფულის გამოგზავნას შეწყვეტს, „აშშ მზად არის პარტიას დაეხმაროს“ ფინანსურად.



# ძლიერი რეგიონები




### ჩოხატაურის ინფრასტრუქტურული პროექტები

13 ოქტომბერს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ირაკლი კუჭავამ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, 2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული, შესრულებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა სოფლებში: გორაბერეჟოულში, ზენობანში, შუაფარცხმასა და ქვაბღაში.

### ბაღდათის საკრებულო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის დაჯილდოვდა

2016 წელს საქართველოს საჯარო დაწესებულებებში განხორციელებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგის შედეგად, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა IDFI-მ ყველაზე ანგარიშვალდებული და ყველაზე დახურული საჯარო დაწესებულებები დაასახელა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულო ყველაზე ანგარიშვალდებულ და ღია საჯარო დაწესებულებათა რიგში მოხვდა, რისთვისაც საკრებულოს 2016 წელს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის სიგელი გადაეცა.

### საჩხერე-ჭურნალის გზაზე ბეტონის საფარი დაიგო

სოფელ ჭურნალში შიდა საუბნო გზაზე ბეტონის საფარი დაიგო. 80-მეტრიან გზის მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოები „ბილდერ ჯგუფმა“ ჩაატარა. პროექტი საჩხერის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის ფარგლებში დაათვალიერა. აღნიშნული გზის რეაბილიტაცია სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდიდან 9 000 ლარით დაფინანსდა.

### თელავის ყველა ბაღი ზამთარს ცენტრალური გათბობით შეხვდება

„გასულ წელს მილიონი ლარი დაიხარჯა ოთხი ბაღის რეაბილიტაციისთვის, წელს კი ცენტრალური გათბობის სისტემის დამონტაჟება დარჩენილ სამ ბაღშიც შევძელით. მომავალი თაობა ჯანსაღ გარემოში უნდა აღიზარდოს“, — აღნიშნავს ქალაქ თელავის მერი პლატონ კალმახელიძე.

თელავის საბავშვო ბაღების კარები კიდევ ერთხელ გაიღო ტელეკომპანია „თანამგზავრის“ და ჟურნალისტებისთვის. მათ დეტალურად დაათვალიერეს ბაღებში არსებული მდგომარეობა: კვების ობიექტები, სველი წერტილები და ა. შ. ჟურნალისტებს უშუალოდ ქალაქის მერმა გააცნო მე-9 ბაღში განახლებული შიდა ინფრასტრუქტურა. ქალაქის მერი შეხვდა ბავშვებს, რომლებმაც სტუმრებისთვის შეასრულეს სიმღერა კახეთზე.

### დედოფლისწყარო — კახეთის გუბერნატორმა დიდნაურის ნაქალაქარი დაათვალიერა

კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი და არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი კიაზო ფიცხელაური დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში დიდი შირაქის ველზე არსებულ დიდნაურის ნაქალაქარს ეწვივნენ და იქ მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები დაათვალიერეს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, დიდნაურის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო. ნაქალაქარი, რომელიც სატელიტური ფოტოების გაშიფვრის შედეგად აღმოაჩინეს, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, დიდი შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. სამხრეთ კავკასიაში ყველაზე დიდი ზომის ნაქალაქარი ძვ. წ. მეორე ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება.

დიდნაურის ნაქალაქარზე არქეოლოგიური სამუშაოები წელსაც გრძელდება. მთლიანი კომპლექსის გამოკვლევამ, შესაძლოა, ძირეულად შეცვალოს დასკვნები ჩვენი წარსულის შესახებ და აღმოსავლეთ საქართველოში სახელმწიფოს ჩამოყალიბების თარიღმაც მრავალი საუკუნით გადაიწიოს.

### ყველაზე დიდკონტინგენტიანი საჯარო სკოლა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

საგარეჯოს რაიონის სოფელ ლამბალოში, საქართველოს მასშტაბით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჯარო სკოლის მშენებლობა დასრულდა. 1000-ზე მეტი მოსწავლე სწავლას ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის სკოლაში გააგრძელებს, სადაც მათთვის ყველა პირობაა შექმნილი.

პროექტის — „ახალგაზრდები განვითარებისთვის“ — ფარგლებში თანამშრომლობისა და მისი წარმატებით განხორციელების ხელშეწყობისთვის „რეგიონის განვითარების ცენტრმა (ღDC) მადლობის სერტიფიკატები გადასცა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელ გიორგი გზირიშვილს, გამგეობის განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროს არჩილ ჯაბადარსა და თანამშრომლებს, საგარეჯოს დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის კოორდინატორებს.

ახალგაზრდების მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობისთვის მადლობის სერტიფიკატი გადაეცა საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოს.

„რეგიონის განვითარების ცენტრის“ სამუშაო არეალმა მოიცვა კახეთის რეგიონის ექვსი მუნიციპალიტეტი: ქ. თელავი, თელავის თემი, საგარეჯო, ლაგოდეხი, ახმეტა და სიღნაღი.




პროექტის მიზანი იყო კახეთის რეგიონის ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა ადგილობრივ თვითმმართველობასა და თავად ახალგაზრდებს შორის თანამშრომლობის გზით.

### დუშეთი — დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს

დუშეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივითა და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, სოფ. დავათში მცხოვრებ ოდიშელიძეების სოციალურად დაუცველ რვაშვილიან ოჯახს სარეცხი მანქანა, საბავშვო ტანსაცმელი და საკვები პროდუქტები მიუტანეს.

ამავე დღეს, სოფ. შუაფხოში მცხოვრებ ათშვილიან ჯაბანიშვილების ოჯახს გადაეცა საწოლები და საკვები პროდუქტები. მრავალშვილიან ოჯახებს საჩუქრები გადასცეს დუშეთის სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსმა შორენა ადეიშვილმა და გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ხათუთი კარიაულმა.

### წყლის სისტემის დაქსელვითი სამუშაოები ჩხოროწყუში

მუნიციპალიტეტის გამგებელმა დათო გოგუამ და გამგებლის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა სოფელ ხაბუმეში სასმელი წყლის დაქსელვითი სამუშაოები დაათვალიერეს.

წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, სოფელ მუხურში აშენდა წყლის სათავო ნაგებობა და მოწესრიგდა ინფრასტრუქტურა. პროექტის ღირებულება 1 500 000 ლარია.

სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობას მრავალწლიანი პრობლემა მოუგვარდება და დაახლოებით 900 კომლი 24-საათის განმავლობაში ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი.

პროექტი უახლოეს დღეებში დასრულდება.

### მესტიაში წყლის გამწმენდი ნაგებობა შენდება

ურბანული მომსახურებების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით, მესტიაში წყალგამწმენდი ნაგებობა-რეზერვუარებისა და მაგისტრალური მილსადენის მშენებლობას ახორციელებს.

წყალგამწმენდი ნაგებობა-რეზერვუარებისა და მაგისტრალური მილსადენის მშენებლობის ძირითადი სამუშაოები მოიცავს: 1000-1000 მ$^3$ მოცულობის რკინაბეტონის რეზერვუარების მშენებლობას ლანჩვალის მიმდებარე და შგედის ტერიტორიაზე; წყლის გამწმენდი და საოპერატორო ნაგებობების კომპლექსის მშენებლობას ზაარგაში ტერიტორიაზე; 250 მმ დიამეტრის წყლის მაგისტრალური მილსადენის გაყვანას (საერთო სიგრძე 7 120 მეტრი). წყლის მაგისტრალი წინა პროექტის დროს აშენებულ ზაარგაშის 2000 მ$^3$ მოცულობის რეზერვუარს ლანჩვალისა და შგედის რეზერვუარებთან



# ძლიერი საქართველოსთვის



მესტია

დააკავშირებს. მიმდინარე პროექტის ფარგლებში დაწყებულია ასევე ციკლონის მშენებლობა წრნიაშის მთაზე. ეს არის ნაგებობა, სადაც წყალი ქვიშისა და სხვა მინარევებისგან იწმინდება. პროექტის ფარგლებში ასევე კეთდება ლითონის ხიდი მდინარე ჭალაადზე, რომელიც უზრუნველყოფს მილსადენის გატარებას, ექნება ასევე საფეხმავლო და სამანქანო დანიშნულება.

მშენებლობა 2016 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს.

## წალენჯიხა-ნაკიფუ-ლეწურწუმე-ჩხოროწყუს გზის სარეაბილიტაციოდ

ჩხოროწყუს საავტომობილო გზის რეაბილიტაციაზე ტენდერი გამოცხადდა.

საქართველომ ევროპის საინვესტიციო ბანკისგან (EIB) მიიღო დაფინანსება ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტის (URDP) განსახორციელებლად და განზრახული აქვს ამ სახსრებით დაიწყოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტში წალენჯიხა-ნაკიფუ-ლეწურწუმე-ჩხოროწყუს საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

პროექტი ითვალისწინებს 9,291 მეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის გზის რეაბილიტაციას — ერთფენიანი ასფალტბეტონის (5 სმ) საფარის მოწყობას შავი ღორღის საფუძველზე, ეზოში შესასვლელების, წყალამრიდი მილებისა და მიერთებების მოწყობას.

## ადიგენი-ხულო-ზარზმის 47-კილომეტრიანი გზის რეკონსტრუქცია დაიწყო

ამ დროისთვის აღნიშნულ მონაკვეთზე დეტალური პროექტის განახლების სატენდერო პროცედურები მიმდინარეობს. ასევე ტარდება ინტენსიური სამუშაოები განსახლების გეგმის გასაახლებლად. პროექტის სავარაუდო ღირებულება 50 მლნ აშშ დოლარია.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელება 2017-2018 წლებშია დაგეგმილი. სამუშაოების პირველ ეტაპს ქუვეითის ფონდი (Kuwait Fund) აფინანსებს.

პროექტის განხორციელების შედეგად აღნიშნული მიმართულებით გადაადგილების დრო 1,5 საათით შემცირდება.

## გზების რეაბილიტაცია ახალციხეში

წყალთბილა-ნაოხრების საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი დაიწყო. პროექტის ფარგლებში მოეწყობა რკინაბეტონის საფარი. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები, არსებული გადასასვლელი ხიდის აღდგენა.

წყალთბილა-ნაოხრების საავტომობილო გზის სარეაბილიტაცია სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ასტორია“ ახორციელებს, რომელიც სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება.

შეგახსენებთ, რომ წყალთბილა-ნაოხრების საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი მიმდინარე წელს განხორციელდა.

## ბორჯომი — წაღვერში დასასვენებელი ადგილი მოეწყო

დაბა წაღვერში, მინერალური წლის ბიუვეტის მიმდებარედ, დასასვენებელი ადგილის მოწყობა დასასრულს უახლოვდება.

პროექტის ფარგლებში ტერიტორია შემოიღობა და მოპირკეთდა ბაზალტის ფილებით, განთავსდა ასევე საბაღე სკამები. რამდენიმე დღეში დასრულდება ლითონის მოაჯირების სამღებრო სამუშაოები, ტერიტორია კი სამშენებლო ნარჩენებისგან გაიწმინდება.

დასასვენებელი ადგილის კეთილმოწყობა დაბა წაღვერის მოსახლეობის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ შეირჩა. ადგილობრივების განცხადებით, ბიუვეტის მიმდებარედ, სადაც დამსვენებლები მინერალურ წყალს იღებენ, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა აუცილებელი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია პარკის დაზიანებული ღობის აღდგენაც. სამუშაოები „სოფლის პროგრამის“ ფარგლებში 16 500 ლარით დაფინანსდა.

## სადგურ სადახლოსთან მისასვლელი გზის დაგება დასრულდა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სადახლოში სადგურ სადახლოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დასრულებულია. აღნიშნული ინფრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში, რკინაბეტონის საფარი 1170 მ-იან გზის მონაკვეთზე დაიგო.

აღსანიშნავია, რომ გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების პროცესში 15 ადამიანი დასაქმდა, აქედან — 7 ადგილობრივი.

საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტი 2016 წლის 29 აგვისტოს დაიწყო და ოქტომბრის დასაწყისში დასრულდა. პროექტისთვის მარნეულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 300 000 ლარი გამოიყო.

## ყიზილაჯლოში გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების მეორე ეტაპი დასრულდა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ყიზილაჯლოში შიდა გზების რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დასრულდა. პროექტის ფარგლებში 800-მეტრიანი გზის მონაკვეთზე ორფენიანი ასფალტბეტონის საფარი დაიგო.

საგზაო იფნრასტრუქტურული პროექტის ფარგლებში გზა სოფელ ყიზილაჯლოს სამ ქუჩაზეც დაიგო.

აღნიშნული პროექტი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა და მისი საერთო ღირებულება 119 224 ლარია.

## ქედაში უხუცესებს საჩუქრები გადაეცათ

წელს პირველად, ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, ხანდაზმულთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავი პროგრამა გაიწერა, რომლის ფარგლებში 1912-1924 წლებში დაბადებულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 43 უხუცესს თბილი სამოსი გადაეცემა. ქედის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დავით დუმბაძემ სოფელ მილისში 103 წლის ჰიდაეთ თავდგირიძესა და 96 წლის დურსუნ დოლიძეს საჩუქრები და ტკბილეული ბინაზე თავად მიუტანა და ხანდაზმულებს ჯანმრთელობა უსურვა. უხუცესები თვითმმართველობის ყურადღებამ გაახარა.

## 5-მილიონიანი პროექტი შუახევის წყალსადენისთვის

ინფრასტრუქტურული ღონისძიებების ფარგლებში 29 კმ-იანი ფურტიო-ბუთურაული-ნენიის წყალსადენის მაგისტრალის მშენებლობა მიმდინარეობს. პროექტი სამწლიანია და მისი ღირებულება 4 916 999 ლარია.



შუახევი

მაგისტრალის მოყვანა ზღვის დონიდან 1260 მეტრის სიმაღლიდან, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ რაქვთიდან ხორციელდება და დასრულებული პროექტით შუახევის მუნიციპალიტეტის სამი სოფლის: ფურტიოს, ბუთურაულის, ნენიის (30%) მოსახლება ისარგებლებს. პროექტის მიხედვით იგეგმება წყლის სათავე ნაგებობის მშენებლობა რაქვთაში, სასმელი წყლის გამანაწილებელი აუზის მშენებლობა ნენიში, ფურტიოში, ბუთურაულში. 2016 წელს მაგისტრალის მშენებლობაზე 2 მილიონი ლარი დაიხარჯება.

სამუშაოები ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადით 2017 წლის დეკემბრის ბოლოს უნდა დასრულდეს. ამ ეტაპზე 4 კმ-ზე (ნენია-ბუთურაული-ფურტიოს მიმართულებით) ჩაწყობილია 150 მმ დიამეტრის ლითონის მილები. ამ დროისთვის მიწის გრუნტის დამუშავება და ლითონის მილების ჩაწყობა-შედუღებითი სამუშაოები მიმდინარეობს სხალთის მიმართულებით.

წყალსადენზე მიმდინარე სამუშაოებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ტარიელ ებრალიძე, გამგებლის პირველ მოადგილე ავთანდილ დიასამიძესა და ზედამხედველობის სამსახურის უფროს მურად მიქელაძესთან ერთად გაეცნო.

## ხულოს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის

შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოიყო 624 646 ლარი, საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციისთვის — 312 727, ხოლო სასმელის წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის — 717 229 ლარი.

ბეშუმი ზღვის დონიდან 1950 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს და ტურისტულ ზონაში 1000-ზე მეტი კომლია. კურორტ ბეშუმის განვითარება ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკური და ტურისტული მაჩვენებლების ზრდას.

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ბაუჩაძე კურორტ ბეშუმის შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

ამ ეტაპზე უკვე იგება ასფალტის პირველი საფარი. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი ზვიად თავართქილაძე და ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის წევრი ედნარ ბოლქვაძეც ესწრებოდნენ.



წაღვერი

# ჰანგებგაუხუნარი თბილისის ტრუბადური...

ჩაიარა წლევანდელმა „თბილისობამაც“ ჩვენი სათაყვანო დედაქალაქის ქუჩა-მოედნების ფერებ-ფერებაში, თბილისელების — დიდ-პატარის ღიმილსა და გულგაშლილობაში — ახალთაობის დღეგრძელობაში, იმქვეყანაში წასული უფროსი თაობის გახსენებაში...

მოდით, ჩვენც გავიხსენოთ ერთი ნაღდი თბილისელი — მომღერალი, ტრუბადური ჩვენი დედაქალაქისა.

ხომ ბევრს უმღერია თბილისის ცისა და მიწისთვის, მისი სიმღერა მაინც განსაკუთრებულია. გიორგი ცაბაძის პიროვნება და შემოქმედება წარმოუდგენელია უთბილისოდ.

ახლაც, ალბათ, გაგახსენდათ კომპოზიტორის უამრავი მელოდიიდან რომელიმე — თბილისის ძველ ქუჩაბანდებში მორიალე „ყოჩი, ქამრიანი ბიჭების“ მოსაგონარი, ანდა ახალ, მხრებფართო უბნებთან მოალერსე.



* * *

32 წლის წინათ, როდესაც გიორგი ცაბაძეს რედაქციიდან ოჯახში ვეწვიე სასაუბროდ, ბედნიერი ფაქტის მოწმე გავხდი — უმცროსი გიორგი, შვილიშვილი, რამდენიმე დღის წინათ რომ მოევლინა ქვეყნიერებას, სწორედ ჩემი მისვლის დროს შემოაბრძანეს ცაბაძეების ოჯახში. სიმღერით შეეგება ბედნიერი პაპა ერთ ციდა გიორგი ცაბაძეს, ამაღლდა, განათდა ჭერი... დამალოცვინა მასპინძელმა შვილიშვილი...

**— ღმერთმა ჰქნას, თქვენი გენები გამოჰყვეს, ბატონო გიორგი...**

— შეიძლება, რატომაც არა... მამაჩემი (ისიც გიორგი) კარგი მომღერალი იყო... ასე რომ, წინაპრებისგანაც მოსდგამს. მე, თავად, მამამ შემაყვარა სიმღერა, ჩამწვარი იყო ძველი თბილისის მუსიკალურ ფოლკლორში. თანაც, რა უბანი იყო, რა სიმღერებს არ მოისმენდი. გოგოლის ქუჩა, გუდასტვირიანი ილიკო ქურხული... მეფაეტონეები... ახლა იშვიათად გაიგონებ იმგვარ დიალექტს...

**— ისევ ძველი თბილისის უბნებში...**

— რა თქმა უნდა... მიყვარს იქ გავლა. აგერ სამოცდაათის, ოთხმოცს გადაცილებული ბერიკაცი ეზოს წინ ჩამომჯდარა, მივესალმები, გავესაუბრები, მინდა გავიგო, ხომ არ დაიკარგა ის განუმეორებელი ინტონაცია ხმისა, ის სურნელი... რომ იცოდე, რა სიტყვაძვირები არიან, მოკლედ მოგიჭრიან სათქმელს. ხშირად მიფიქრია, რომ ჩვენ მაინც ვერ ვლაპარაკობთ მათებრ სუფთა ქართულს...

ჰო, იმას გიამბობდი... მამის სიმღერებმა, გარემომ თავისი ჰქნა. ესეც არ იყოს, ეტყობა, უნიჭოც არ ვიყავი — დაუზარებლად ვუსმენდი ფირფიტებს და თან ხელს ვაყოლებდი, ჩემთვის ვდირიჟორობდი. მშობლებმა ამას ყურადღება მიაქციეს, მალე პიანინოც მიყიდეს და ერთ მშვენიერ დღეს კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანთან მიმიყვანეს. მაჭავარიანმა მომისმინა, კმაყოფილი დარჩა, კომპოზიციის ალღო შემიქო და კომპოზიტორ შალვა მშველიძესთან გამგზავნა. ბატონი შალვა იმ დროს კომპოზიციას ასწავლიდა კონსერვატორიასთან არსებულ პირველ მუსიკალურ სასწავლებელში. მიმიღეს ამ სასწავლებელში, მერე კონსერვატორია დავამთავრე შესანიშნავი პედაგოგების ხელმძღვანელობით, მაგრამ გზაზე მაინც შალვა მშველიძემ და ალექსი მაჭავარიანმა დამაყენეს...

— ერთი ეს გაგვანდეთ: მაინც, როგორ მუშაობთ, როგორ იბადებიან თქვენი სიმღერები?

— კარგი ლექსი მაძლევს ბიძგს, მეხმარება ამა თუ იმ ინტონაციის მოძებნაში. ასეც ხდება: ტვინს იჭყლეტ და არაფერი გამოდის. ზოგჯერ თვეობით გადამიდვია ლექსი. აბა, ალეკო შენგელიას „საქართველოს მანანებო“, დამიჯერე, მართლაც ერთი ამოსუნთქვით, ერთ საათში ავამღერე.

**— თქვენივე ტექსტით თუ შეგიქმნიათ როდისმე სიმღერა?**

— არა, ლექსი არასდროს დამიწერია, თუმცა უსაზღვროდ მიყვარს ქართული პოეზია. ისე, პეტრე გრუზინსკის და მორის ფოცხიშვილს (რა თქმა უნდა, ნებართვით) ხანდახან რიტმს ან რითმას შევუსწორებ ხოლმე (სიმღერა როგორც მოიხდენს, იმის მიხედვით). წარმოიდგინე, ჯერ არ დაუწუნებიათ ჩემი შესწორებული.

**— პოეტისა და კომპოზიტორის მეგობრობა-თანამშრომლობის ბევრი მაგალითი ვიცით, მაგრამ თქვენი და მორის ფოცხიშვილის ურთიერთობა მაინც განსაკუთრებულია. როგორ შეეწყვეთ ასე ერთმანეთს?**

— იგი შესანიშნავი მოქალაქე და პოეტია, დაუზარელია სიმღერაზე მუშაობისას. თუ საჭირო იქნა, უცებ შექმნის ლექსის რამდენიმე ვარიანტს. საერთოდ კი, როგორც წესი, მისი ზედმიწევნით მელოდიური ლექსი, პირდაპირ მოერგება ხოლმე სასიმღერო მელოდიას. რახან ტექსტის ავტორებზე ვსაუბრობთ, აქ უეჭველად უნდა ვახსენოთ პეტრე გრუზინსკი, პოეტი, რომელიც ეტალონია ჩემთვის სასიმღერო ჟანრში (ღიღინებს) „სადაც გინდა, იქ ილოცე“... ეს მარტო პეტრეს შეეძლო დაეწერა... და ასეთი რამდენი... ხოლო, ვინც ქართული ლექსის სურნელი მაგრძნობინა, ეს ვაჟა-ფშაველა იყო. სხვაგვარად ნუ ჩამომართმევ, ხომ კარგი სიმღერაა ოცდაათი წლის წინათ შექმნილი „მინდა გაკოცო, მაკოცო“. მე მგონია, მაინც ვაჟას ლექსია თავიდათავი.

### ექსპრომტი-სიურპრიზი

იმ დღეს მორის ფოცხიშვილთან გახლდით. გიორგი ცაბაძეზე ვისაუბრეთ. მერე ერთი დღიური მაჩვენა პოეტმა, რომელშიც ორი შემოქმედის ძმობა-მეგობრობის, ურთიერთობის თითქმის ყველა საინტერესო მომენტია აღნუსხული. — იყოს, ზოგჯერ რაიმეს გავიხსენებთ, ანდა, იქნებ ვინმეს გამოადგეს... — მითხრა მორისმა. — აი, ნახე, ეს ლექსი ექსპრომტად ჩავწერე გუშინწინ დღიურში, თან ტელევიზორს ვუყურებდი, გოგიზე იყო გადაცემა „თბილისური სერენადა“... ჯერ თვითონაც არ წაუკითხავს...

**— მაშინ, სიურპრიზი მოვუწყოთ...**

— კი ბატონო... აი, ნახეთ:

**მუსიკაა, რაც ინთება,**
**რაც სინათლედ იღვრება,**
**საქართველოს სადიდებლად**
**ცოცხლობს შენი სიმღერა.**
**გულით ძლებ და გიჟღერს გული,**
**ყურს ვინ გიგდებს უგულოს, —**
**ხარ თბილისის ტრუბადური,**
**თბილისელო ბულბულო!**



**ცა სანოტე რვეულია,**
**ვინ ინატრა სხვა ჭერი, —**
**შენი ამღერებულია**
**მთელი იმერ-ამერი!**

* * *

— ჩემი აზრით, ჭეშმარიტი სიმღერის ავტორი არა მარტო კომპოზიტორი, პოეტი და სიმღერის შემსრულებელიც არის. მაგალითად, რით არ არიან ავტორები ნანი ბრეგვაძე, ბუბა კიკაბიძე, ანსამბლები — „ორერა“ და „ივერია“ ჩემი ზოგიერთი სიმღერისა? „უკანასკნელ მეფაიტონეს“ ლექსიც მოუხდა და მომღერალიც... ანდა „საქართველოს მანანებო“... — ნანი ბრეგვაძემ მითხრა, გოგის ამ სიმღერაზე, არ ვიცი, რა მემართება, სულ მეტირებაო...

(ღიმილით) — ეგ ყველაფერზე ტირის, რასაც მიოვუტან... ერთხელ მითხრა: შენ რომ მღერი, ვტირიო... აბა, ამას კაცი დაიჯერებს?

**— ბატონო გიორგი, საინტერესოა, როგორ განმარტავდით გამოთქმას: „ჭეშმარიტი თბილისელი?“**

— ზოგს ჰგონია, მხოლოდ თბილისში დაბადებული და გაზრდილი კაცია ჭეშმარიტი თბილისელი... რა მნიშვნელობა აქვს, ოღონდ ნამუსიანი იყოს, როგორ დედის სახელს, ისე უფრთხილდებოდეს თბილისის ღირსებას, ისე იქცეოდეს, რომ უცხომ არავინ შეუგინოს დედაქალაქი... მატარებელში უკვე გორიდან რომ ვემზადებით თბილისთან შესახვედრად, მოუთმენლობა გვიპყრობს და ფანჯარასთან ვდგებით, რომ მთაწმინდას შორიდან თვალი ვკიდოთ, აი, ამ გრძნოვას უნდა მოფრთხილება, ნათელი გულითა და თვალებით უნდა ვუყურებდეთ თბილისის აწმყოსა და მომავალს. (ალბომში მწერალ გიორგი გელაშვილის სურათს მაჩვენებს) აი, ნაღდი თბილისელი ვინ იყო... უსპეტაკესი კაცი, უზომოდ შეყვარებული თავის ქალაქზე... ასე მინდა გაიზარდოს ჩემი შვილიშვილი — პატარა გიორგი, ნამუსიანი კაცის სახელი ახლდეს ყველგან...

* * *

რომ დავემშვიდობე და წამოვედი, უკვე ბინდი იყო. ოქტომბრის ბოლოს საგრძნობი სუსხი ახლდა. ერთმა მადლიანმა მსუბუქი მანქანა გამიჩერა და როდესაც მის გვერდით მოვკალათდი, მაგნიტოფონიდან გადმოღვრილ მელოდიას მივაყურადე. გიორგი ცაბაძე მღეროდა თავის სიმრერას: „ჩემო ღმერთო, ერთადერთო, ჩემო თბილისო“, უგალობდა ბინდში ჩაძირულ თბილის-ქალაქს კომპოზიტორი.

ახალგაზრდა მძღოლს, ალბათ, საუბრის გაბმა სურდა, გადომხედა და მაგნიტოფონისკენ მანიშნა:

**— ჯიგარია, არა?**

რაღა უნდა მეთქვა, თავი დავუქნიე.

**ვილენ მარდალეიშვილი**



# გახსენება



ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო. ბატონო გურამ, ამას თქვენთან მიმართებაში ვერ ვიტყვით. თვალწინ გვიდგახართ შემართული სიარულით, განუყრელი ჩანთით, რომელშიც მოპოვებულ „მარგალიტებს" აგროვებდით, რათა ერისთვის კვლავ შეგეხსენებინათ სახელოვან წინაპართა ნამოღვაწარი, მაგრამ მუხანათ მტერს არ სძინავს. სწორედ იქ ჩაგისაფრდათ, როცა მოღვაწეობის ზენიტში ბრძანდებოდით, როცა კვლავ ბევრს შექმნიდით ქვეყნისთვის. მაშინ დაადუმეს თქვენი კალამი მართლმადიდებლობის დაუძინებელმა მტრებმა დღევანდელ საქართველოს უმძიმეს ყოფიერებას თქვენი ომახიანი, პრინციპული, კატეგორიული ხმა სჭირდება. მხოლოდ თქვენ, ყოველგვარი შიშის გარეშე პარლამენტის შენობაში ცეცხლს მიეცით სატანური ლიტერატურა, გენერალური პროკურატურის შენობის წინ დაწვით იეღოველთა მწვალებლური წიგნები. დიდი იყო ავტორიტეტი, პატივისცემა თქვენს მიმართ, როგორც საღად მოაზროვნე საზოგადოებიდან, ასევე მთავრობის ეშელონებიდან. პირდაპირ ამხელდით ერის მოღალატეებს, არ ინდობდით სორისოს ნაშიერებს...

გვაკლიხართ, ვოცნებობთ და მხოლოდ მოგონებაღა გვრჩება. სამშობლო და სარწმუნოება იყო თქვენთვის უპირატესი. უზადოდ იცავდით ერის ინტერესებს, ტრადიციას, სარწმუნოებას. შეუპოვრად აგროვებდით საზღვარგარეთ გაბნეულ სიძველეებს, ბავშვივით გახარებდათ ყოველი წარმატება. გურამ შარაძე, სიმართლის დესპანი შიშის ზარს სცემდა ერის მოღალატეებს, სწორეს ამიტომ დაგეგმეს და მზაკვრულად გაგიმეტეს, როგორც დიდი ილია, სარწმუნოებისა და სამშობლოს სიყვარულით დამაშვრალო, ბატონო გურამ.



გილოცავთ დაბადებიდან 76 წლისთავს. დარწმუნებულნი ვართ, თქვენი სული შფოთავს, გამუდმებით ლოცულობს ჩვენი ბედკრული საქართველოსთვის. დაბადების დღე მიულოცეთ ქალბატონ სვეტლანას.

ილოცეთ თქვენი ღირსეული რუსუდანისთვის, მისი ოჯახისთვის. სწორედ რუსუდანი არის თქვენი მისწრაფების, აზრების მატარებელი, რომელიც თქვენსავით შეუპოვრად ებრძვის უსამართლობას. თავი არ დაუხრია მორალატეებისთვის.

ჩვენ მუდამ ვლოცულობთ თქვენი მადლმოსილი სულებისთვის.

ქრისტესმიერი მოგონებით,

**გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი**
**მამა ბასილი (მკალავიშვილი),**
**მამა ვახტანგი (მარგიანი)**
**მრავალრიცხოვანი მრევლი**

---

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი), მამა ვახტანგი (მარგიანი), მრავალრიცხოვანი მრევლი ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი ეკლესიის აქტიური წევრის, ქველმოქმედის

**ნუნუ-ნინო ქართლელიშვილის**

გარდაცვალების გამო.

ვუსამძიმრებთ მეუღლეს მერაბს, შვილებს კახას, ხათუნას, შვილიშვილებს გიორგის, ნინოს, ახლობლებს.

დამწუხრებული გემშვიდობებით, ჩვენი ერის ღირსეულო შვილო. თბილად ჩაგიკრავს შენი მშობლიური მიწა. მოულოდნელად დაგვტოვე და შეუდექ ზეციური სამყოფელის გზას.

ვაბარებთ შენს სულს უფალს და ყოვლადწმიდა დედას.



---

38 წლის **ლევან გეგიძე,** რომელსაც ავტოკატასტროფის შედეგად უამრავი დაზიანება აქვს მიღებული და უკვე მეორე თვეა კომაშია, სასწრაფოდ საჭიროებს საზღვარგარეთ მკურნალობას, რისი საშუალებაც ოჯახს არ გააჩნია.

**ლევან გეგიძის საბანკო რეკვიზიტებია:**

თიბისი ბანკი, ანგ # **GE72TB7805445 165 100 009.**

მადლობას გიხდით გულისხმიერებისთვის.

ლ. გეგიძის ოჯახი

---

# „საერთო გაზეთის" იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა
კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



* * *

— **რას ნიშნავს სამოქალაქო სამართალში პირის ქმედუნარიანობა?**

— თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 12.

ქმედუნარიანობა 1. ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები (ქმედუნარიანობა), წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც მიაღწია თვრამეტი წლის ასაკს.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე.

4. შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო.

5. ქმედუუნაროდ მიიჩნევა ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ასეთად იქნება აღიარებული. ამ პირის უფლებებს ახორციელებს მისი კანონიერი წარმომადგენელი (მეურვე).

6. ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად.

* * *

— **პირადი არაქონებრივი უფლებების თემა მაინტერესებს.**

— -თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგდგენთ სრულად:

მუხლი 18. პირადი არაქონებრივი უფლებები

1. ვისაც სახელის ტარების უფლებას შეეცილებიან, ან ვისი ინტერესებიც ილახება მისი სახელით უნებართვო სარგებლობით, მას უფლება აქვს ხელმყოფს მოსთხოვოს მოქმედების შეწყვეტა ან უარის თქმა მასზე.

2. პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ღირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან.

3. თუ პირის პატივის, ღირსების, საქმიანი რეპუტაციის ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შემლახველი ცნობები გავრცელებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაშინ მათი უარყოფაც უნდა მოხდეს ამავე საშუალებებით. თუ ამგვარ მონაცემებს შეიცავს ორგანიზაციის მიერ გაცემული საბუთი, მაშინ ეს საბუთი უნდა შეიცვალოს და ამის შესახებ ეცნობოს დაინტერესებულ პირებს.

4. პირს, რომლის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობებიც გამოქვეყნდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, უფლება აქვს გამოაქვეყნოს საპასუხო ცნობები ინფორმაციის იმავე საშუალებებში.

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება აქვს პირს მაშინაც, როცა მისი გამოსახულება (ფოტოსურათი, კინოფილმი, ვიდეოფილმი და ა.შ.) გამოქვეყნდება მისი თანხმობის გარეშე. პირის თანხმობა არ არის საჭირო, როცა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) დაკავშირებულია მის საზოგადოებრივ აღიარებასთან, დაკავებულ თანამდებობასთან, მართლმსაჯულების ან პოლიციის მოთხოვნებთან, სამეცნიერო, სასწავლო ან კულტურულ მიზნებთან, ანდა ფოტოგადაღება (ვიდეოგადაღება და ა.შ.) მოხდა საზოგადო ვითარებაში, ანდა პირმა პოზირებისათვის მიიღო საზღაური.

6. ამ მუხლით გათვალისწინებული სიკეთის დაცვა ხორციელდება, მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა. ხოლო, თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც. ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს იმ მოგების სახით, რომელიც წარმოექმნა ხელმყოფს. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი N15)

სინის თარგმანში უფალი ორ მიმართვას „თქვენობით“ ამბობს, მესამეს კი, „შენობით“, ეს მესამე არის „ნათესავი კაცთასა“, ანუ ამ ადგილის მაცხოვრებლებისადმი — ქართველები, შინაურები, ყველა სხვა უცხოა, რომლებიც უკვე განთესილები არიან. „მე თავი დავიმდაბლე და შენ აღგამაღლე“... მე იმისთვის მოვედი, რომ შენი მცნება, რომელიც შენთვისაა დაწერილი, არავინ მიიტაცოსო – ამისთვის ეცვა ქრისტე ჯვარს, ჩვენთვის, ქართველებისთვის, თავისიანებისთვის, მათთვის, ვისაც შენობით მიმართავს.

მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა მომდინარეობს ქრისტეს გაჩენიდან, მაგრამ მანამდე ღმერთს ერქვა „ამირანი“ („ამინალი“) — დაიმალა ეს სახელი, რომელსაც „ღმერთთა ღმერთი“ ღმერთი ჰქვია აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში ჰქვია დედამიწის ღვთაება. ამირანი არის ერთადერთი ცოცხალი ღმერთი და მან შექმნა ადამი — ამას ამბობს მათე 16;16 „ამირანი“ უნდა დამალულიყო გარკვეულ დრომდე.

ლაზარემ გაიღვიძა უკვე...

რატომ იჩქმალება მოვლენა, რომ ამოუცნობი ცეცხლის გადმოსვლა ხდება საქართველოში, ღმერთის მთაზე? — ქარელიდან ჩანს. იმავე ადგილზე ოთხივ მხარეს მიმავალი ღრუბლებია — ასეთ რამეს სადმე ვინმე წაწყდომია? ღამე, როდესაც ნათელი, ვარსკვლავებიანი ცა არის, პირდაპირ ისახება ხე, რომელიც შემორაგულია ვარსკვლავებით — ეს ისეთი საიდუმლოა, რაც საქართველოს გარდა არსადაა და არ წერენ ამაზე. ეს იგივეა რაც „ალი“, „დონი“, „სიონი“ და ა.შ აქედან განთესილმა ხალხმა წაიღო ეს სახელები... გერმანული — აინ, ცვაინ, დრაინ (ერთი, ორი, სამი), „აინ“ („ანი“) იგივე სულიწმინდა, „ცვანი“ („სვანი“) და „დონ-ი“ — „დ“ ღმერთის ადგილი (თუ შეგიმჩნევიათ, მაგალითად, საფლავის ქვებზე, კუთხეში, ყველგან ძველი ქართული „დ“ არის გამოსახული) და „რ“ — ქრისტეს მიმანიშნებელი სიმბოლო — ეს ათასწლეულების წინანდელია, მაგრამ ენამ ბრწყინვალედ შემოინახა... „ონი“ — მზის ძველქართული სახელწოდება და ძველ ქართულ ანბანში „ონი“ სწორედ მზის დისკოს სახით გამოისახებოდა; ძველ ხეთურში „ონი“ „მზის ქალაქი“ იყო — ეს ვრცელი თემაა...

მხოლოდ ერთს და მოკლედ ვიტყვი — ახლო აღმოსავლეთისა (ქანაანური) და დღევანდელი აფრიკის თითქმის ყველა ხალხი ეთაყვანებოდა ღვთაება ბაალს, რომელსაც ჰყავდა ქალიშვილები: უფროსი არცაი (მიწის ღვთაებას) „არა — ცა“, თალაი „საკმეველი“ და უმცროსი პადარაი „პატარაი“, ხოლო ბაალის დას ერქვა ანათა — მანათობელი, რომელიც ანათებს...

ნაყოფიერების ეს ღვთაება მართავდა ბუნებას, განსაკუთრებით ატმოსფერულ მოვლენებს. მოსეს რჯულის მიერ დაწესებული აკრძალვის მიუხედავად, მას ეთაყვანებოდნენ ისრაელელებიც და წინასწარმეტყველები ბაალს კერპთაყვანისმცემლობის მთავარ სიმბოლოდ მიიჩნევდნენ. ბაალის კულტი ებრაელთა გადასახლების ხანაში მოისპო. ბაალი, სეთი, მოგვიანებით ზევსი... (სხვათაშორის, ტორნადოს ხელოვნურად გამოწვევაც შეეძლო ძველ ეგვიპტეში რა-ს მხედარს...)

ფინიკიელები თვლიდნენ, რომ ბაალი ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობდა. არაბულ სიტყვა ქაფ-ს მკვლევარები აიგივებენ კავკასიასთან (ქაფ-ქასიაჰ), როგორც წმინდა მთასთან, რომელთან მიღწევაც შეუძლებელი იყო. თანამედროვე არაბეთისა და ირანის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხები თვლიდნენ, რომ იქ ცეცხლოვანი ჯინების სამკვიდრო იყო.

ფინიკიელი მეზღვაურები ამ სიტყვით აღნიშნავდნენ დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთს და თვლიდნენ, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრობდა მათი უძველესი ღმერთი ბაალ-კაფონი, რომელსაც მეორენაირად „ილუ-საც“ უწოდებდნენ.

არაბული სიტყვა „ქაფ“ დასასრულს აღნიშნავს. „ყურანი“ ამბობს, რომ დიდი სამსჯავროს წინ ქაფ-იდან შემოცვივდებიან იაჯუჯ-მაჯუჯები (გოგი და მაგოგი), მოინდომებენ ღმერთთან შებმას და მისგან დაეცემიან. ბიბლიაშიც და ესქატოლიურ მითებშიც, აღსასრულის ჟამს საშინელი ხალხი მოვა ჩრდილოეთი ქაფიდან. ძველ დროში კავკასია აღქმული იყო როგორც სამყაროს ღერძი, გეოგრაფიული და მისტიური საზღვარი სადაც დაიწყება საკრალური მოვლენები. ეზოთერული ნიშანი „ქაფ“ ანუ კავკასია, იდუმალ მეცნიერებაში გამოიყენება როგორც საზღვარი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან პლანეტის ბოროტი და კეთილი სულები.

რატომ მოკვდა ლაზარე, ეს ვრცელი და რთული თემაა, იმიტომ რომ „დაეკარგება მათ ბრძენთა სიბრძნე და გონიერთა გონიერება“ — ქართველებმა დაკარგეს ყველაფერი, წყლულისგან გამომდინარე მიიძინეს და დღემდე ასეა...

მთელი მსოფლიო საქართველოდან იმართებოდა, მაგრამ როდესაც წყევლა იწყებს მოქმედებას, ეცემა სიძლიერე აი, აქ, კოლხეთის სამეფოზე და ვეღარ მართავს. „ქანაანი“ — იგივე მეგრელებისა და სვანების დასახლება იყო, „ქანი“ და „ანი“... დაიკარგა სიბრძნე, თითქოს მოკვდა ძალადაკარგული ლაზარე...

ღმერთის ძალა სიტყვაშია, „პირველად იყო სიტყვა“. სიტყვა არის ენის შემადგენელი — ღმერთის ენა ქართული ენაა, ანუ ამ ხალხის სიტყვას ჰქონდა ისეთი ძალა, რომ ბუნებრივი მოვლენების გამოწვევა შეეძლოთ. წყევლის შემდეგ დაიკარგა ეს ძალა და შესაბამისად ცოდნაც...

ბიბლია არ არის მოთხრობა. მართალია, ის გადაწერილია დაკარგული (თუ მოპარული?) „ეფუთიდან“, მაგრამ ყველა შემთხვევაში ბიბლია დაშიფრული ფაქტებია. „ლაზარეს“ სიკვდილიდან აღსადგენად ლაზარე შეტანილი იქნა სახარებაში, ორ-სამჯერაა ნახსენები ლუკას სახარებაში. 10 საუკუნის მერე წერს იოანე ზოსიმე რომ ლაზარე არის ღმერთის ენა, ეს ენა არის ქართული და ეს თქვა ღმერთმა... მოკლედ რომ ვთქვათ, ცოდნა დაკარგულია და მერე წერენ ებრაელები...

ეროვნება ამოგვიშალეს, ენას პირდაპირ რომ ვერ მიადგნენ, (კი მიადგნენ, მაგრამ ვერ გაიტანეს) ეშმაკურად დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ ცოტა რომ გადაგვაჭარბებენ ვილაცები, იმასაც ამოგვიშლიან. სანაცვლოდ, სხვები სწავლობენ ქართული ენას რადგან ფრთხილობენ, არ დაკარგონ ის ცოდნა, რომლის გაგებაც მხოლოდ ქართულადაა შესაძლებელი, გრაალი!“ — ეს სიტყვები „საერთო გაზეთის“ მკითხველ, ბატონ ალექსანდრეს (გვარის გამჟღავნება არ ისურვა) ეკუთვნის, რომელიც მომცრო სამგზავრო ჩემოდნითა და სინას მთის ჩანაწერებით ხელში წარმომიდგა.

მკითხველთა ნაწილისთვის (მითუმეტეს გაზეთის მხოლოდ ეს გამოშვება თუ უპყრია ხელთ), ალბათ, ერთგვარად გაურკვეველი დარჩება ბატონი ალექსანდრეს „წამოსროლილი“ მარცვლები, ამდენად მეტი სიცხადისთვის მოკლედ განმარტოთ ის, რაც უპირველესად მნიშვნელოვანია. (აქვე აღვნიშნოთ, რომ ბატონი ალექსანდრეს მიერ ფრაზებად ნათქვამი რამდენიმე მოსაზრება, შედარებით ვრცლად გვაქვს განმარტებული გაზეთის წინა გამოშვებებში.)

რადგან გაზეთის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, მაქსიმალურად მოკლედ გავშალოთ — იესო ეუბნება ლაზარეს დას, მართას: „ლაზარე არ მომკვდარა და აღდგება“. მართა პასუხობს: „ვიცი, აღდგება აღდგომის ბოლო დღეს.“ წერილის ბოლოს წერია: „სასწაულად აქუს — 94 წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლიდან ვიდრე დღესამომდე“ და „ასი ესე წელი ანბანისაი“ და აქ ნამდვილად სასწაული მოაქვს ამ ინფორმაციის სახით. ე.ი 100X (წ=4 000)=400 000-ს და ვღებულობთ ფანტასტიკურ ციფრს, რომელიც ადასტურებს ჩვენი (იბერიული მოდგმის) ატლანტების შთამომავლობას, ანუ ჩვენ ღვთის შვილობას, ორიონელობას, ანუ მონადირის, ამირანის მამის შემოსვლას დედამიწაზე!...

თანამედროვე კვლევებმა აჩვენა, რომ ქართული ანბანი უნიკალურია ყველა იმ ანბანს შორის, რომელიც ოდესმე არსებულა და არსებობს. საუბარია კოლხ ქურუმთა ანბანურ სისტემაზე, რომელსაც იმ დროშიც ვერავინ წაიკითხავდა ქურუმთა ვიწრო წრის გარდა და რა თქმა უნდა, უზენაესისგან დასმული ხელისუფალის გარდა.

ჩვენამდე მოღწეული ანბანური დამწერლობის ძეგლები იწყება ძვ. წ. XVIII საუკუნეში. ეს არის სემური ენების მონათესავე ენების ანუ ებრალების, ქანაანელების, უგარიტელების, მოაბელის, ფინიკიელების, არამეელების დამწერლობა.

ანბანურ დამწერლობას ქმნიდნენ ქურუმები, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია არა ქურუმთა ანბანური სისტემა, არამედ საყოველთაო, ყველასთვის ხელმისაწვდომი ფორმა.

ანბანური დამწერლობის უპირველესი არსი და რაობა არის, რომ ის ერთდროულად არის ბგერის სიმბოლო და რიცხვის სიმბოლო.

ჩვენ გვაქვს IV საუკუნის თხზულება „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ სადაც დაფარულად დევს ქართული ენის შესახებ ინფორმაცია.

ქართული ანბანი შექმნილია დრო-ჟამის (კალენდრის) სათვალავის საფუძველზე.

ძველი ქართველები მთვარის ღმერთის თაყვანისმცემლები იყვნენ და მთვარის კალენდარულ სისტემას იყენებდნენ, თუმცა ეს ეპოქა დასრულდა და და დაიწყო მზის კალენდარული ეპოქა.

ბაბილონის ცივილიზაციაში იყო მთვარის კალენდარი, ეგვიპტეში — მზის მოძრავი კალენდარი. პირველი უძრავი კალენდარი შემოიღო იულიუს კეისარმა ძვ. წ. 45 წელს.

ქართულ ანბანში დადასტურებულია უძრავი მზის კალენდარი რომელიც შეიქმნა მაშინ, როდესაც მთვარის კალენდარული სისტემიდან მზის კალენდარულ სისტემაზე გადავედით. ქართული ანბანის შექმნა დაიწყო ძვ. წ. 540 წელს, დასრულდა 476 წელს და ამოქმედდა 445 წელს.



ქართულ ანაბანს შენარჩუნებული აქვს:

8 წლიანი ბაბ. კალ სისტემა;

მზე-მთვარის 19-წლიანი კალ. სისტემა;

4-წლიანი ჟამეული ნაკიანი წელიწადით (366) მესამე წელს;

მზისა და მთვარის დაბნელებები;

მზის 32-წლიანი ჟამეული;

მზის 128 წლიანი ჟამეული;

128-წლიანი ჟამეულის 95-ე წელი არის უნაკო — ეს აღმოჩენა მეცნიერებმა არცთუ დიდი ხნის უკან აღმოაჩინეს. ეს აღმოჩენა ადასტურებს იმას, რომ ქართული კალენდარი უფრო ზუსტია ვიდრე იულიანური ან გრიგორიანული. ქართული კალენდარი ანგარიშობს წამებში, იულიანური კალენდარი 11 წუთისა და 14 წამის შეცდომას უშვებს, რაც საკმაოდ დიდი დროა, რომელიც 10 საუკუნეში რამდენიმე დღეს უდრის. ამიტომ შემოიღეს გრიგორიანული კალენდარი რომ სადღესასწაულო თარიღების გადაწევისას ეს ცდომილებები შეესწორებინათ.

(გაგრძელება იქნება)

# პოლიტიკოსი, მეტსახელად „ფანჩ..ი“

მეტსახელების მეტი რა მსმენია: „კალოშა“, პადოშა“, „პინგვინა“, „ლოქო“, „სპილო“, „ვირთხა“ და ასე შემდეგ, მაგრამ კაცს რომ „კლიჩკად“ „ფანჩ...ს“ შეარქმევენ, იმის კაცობაზე ლაპარაკი უკვე ზედმეტია, მით უმეტეს, თუ მეტსახელის ავტორები მისივე სტუდენტები არიან.

ჰოდა, ასეთი და ამგვარი შინაარსის სიტყვას კაცს რომ დაარქმევენ და მერე ის კაცი კაცობაზე და ვაჟკაცობაზე რომ დებს თავს, იქ საქმე დამთავრებულია.

სიტყვა ფანჩ...ი მხოლოდ უხერხულ ადგილებში ამოსულ თმის ბუჩქს არ ნიშნავს, მასში არის კიდევ რაღაც სხვა მინიშნება, როგორც ახლა იტყვიან, სხვა მესიჯი.

როგორც ჩანს, თავიანთი აღმზრდელ-პედაგოგის ხასიათში სტუდენტებმა რაღაც ძალიან, ძალიან ფანჩ...ი შტრიხები შეამჩნიეს და ამიტომაც შეარქვეს ეს მეტსახელი, თორემ რა რჯიდათ, სხვა რამეს მოიფიქრებდნენ.

— მეო, ტყუილს მიგონებენო, — განაცხადა ფანჩ..მა ერთ-ერთ ინტერვიუში. — ტყუილს მიგონებენ, თითქოს კომუნისტური პარტიის რიგებში 9 აპრილის შემდეგ შევედი. სრული სიცრუეა ეს, კომპარტიაში ჯარში მსახურობისას, 1988 წელს გავწევრიანდი და არა 9 აპრილსო.

ეხ, ფანჩ..ო, ფანჩ..ო, ხალხი 88-ში კომპარტიიდან გამოდიოდა, შენ კი შეხვედი?

შეხვედი იმიტომ, რომ არ გჯეროდა, საბჭოთა კავშირი რომ დაინგრეოდა და კომპარტია დაიშლებოდა?

არ გჯეროდა ეს და კომპარტიაში შესვლით კომუნისტურ-ბოლშევიკური კარიერისთვის საძირკველს ყრიდი.

შენ და შენისთანებს დიდი უბედურება რომ არ დაგტეხოდათ თავს და საბჭოთა კავშირი არ დაშლილიყო, შენ ახლა ან რაიკომის მდივანი იქნებოდი, ან ცეკას მაღალჩინოსანი, შეიძლება სულაც ცეკას მდივანი და კომუნიზმის დიადი იდეების შესახებ პირაქაფებული იქადაგებდი.

კომუნისტური კარიერა კი დაგემსხვრა, მაგრამ ჟამთა ცვლას უცებ აუღე ალღო, სასწრაფოდ აქეთ, მოპირდაპირე მხარეს გადმოფანჩარ.ი და ახლა უკვე, პროდასავლურ ღირებულებებზე ალაპარაკდი.

შენ რომ პროდასავლურ და ევროპულ ღირებულებებთან რაიმე საერთო რომ გქონოდა, 88-ში კომპარტიაში როგორ შეფანჩ..დებოდი, მაგრამ ხომ შეფანჩ..დი და შეფანჩარდი იმიტომ, რომ ფანჩ..ი ხარ, რომელიც საჭიროების მიხედვით ხან აქეთ გადმოფანჩ..დება და ხან იქით გადაფანჩ..დება.

მერე იყო და „ფანჩ..ს“ სიყვარული ეწვია და სიყვარულის ობიექტს ხელი სთხოვა.

— კი, ბატონო, თანახმა ვარ, მაგრამ ერთი პირობითო.

— რა პირობაა ასეთი, მე რომ შენს გამო არ შევასრულო, ჩემო ვარდის კოკორო, — იკითხა ფანჩ..მა.

— რა პირობაა და შენ რომ შვილი გყავს, იმ შვილზე უარს იტყვი და გვარს არ მისცემო, — მტკიცე ხმით განუცხადა „ობიექტმა“ ყურებამდე შეყვარებულ ფანჩ..ს.

— რა პრობლემაა, ჩემო მზეო და ჩემო მთვარევ?! ეგ ბავშვი ჩემი ახალგაზრდული შეცდომის ნაყოფია და მეტი არაფერი. არც გვარს მივცემ და საერთოდ, არასოდეს გავიხედავ იქითკენო, — მიუგო ფანჩ..მა „ობიექტს“ და მის ფეხებთან სახეგაბადრული და ბედნიერი განერთხა.

განერთხა და მას შემდეგ არც ამდგარა — ისევ „ობიექტის“ ფეხებთან ხოხავს დღემდე, მიუხედავად იმისა, რომ „ობიექტს“ ხშირ-ხშირად სხვა მფრინავი „ობიექტებიც“ დააფრინდებიან ხოლმე, რისი ამსახველი ფარული ვიდეოჩანაწერები დროგამოშვებით ჩნდება ინტერნეტსივრცეში.



— კი მერიდება, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ... მეც მაშანტაჟებდნენ, ხომ გახსოვთ? თქვენ და თქვენს ოჯახსაც შეეხო ეს ამბავი... რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ მსგავსი ფაქტები ერთხელ და სამუდამოდ აღიკვეთოს? — ჰკითხა „დაზარალებულმა“ ტელეჟურნალისტმა „დაზარალებულ“ ფანჩ..ს.

— მეც და ჩემს ქვეყანასაც დიდი ტრაგედიები გვაქვს გადატანილი, მაგრამ ეს იყო ყველაზე დიდი ტრაგედიაო, — დამწუხრებული სახით განაცხადა ფანჩ..მა და თავი ჩაჰკიდა.

ფანჩ..ს არ დაუზუსტებია, მხოლოდ მისთვის იყო ეს ტრაგედია, თუ მთელი ქვეყნისთვისაც ტრაგედია იყო, რომ „ობიექტი“ სხვა უცხო „ობიექტთან“ პიკანტურ ურთიერთობაში დააფიქსირეს.

ფანჩ..-ისთვის ის კი არ უთქვამს, რა მიქნა ამ დედაკაცმა, როგორ მომჭრა მთელ დუნიაზე თავი, ამიერიდან მის სახელსაც კი არ ვახსენებო, არამედ ტრაგედია იყოო, ბრძანა, თუმცა ამ ტრაგედიას რა ტრაგიკული შედეგები მოჰყვა, არ დაუზუსტებია.

მოგვიანებით, როცა „ფანჩ..ს“ პატარა კაცი უწოდეს და მის ქცევებშიც არაკაცური ელემენტები დაინახეს, „ობიექტი“ გადაირია — ბოდიში მოუხადეთ სასწრაფოდ, თორემო...

თვითონ თქვენ არ მოგიხდიათ ბოდიში თქვენი ღრმად სავალალო და საჩოთირო საქციელისთვის და სხვებმა იხადონ ბოდიში, პატივცემულო?

„ფანჩ..მა“ განაცხადა, საქართველოში ამერიკის სამხედრო ბაზები უნდა განლაგდესო და შესაბამისი შინაარსის შემცველი არზაც გამოაცხო.

„ფანჩ..მა“ მისი ეს „ისტორიული“ და „პატრიოტული“ ნაბიჯი ქვეყნის ბედ-იღბალზე და მის უსაფრთხოებაზე ზრუნვით ახსნა, თუმცა იმ ანკესს, რომელიც მან გადმოგვიგდო, ყველაზე პატარა გუბურაში გაზრდილი, ყველაზე „გოიმი“ ღორჯოც კი არ მიაკარებდა პირს.

ცხადი და ნათელი იყო, რა მუცლის გვრემაც აუტყდა პოლიტიკურად გაკოტრებულ „პატრიოტ“ ფ-ს — ჩვენი რესურსებით ამ არჩევნებში შეიძლება ბარიერიც ვერ გადავლახოთ და იქნებ, ამერიკელებმა შეგვათრიონ თავიანთი ტანკებით ან სულაც ბომბზე დაგვსვან და ისე შეგვტყორცნონ პარლამენტშიო.

ნუთუ ეს „ფანჩ..ი“ იმდენს ვერ ხვდება, რომ ამერიკელებს მეტი საქმე არ აქვთ, ვიღაც გაფარჩაკებული „ფანჩ..-ის“ გამო მესამე მსოფლიო ომი წამოიწყონ რუსებთან.

მიხვედრით კი ხვდება, მაგრამ რა ქნას, სხვა გამოსავალი არ აქვს. მის ამ პროვოკაციას შეიძლება ქვეყანა შეეწიროს, მაგრამ, აი, ეს ნამდვილად ნაკლებად ადარდებს — თუ პარლამენტში ვერ მოხვდება, ქვა ქვაზეც ნუ დარჩენილა.

...ამ კაცის პროვოკაციებს რომ ვაანალიზებ, გონივრული ეჭვი მიჩნდება — ეს კაცი, მეტსახელად „ფანჩ..ი“ ჯერ კიდევ იქ ხომ არ არის, სადაც 1988 წელს შევიდა და სიტუაცია რომ შეიცვალოს, თეთრ ცხენზე ამხედრებული დარიალის ხეობიდან ხომ არ შემოუძღვება იმ ძალებს, ვიღაც-ვიღაცების გასაგონად ოკუპანტებს რომ ეძახის და თვითონ კი იქ არის, მათ ბნელ საიდუმლო დოკუმენტებში დაფიქსირებული კლიჩკით **«Панчар»**.



# ასასინები – პირველი თვითმკვლელი ტერორისტები

**სპეციალურ ბანაკებში თვითმკვლელი-ტერორისტების მომზადება XX საუკუნის პალესტინელებისა და თალიბების გამოგონება სულაც არ გახლავთ. მრავალი ასწლეულის წინათ დაიწყო დაქირავებული მკვლელების – ასასინების რელიგიური ორგანიზაციის ბნელი გზა. ასასინები (არაბ. „ვინც ჰაშიშს იყენებს“) ისმაილიტების აგრესიული სექტაა. მისი დამაარსებელი იყო შეიხი ჰასან I იბნ-საბახი (1051-1124 წწ.), რომელმაც სპარსეთის, სირიის, ერაყისა და ლიბანის მთიან რაიონებში შექმნა სახელმწიფო ალამუტი, თითქმის ორი საუკუნე რომ იარსება 1090-დან 1256-წლამდე.**



### პირველი მსხვერპლი

ჰასან იბნ-საბახმა, რომელსაც ჯვაროსნები მთიელ უხუცესს ეძახდნენ, ალამუტში 34 წელი გაატარა. მან ცხოვრების ძალიან მკაცრი წესი დაამყარა და ქვეშევრდომებისგან აბსოლუტურ მორჩილებას ითხოვდა.

ჰასანის ბრძანებით, ერთ-ერთი მისი ორი ვაჟი სიკვდილით დასაჯეს — ერთი ღვინის დალევის, მეორე კი მამის ეჭვის გამო, თითქოს ვაჟი ერთი მქადაგებლის მკვლელობის თანამონაწილე იყო. ჰასანი მკაცრი და სამართლიანი იყო. მისი ძალაუფლების ქვეშ 60 ათასი ადამიანი იყო გაერთიანებული.

ამბობენ, რომ საკუთარი ქვეშევრდომების ფანატიკოს-მკვლელებად გადაქცევის იდეა მთიელ უხუცესს მას შემდეგ გაუჩნდა, რაც ქალაქ საბაში სელჯუკთა სულთანის ვეზირის, ნიზამ-ელ მულკის ბრძანებით ადგილობრივი ისმაილიტების წინამძღოლი დასაჯეს.

როდესაც ამის შესახებ შეიტყო, მთიელი უხუცესი ალამუტის კოშკზე ავიდა და განაცხადა, რომ ვინც ელ-მულკს მოკლავდა, მას სამოთხის ნეტარება ელოდა!

ვიდრე იგი კოშკიდან ქვემოთ ჩამოვიდოდა, დაბლა უკვე ვეზირის მოკვლის მსურველ ფანატიკოსთა უზარმაზარი ბრბო ელოდა. იბნ საბახმა მკვლელის როლზე ბუ ტახირ არანი შეარჩია.

რამადანის დღესასწაულის დროს, 1092 წლის 10 ოქტომბერს, ქალაქ საბაში (თეირანის სამხრეთით) ბუ ტახირ არანმა ელ-მულკის ტახტრევანთან მიახლოება მაშინ მოახერხა, როცა ის კარვიდან გამოჰყავდათ. მკვლელმა ვეზირს გულში ჩასცა ხანჯალი და წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაბარდა მცველებს.

ჰასანმა ბრძანა, ალამუტში სამახსოვრო დაფა გამოეკრათ და ზედ მოკლულის სახელი, მის გვერდით კი მისი სახელი ამოეტვიფრათ, ვინც წმინდა შურისძიება განახორციელა.

### ექსკურსია სამოთხეში

პირველი პოლიტიკური მკვლელობის შემდეგ მთიელი უხუცესი დარწმუნდა, რომ ფანატიკოსები, რომლებიც მზად არიან საკუთარი სიცოცხლე გასწირონ, საშინელი ძალაა. იმ ყმაწვილთაგან, რომელთაგან უპირატესობა ობლებს ენიჭებოდა, მან შექმნა საბრძოლო რაზმი ფიდა-ვი, ანუ ფიდაინების რაზმი, რაც „რწმენისთვის თავგანწირულს“ ნიშნავს. შესაძლოა, ეს რაზმი დედამიწაზე პირველი ტერორისტული ორგანიზაცია გახლდათ. ჰასანმა რაზმის წევრებს ჩააგონა, რომ სიკვდილის შემდეგ აუცილებლად სამოთხეში



მოხვდებოდნენ და ოსტატური ხრიკის გამოყენებით საშუალებას აძლევდა მკვლელების კანდიდატებს, ენახათ, როგორი იყო ეს სამოთხე.

მთებს შორის, ერთ-ერთ ძნელადმისადგომ მინდორზე, რომლის არსებობაც მხოლოდ ჰასანთან დაახლოებული ადამიანებისთვის იყო ცნობილი, გაშენებული იყო არაჩვეულებრივი ბაღი, სადაც ულამაზესი ყვავილები ჰყვაოდა. ბაღის შუაგულში აღმართულიყო მოოქრული სასახლე, წყაროებიდან კი ღვინო, რძე და თაფლი მოედინებოდა.

იქაურობა სავსე იყო ულამაზესი ქალებით, რომლებიც მუსიკალურ ინსტრუმენტებზე უკრავდნენ, არაჩვეულებრივად მღეროდნენ და ცეკვავდნენ. ყველაფერი მუჰამედის მიერ აღწერილ სამოთხეს ჰგავდა. ჰასანი თავის მიმდევრებს არწმუნებდა, რომ წინასწარმეტყველი იყო, სიცოცხლეშივე შეეძლო ადამიანის სამოთხეში გადაყვანა და დროდარო ამ „სასწაულს“ ახდენდა.

იმ ყმაწვილებს, რომლებსაც ფიდაობა სურდათ, ჰაშიშით აბრუებდნენ და იმ საიდუმლო ბაღში გადაჰყავდათ. გონს მოსულნი გარშემო აუწერელ სილამაზეს და მშვენიერ ჰურიებს ხედავდნენ, რომლებიც ღვინოს სთავაზობდნენ, მათ სმენას მუსიკითა და სიმღერით ატკბობდნენ, ოსტატურ სასიყვარულო ალერსში ახვევდნენ. ახალგაზრდებს სჯეროდათ, რომ ნამდვილ სამოთხეში მოხვდნენ. იქ რამდენიმე დღის გატარების შემდეგ ყმაწვილებს კვლავ აბრუებდნენ და უკან, კოშკში გადაჰყავდათ.

ჰასანი მათ ეკითხებოდა, სად იმყოფებოდნენ ბოლო დღეების განმავლობაში. ისინი პასუხობდნენ, რომ მისი წყალობით სამოთხეში იყვნენ და უამბობდნენ იქაური ცხოვრების ყოველ წვრილმანს. გარშემო შეკრებილ ახალგაზრდებს შურდათ იმათი ბედნიერების, ვინც სამოთხეში იყო ნამყოფი. ყველას გულწრფელად სურდა, გაეწირა სიცოცხლე მთიელი უხუცესის დიადი საქმისთვის, რათა მალე მოხვედრილიყო სამოთხეში, რაც მათთვის სრულებით რეალური იყო.

ფიდანებს საფუძვლიანად ამზადებდნენ. მათ ასწავლიდნენ ყველა სახეობის იარაღის გამოყენებას, შხამების გარჩევას და ყოველგვარი სირთულის მიმართ გამძლეობას. ასწავლიდნენ, რომ ნამდვილ ასასინს უნდა შეძლებოდა მტრისთვის სასიკვდილო დარტყმის მისაყენებლად წლობით ლოდინი.

ასასინებში გარდასახვის ნიჭსაც საბრძოლო უნარებზე არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა. ისინი მტრის ზურგში მოწინააღმდეგის მოსაკლავად შედიოდნენ საცირკო დასის, ქრისტიანული ორდენის მონაზვნების, მკურნალების, დერვიშების, აღმოსავლელი ვაჭრების ან ადგილობრივი მებრძოლების სახით.

სექტას მკაცრი იერარქიული მოწყობა ჰქონდა. რიგითი წევრები — „ფაიდაინები“, სასიკვდილო განაჩენს აღასრულებდნენ. თუ რამდენიმე წლის განმავლობაში ცოცხლები დარჩებოდნენ, მომდევნო წოდებას ანიჭებდნენ, ამას მოყვებოდა „ოფიცრის“ თანამდებობა — „დაი“ და „გენერლის“ — „დაი ალ-კირბალი“, რომლებიც მხოლოდ უცხო თვალისგან დაფარულ იდუმალ მთიელ უხუცესს ემორჩილებოდნენ.

### სისხლიანი ანგარიში

ჰასან იბნ-საბახის მმართველობის პერიოდში გავრცელდა მათი გავლენა მუსულმანურ სამყაროში. მათ შექმნეს მთის გამაგრებული ციხესიმაგრეები ჩრდილოეთ ირანსა და სირიაში, სადაც მტრების საიდუმლო მკვლელობის პოლიტიკას ატარებდნენ.

თუ ალამუტის „საპატიო დაფის“ მიხედვით ვიმსჯელებთ, 118-მა ფაიდანმა 73 ადამიანი მოკლა, მათ შორის 49 მთიელი უხუცესის მმართველობის პერიოდზე მოდიოდა. სავარაუდოდ, „რეზულტატების დაქვეითება“ იმის გამო მოხდა, რომ აღმოსავლელმა მმართველებმა დაიწყეს ასასინების ლოიალობის ყიდვა. მაგრამ, ამასთან, დაიწყეს მათთვის ფულის გადახდა მათთვის ხელისშემშლელი წარჩინებული ევროპელების მოშორებაში.

1145 წელს ასასინებმა მიიღეს „შეკვეთა“ ტრიპოლიტანელი გრაფის რაიმონდ II-ის ტულუზელის ვაჟის მოკვლაზე. ისინი თავს დაესხნენ მის მცირერიცხოვან რაზმს ანტიოქიის კარიბჭესთან და როცა ტრიპოლის მემკვიდრემ ეკლესიას შეაფარა თავი, ასასინები შეცვივდნენ შიგნით და პირდაპირ საკურთხეველზე განგმირეს იგი.

პასუხად, რაიმონდ II-ისა და ტამპლიერების რაზმებმა ასასინებმა მთებში გაქცევა აიძულეს და ალამუტი მჭიდრო ალყაში მოაქციეს. მთიელმა უხუცესმა და ტამპლიერების მაგისტრმა რობერტ დე კრაონმა მოილაპარაკეს, რომ ასასინებს ჯვაროსნებისთვის სიმბოლური თანხა — 2 ათასი ოქროს მონეტა უნდა ეხადათ.

რამდენიმე ხნის განმავლობაში ჯვაროსნები და ასასინები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ, მით უმეტეს, რომ ევროპელებს ხშირად სჭირდებოდათ ხოლმე დაქირავებული მკვლელების მომსახურება. რაღაც დროის გასვლის შემდეგ მათ შორის კონფლიქტი მოხდა და მათი მეგობრობა დასრულდა.

ამის შემდეგ ევროპის შუაგულშიც კი მეფეები ასასინების ხსენებაზე კრთებოდნენ. ერთი გაუფრთხილებელი სიტყვა მთიელი უხუცესის და მისი ქვეშევრდომების შესახებ და შეიძლება სიკვდილის წერა გამხდარიყავი. 1192 წელს ფიდაინებმა ქალაქ ტირის კარიბჭესთან მოკლეს იერუსალიმის გვირგვინის პრეტენდენტი კონრად მონფერატელი. ასასინების ხელით სიკვდილი ეწიათ სამ ხალიფას, ექვს ვეზირს, რამდენიმე ათეულ ოლქის მმართველსა და ქალაქის თავს, ასევე მაღალი რანგის მრავალი სასულიერო პირსა და ირანელს მეცნიერს აბულ-მაჰასინ იბნ ტაგრი-ბერდს.

ასასინების ძლიერებას ბოლო 1256 წელს მოეღო მონღოლების ხანის ხულაგუს მიერ. მისმა ურდოებმა გაანადგურეს დაქირავებული მკვლელების ბუნაგი, მკვლელები კი დახოცეს.

XX საუკუნის შუაწლებში ფიდაინების სექტა აღორძინდა, როგორც ირანის მოლა ნავაბი საფავის მიერ შექმნილი ტერორისტული ორგანიზაცია „ფედაიანე ესლამი“, რომელიც ირანისა და შუა აღმოსავლეთის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეების სიცოცხლეს ხელყოფდა. ისლამის მიმდევარ ფანატიკოს-ტერორისტებს დღესაც ფიდაინებს უწოდებენ.



მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

**საერთო გაზეთი**
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები,
მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24
საათის განმავლობაში

ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com